პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
26 მარტი **სამშაბათი** 2013
№070 (13 986) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



11

# ჩემპიონი მდევრის როლში

## დელ ბოსკეს გუნდს უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს





მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების წინათქმა

6-7

# ბრაზილია არ ვარგა

მუნდიალის საკვალიფიკაციოდან თავისუფალი ბრაზილიის ნაკრები ზედიზედ მართავს ამხანაგურ მატჩებს, მაგრამ მის საბოლოო შეთამაშებას საშველი არ დაადგა. ტეტრაკამპეონებმა ზედიზედ მეხუთე თამაში ვერ მოიგეს. მსოფლიოს ჩემპიონატის მომავალ მასპინძელს ვერც ლუიშ ფელიპე სკოლარიმ უშველა, რომელსაც სამ მატჩში არც ისე სახარბიელო სტატისტიკა აქვს: ორი ფრე და ერთი წაგება. გუშინ, ბრაზილიელებმა ლონდონში ითამაშეს ფაბიო კაპელოს რუსეთის წინააღმდეგ და რომ არა ფრედის მიერ ბოლო წუთზე გატანილი გოლი, სკოლარის სტატისტიკა ერთი ფრე და ორი წაგება იქნებოდა. რუსები ფაიზულინის გოლით ბოლო წუთამდე იგებდნენ, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს.

ბრაზილიამ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ჟულიო სეზარი, დანი ალვეში, ტიაგო სილვა, დავიდ ლუიში, მარსელო, ფერნანდო, ერნანეში, ოსკარი (67. ჰალკი), კაკა (78. დიეგო კოშტა), ფრედი, ნეიმარი.*





2

### დღეს უეფას თასი თბილისში იქნება

ოთხთა ფინალის წილისყრის მოლოდინში



2

### მარცხით დანყებული ელიტა

| | |
|---|---|
| სერბეთი | 2 |
| საქართველო | 0 |



2

### გადახალისებული კომიტეტები, რაინდი დინამოელები

სფფ-ის აღმასკომის სხდომა



9

### რობენს რიგი დაუდგა

ჰოლანდიელისთვის ინტერი და გალათასარაი აქტიურობენ



10

### ჯგუფიდან დაცვით უნდა გავიდეთ

ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან



16

### რედ ბულში დიდი სკანდალია

ფეტელს დისკვალიფიკაციას მისცემენ?

სფფ-ის აღმასკომის სხდომა



# გადახალისებული კომიტეტები, რაინდი დინამოელები

გუშინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგში ორი მთავარი საკითხი იყო შეტანილი.

აღმასკომმა ფედერაციის სადისციპლინო და სააპელაციო კომიტეტების ახალი შემადგენლობა დაამტკიცა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ სადისციპლინო კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტს **ჯიმშერ ტყებუჩავა** დაიკავებს, რომელიც აქამდე ფეხბურთის ფედერაციის არბიტრაჟს ხელმძღვანელობდა. სადისციპლინო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი კი ცნობილი ქართველი მწვრთნელი **სერგო კუტივაძე** იქნება. კომიტეტის წევრად დარჩა **ზვიად დარასელი**. კომიტეტში ასევე იმუშავებენ **ვაჟა ყვანია** და **რეზო ტალიაშვილი**.

სადისციპლინო კომიტეტის ყოფილ შემადგენლობას უფლებამოსილების ვადა ამოეწურა, ახალი კომიტეტი კი ოთხი წლის ვადით აირჩიეს.

სფფ-ის აღმასკომმა ფედერაციის სააპელაციო კომიტეტიც დააკომპლექტა. ხუთი წევრიდან ოთხი იურისტი, ერთი კი სპორტული ჟურნალისტია. კომიტეტის თავმჯდომარე **თამარ წერეთელი** იქნება, რომელთან ერთადაც **მონიკა რუხაძე, დავით ქარსელაძე, გიორგი ციხისთავი** და **ლაშა დვალიშვილი** იმუშავებენ.

გუშინვე ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სახელზე სპეციალური წერილი მოამზადა. აღმასკომის წევრები მინისტრ **ლევან ყიფიანს** თხოვნით მიმართავენ, სპორტის რაინდის წოდებით დაჯილდოვდნენ ის ფეხბურთელები, რომლებმაც თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში 1978 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.

ესენი არიან: **მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე, ვიტალი დარასელია, შოთა ხინჩაგაშვილი, რამაზ შენგელია, ვლადიმერ გუცაევი დავით გოგია, ვახტანგ ქორიძე, ნოდარ ხიზანიშვილი, ფირუზ კანთელაძე, თამაზ კოსტავა, რევაზ ჩელებაძე, დავით მუჯირი, ოთარ გაბელია და თენგიზ სულაქველიძე.**

როგორც მოსალოდნელი იყო, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრობა მისივე მოთხოვნის საფუძველზე შეუჩერდა ცნობილ ძალოსანს, ოლიმპიურ ჩემპიონსა და ყოფილ პარლამენტარ **გიორგი ასანიძეს**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფუტსალი

# დღეს თბილისში უეფას თასი ჩამოდის

## ფუტსალის მესი იბერიას ნაცვლად ბარსელონაში წავიდა



27 მარტს, თბილისის სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში" ფუტსალში უეფას თასის „ოთხთა ფინალის" წილისყრა გაიმართება. ღონისძიება 19:00 საათზე დაიწყება.

ამ დღეს, თბილისის დედაქალაქში ჩამოვლენ უეფასა და „ოთხთა ფინალში" მონაწილე გუნდების („ბარსელონა", ალმატის „ქაირათი", მოსკოვის „დინამო") დელეგაციები და საპატიო სტუმრები, ღონისძიებას კი ძმები **შოთა და არჩილ არველაძეები** გაუძღვებიან.

"იბერია სტარის" მენეჯერმა **გიორგი დარჯანიამ** გვაცნობა, რომ უკვე საქართველოს დედაქალაქში იმყოფებიან მოსკოვის "დინამოსა" და ალმატის "ქაირათის" წარმომადგენლები, "ბარსელონას" კი დღეს, 26 მარტს უეფას დელეგაციასთან ერთად ელიან, რომელიც ფუტსალის უეფას თასს ჩამოიტანს.

კენჭისყრაში მონაწილეობის გარდა, ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს წარმომადგენლები კიდევ ერთხელ დაათვალიერებენ თბილისის სპორტის სასახლეს, სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიას", სადაც მონაწილე გუნდების დელეგაციები დაბინავდებიან, იქნება მსჯელობა უსაფრთხოების ნორმებსა და სხვა საკითხებზე.

შეგახსენებთ, რომ მატჩები 26 და 28 აპრილს გაიმართება. წილისყრაზე კი ნახევარფინალური წყვილები დადგინდება. შეხვედრების რეპორტაჟებს "ევროსპორტი" გეგმავს - სპორტულმა ტელეარხმა ამის თაობაზე "საზოგადოებრივ მაუწყებელთან" თანამშრომლობა უკვე დაიწყო.

**განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა** 18 აპრილია. "იბერიაში" ახალწვეულები ისევ ბრაზილიელები არიან - **კუმანო, ფაბიო** და **მარსელო**. "ლელო" უკვე წერდა, რომ მოსკოვური შეკრებიდან დაბრუნებული "იბერია სტარის" პრეზიდენტი **ვახტანგ წერეთელი** ახალწვეულების ნაწილით უკმაყოფილო იყო და ახალი მოთამაშეების დამატებას აპირებდა. შეგახსენებთ, რომ მოსკოვში საქართველოს ჩემპიონმა სამი საკონტროლო მატჩი გამართა, ერთი ფრედ დაასრულა და ორში დამარცხდა.

წერეთელს „ოთხთა ფინალში" ქართველი გულშემატკივრის წინაშე ტრიუმფი სურს, რაც მოსკოვში ნაჩვენები თამაშის ხარისხით შეუძლებელი იქნება. „იბერიას" მენეჯერის **გიორგი დარჯანიას** თქმით, კლუბის პრეზიდენტს მსოფლიო დონის ვარსკვლავის ჩამოყვანა სურდა, მაგრამ სასურველ მოთამაშეთა გვარები არ დაუკონკრეტებია.

შევიტყვეთ, რომ საქართველოს ჩემპიონი „ფუტსალის ლიონელ მესის", პორტუგალიის ნაკრების ლიდერ **რიკარდინიოს** ელაპარაკებოდა, რომელიც ამჟამად იაპონიის „ნაგოია ოუშენში" თამაშობს. სხვათა შორის, მან 2012 წლის ოქტომბერში, ლისაბონში საქართველოს ფუტსალის ნაკრების წინააღმდეგ იმ მატჩში ითამაშა, რომელშიც ჯვაროსნებმა სენსაციური გამარჯვება (4:2) მოიპოვეს.

მოკლედ, "იბერია სტარი" რიკარდინიოსთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს. თავდაპირველად, პორტუგალიელი წინადადებით დაინტერესდა, მაგრამ მერე გაირკვა, რომ „ფუტსალის მესიმ" ნამდვილ მესის მიბაძა და "ბარსელონას" მოელაპარაკა, პირობები შეუთანხმა და მაისიდან კატალონიაში გადავა სათამაშოდ. რადგან სეზონში მესამე კლუბის შეცვლის უფლება არ ჰქონდა, "იბერია სტარში" მისი ტრანსფერი გამოირიცხა - საქართველოში თამაშს ესპანეთში გამოსვლა რომ ურჩევნია, ესეც არ არის სალაპარაკო.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ნაკრები

საფრანგეთი – საქართველო. გამოხმაურება

# მარადიული კითხვა: შედეგი თუ სანახაობა?

საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე ფრანგებთან მეტად და მეტად უარყოფითი ბალანსი გვქონდა და ძალთა ეს თანაფარდობა 2013 წლის 22 მარტის მერეც არ შეცვლილა; თუმცა, გულახდილად ვთქვათ: არც არავის გვქონდა იმის ილუზია, რომ საქართველოს ნაკრები მართლაც შეუძლებელს შეძლებდა და ზღაპრული სილამაზის „სტად დე ფრანსიდან" გამარჯვებული წამოვიდოდა. სამწუხაროდ, საფრანგეთსა და საქართველოს ნაკრებებს შორის დღესდღეობით იმხელა სხვაობაა, ფრესაც მიუღწეველ ოცნებად მივიჩნევდით და საბოლოოდ ანგარიშიც (3:1) ლოგიკურად ასახავს ამ ორი გუნდის რეალურ შესაძლებლობებს. თუმცა, არც დაუნახაობა იქნება: ერთი მეორეზე უკეთესი და ერთი მეორეზე მაღალი კლასის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული საფრანგეთის ნაკრები ისეთი მოტივირებული იყო, საქართველოს კი არა, ალბათ, ნებისმიერ გრანდს მოუგებდა! თანაც, ეს არ იყო მხოლოდ სატურნირო მოტივაციიდან გამომდინარე (მომდევნო მატჩი ხომ ესპანელებთან აქვთ, რომლებთან პაექრობაშიც ჯგუფში პირველი ადგილის ბედი უნდა გაირკვეს): 11 ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელი 90 წუთის განმავლობაში, საკუთარ შესაძლებლობებს „ამტკიცებდა"! თანაც, ეს ყველაფერი იმის ფონზე ხდებოდა, ფრანგთა ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავი, მადრიდის „რეალის" ფორვარდი ქარიმ ბენზემა, დანარჩენი თანაგუნდელებისგან განსხვავებით, ცოტა არ იყოს, ინდიფერენტული რომ გახლდათ. აი, დანარჩენებმა კი მართლაც საინტერესო შთაბეჭდილება მოახდინეს და ასეთ ძლიერ მეტოქესთან ნაგების გამო საქართველოს ნაკრების ასპარეზობას ზედმეტად მკაცრი შეფასება, ალბათ, არც უნდა მივცეთ. ჰო, ძალიან ძნელია 90 წუთის განმავლობაში უშეცდომოდ ეთამაშო ისეთ მონინააღმდეგეს, რომლის თითოეული ფეხბურთელიც უმაღლესი ინდივიდუალური ოსტატობით გამოირჩევა; ანუ, ამ ფაქტორსაც უნდა მივაწეროთ ის შეცდომები, ჩვენმა ფეხბურთელებმა რომ დაუშვეს და რომლებსაც სამი გოლი მოჰყვა. საქართველოს ნაკრებზე ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამდე კი ისევ საფრანგეთის ნაკრებს დავუბრუნდეთ: ამ გუნდის მთავარ მწვრთნელს დიდიე დეშამს მართლაც აქვს იმის ფუფუნება, რომ სატურნირო თვალსაზრისით ორი უმნიშვნელოვანესი მატჩისათვის ნაკრებში არ გამოიძახოს სამირ ნასრის, იან მ'ვილასა თუ ლასანა დიარას დონის ფეხბურთელები; მერე რა, რომ ტრავმების გამო ჰატემ ბენ არფა, ადილ რამი და იოან გურკუფი აკლდათ, მერე რა, რომ პატრის ევრას თუ ფილიპ მექსეს გარეშე თამაშობდნენ, — ფრანგებს იმხელა არჩევანი აქვთ, ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო დონის ვარსკვლავების არყოფნა, ფაქტობრივად, ალარავის ახსოვდა...



მატიო ველბუენა და ფრანკ რიბერი



## ათლეტები და ვარსკვლავები

...ფრანგების სიძლიერე იმაშიც გამოიხატებოდა, რომ ყველა რგოლში ერთი მეორეზე უკეთესი ფეხბურთელები ჰყავდათ; უგო ლორისმა მაღალი კლასი მერამდენედ დაამტკიცა: ჯერ, **ალექსანდრე ამისულაშვილის**, მერე კი **სანდრო კობახიძის** დარტყმები ერთი მეორეზე ურთულესი იყო, მაგრამ ფრანგების მეკარემ ორივე შემთხვევაში ჩინებული რეაქცია გამოავლინა; დაცვის ცენტრში ორი ათლეტური ფეხბურთელი ჰყავდათ (**მამადუ სახო და რაფაელ ვარანი**, ხოლო ფლანგის მცველები (**კრისტოფ ჟალე, გაელ კლიში**) შეტევებში იმდენად აქტიურად ერთვებოდნენ, ფაქტობრივად, განაპირა ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებდნენ. საერთოდაც, დეშამს ერთობ შემტევი ტაქტიკა ჰქონდა არჩეული: ერთი შეხედვით, 4-4-2 იყო, სადაც განსაკუთრებული როლი ფლანგის ნახევარმცველებს **მატიო ვალბუენასა** (მარჯვნიდან) და **ფრანკ რიბერის** (მარცხნიდან) ჰქონდათ დაკისრებული. თუმცა, ეს ორივე მოძრავი და კრეატიული შუახაზელი, ფაქტობრივად, ფლანგის ფორვარდებად მოგვევლინენ და საფრანგეთის ნაკრების ტაქტიკური სქემაც... გასული საუკუნის 60-იან წლებში პოპულარულ 4-2-4-ს უფრო წააგავდა! ასეთი განლაგების პირობებში კი განსაკუთრებული „მისია" საყრდენ ნახევარმცველებს ენიჭებოდათ და ამ რგოლშიც სერიოზულად დაგვჯაბნეს: **ბლეზ მატუიდიმ** და 20 წლის დებიუტანტმა **პოლ პოგბამ** „არანორმალური" მოცულობის სამუშაო შეასრულეს და შესაშური ათლეტურობის გარდა, ბურთთან „ურთიერთობითაც" დაგვამახსოვრეს თავი. ისე, პოგბას თამაშში იმხელა რესურსი იგრძნობა, არ არის გამორიცხული, **პატრიკ ვიეირაზე** მაღალი დონის საყრდენად ჩამოყალიბდეს; თუმცა, პოგბას, **ოლივიე ჟირუსა** და მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის მატიო ვალბუენას ჩინებული ბურთაობა მაინც ოდნავ „ჩრდილქვეშ" მოექცა: ფრანკ რიბერიმ საქართველოს ნაკრებთან შეხვედრაშიც დაამტკიცა, რომ დღესდღეობით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა ხუთეულში თუ არა, ათეულში ნამდვილად უნდა მივაკუთვნოთ ადგილი. ინდივიდუალური ოსტატობით კი რიბერიზე წინ მხოლოდ და მხოლოდ **ლეო მესი, კრიშტიანო რონალდო, ანდრეს ინიესტა და ზლატან იბრაჰიმოვიჩი** უნდა დავაყენოთ; თუმცა, ეს საკამათო საკითხია, უფრო ზუსტად — გემოვნების...

## პარალელები და ჩვენგან გამორჩეულნი

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში არც საკლუბო და არც სანაკრებო დონეზე ფრანგებთან ჯერ მატჩი არ მოგვიგია. სანაკრებო დონეზე სულაც სამიდან სამივე შეხვედრა წავაგეთ, მაგრამ ბოლო დაპირისპირების წინა ორთან შედარება არც შეიძლება: იმის გარდა, რომ პირველად შევძელით საფრანგეთის ნაკრების კარში გოლის გატანა, ორი რეალური მომენტიც შევქმენით და რომ არა უგო ლორისის მართლაც ზღაპრული რეაქცია, არავინ იცის, მოვლენები როგორ განვითარდებოდა; მით უფრო, არ დაგვავიწყდეს, რომ ალექსანდრე ამისულაშვილისა და სანდრო კობახიძის დარტყმები ლორისმა იმ დროს მოიგერია, როცა ანგარიში 0:0 იყო...

...2006 წლის 2 სექტემბერს, ახლადგარემონტებულ და მართლაც გაკოხტავებულ „დინამოს" სტადიონზე ფრანგებს პირველად რომ ვეთამაშეთ, მატჩის ბედი საწყის 15-16 წუთში გადაწყდა! იმის გარდა, რომ ფრანგებმა ჩვენი მარჯვენა ფლანგი წალეკეს, ბურთი ჩვენს საჯარიმოს არ შორდებოდა და საბოლოო ანგარიშიც (0:3) სრულიად ლოგიკური იყო. ბევრად უფრო „საპატიო" სხვაობით დავმარცხდით ერთი წლის მერე ჩატარებულ შეხვედრაში: **რაიმონ დომენეკის** დამოძღვრილმა საფრანგეთის ნაკრებმა ლამის მთელი გუნდით დაცვაში „ჩამჯდარ" საქართველოს ნაკრებს ერთადერთი გოლი „აკმარა" (**სამირ ნასრი**), თუმცა მასპინძლებს იმხელა უპირატესობა ჰქონდათ, აშკარა რომ ვუწოდოთ, მეტისმეტად რბილად ნათქვამი იქნება! თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ 2007 წლის 6 ივნისს, ოსერში ჩატარებულ იმ შეხვედრაში ჩვენი ნაკრების იმდროინდელმა თავკაცმა **კლაუს ტოპმიოლერმა** ძირითადში 7 (!) ნომინალური მცველი პლუს დაცვაზე ორიენტირებული ჩამშლელი ნახევარმცველი (**ჯაბა კანკავა**) დააყენა! ამის მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ ეს მატჩი საქართველოს ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უსუსტესი და უსახური იყო; აი, რაც შეეხება ბოლო დაპირისპირებას (იმის მიუხედავად, რომ მატჩის საბოლოო შედეგი, ფაქტობრივად, წინასწარ იყო ცნობილი), ამ შემთხვევაში ჩვენი ნაკრების თამაშში არაერთი პოზიტივი დავინახეთ. აი, თუნდაც **გიორგი ლორიას** დამაჯერებელი თამაში ავიღოთ: რიბერის გოლის ეპიზოდს თუ არ ჩავთვლით, ჩვენმა მეკარემ მორიგი გამორჩეული სანაკრებო მატჩი ჩაატარა; ისე როგორც წინა შეხვედრებში, უაღრესად პროდუქტიული გახლდათ **სანდრო კობახიძე**: ეს უნივერსალური ნახევარმცველი მეტოქე ფეხბურთელთა ავტორიტეტს არ „ცნობდა" და ენერგიული თამაში გოლითაც დაუფასდა. ფაქტია, რომ სანდრო კობახიძე ჩვენი ნაკრების საკვანძო (განებავთ, შეუცვლელი) ფეხბურთელი გახდა, არადა, სხვადასხვა მიზეზის გამო წინა შესარჩევ ციკლში, ფაქტობრივად, არც უთამაშია (სტუმრად, მალტასთან შეცვლაზე შემოვიდა, — ეს იყო და ეს); იმავეს თქმა შეიძლება **მათე ვაწაძეზეც** — ბოლო სანაკრებო შეხვედრებმა ნათლად დაგვანახვა, რომ სწორედ ეს ნიჭიერი ფორვარდი იმსახურებს საქართველოს ნაკრების ნომერ პირველი თავდამსხმელის სტატუსს!

სამ ფეხბურთელზე უკვე ვთქვით, კიდევ ამდენივეზე შეიძლება იმის თქმა, რომ მათი სათამაშო კლასი ეჭვს არ იწვევს (უპირველეს ყოვლისა, **ალექსანდრე ამისულაშვილსა** და **გურამ კაშიას** ვგულისხმობთ), თუმცა ეს რომ არასაკმარისია (მით უფრო, საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ), ამაში, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება. ანუ, ისევ და ისევ ადამიანური რესურსის დეფიციტს „მივადექით": სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტია, რომ მხოლოდ დღესდღეობით კი არა, საქართველოში უკვე მერამდენე წელიწადია, რაც კვალიფიციური ფეხბურთელების (საერთაშორისო დონის მოთხოვნებს რომ უნდა აკმაყოფილებდნენ) კატასტროფული დეფიციტია!

## მწარე რეალობა და გარკვეული პოზიტივი

**კახა კალაძემ** თუ **ლევან კობიაშვილმა** სანაკრებო კარიერა დაასრულეს (თუ, დაასრულებინეს?) და მორჩა, — არც ერთი ქართველი ფეხბურთელი ტოპ-ლიგებში (ინგლისი, იტალია, ესპანეთი, გერმანია, საფრანგეთი) აღარ ასპარეზობს; ზოგიერთ ჩვენს ლეგიონერს თავისი გუნდის ძირითადში მოხვედრა უჭირს, ზოგიერთს გუნდში არა უშავს, მაგრამ სანაკრებო დონეზე საშემსრულებლო ოსტატობა არ ჰყოფნის და ასე შემდეგ. აბა, მოედნის ცენტრში, სრულიად უწყინარ სიტუაციაში ორი-სამი მეტრის მანძილზე ზუსტ პასს რომ ვერ გააკეთებ, ან მეტოქეს საკუთარ საჯარიმოში ბურთს თავისუფლად რომ მიაღებინებ, რომელსაც იმის დროც ექნება, ბურთი დაამუშაოს, მეკარისგან დაუცველი ცარიელი კუთხისკენ გაიხედოს და ზუსტადაც დაარტყას (ვალბუენას გოლის ეპიზოდს ვგულისხმობთ), ეს ყველაფერი ნაკრების მთავარ მწვრთნელს არ უნდა დაბრალდეს. რა თქმა უნდა, **თემურ ქეცბაიას** ადვოკატობას არ ვაპირებთ (მით უფრო, რომ ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელს სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდა: **ჯაბა კანკავა** და **თორნიკე ოქრიაშვილი** საქართველოს ნაკრებისათვის საკვანძო ფეხბურთელები არიან), მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი უპირველესი გუნდის თამაშში გარკვეული პოზიტივიც ჩანდა. უპირველეს ყოვლისა, პირველი ტაიმის იმ 20-წუთიან მონაკვეთს ვგულისხმობთ, როცა შეტევაში სწრაფად გადავდიოდით და მეტოქეს აგრესიული თამაში რომ მოვახვიეთ. ჰო, ჩვენს ნაკრებს აქამდე ხომ სათამაშო სტილს ვუწუნებდით: ზედმეტად ფრთხილიაო, შედეგზე ორიენტირებულიაო და ასე შემდეგ; ახლა კი საფრანგეთის დონის მეტოქესთან რამდენჯერმე თამაში „გავხსენით" და სწრაფი შეტევებიც განვახორციელეთ. რა თქმა უნდა, ეს „ზღვაში წვეთია", თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ როცა საფრანგეთს ეთამაშები, მოედნის თითოეულ მონაკვეთში მაქსიმალური კონცენტრაციაა საჭირო და შეცდომების დაშვების ალბათობაც, რაც შეიძლება, მცირე უნდა იყოს, მაგრამ 90 წუთის განმავლობაში ამ ყველაფრის შესრულება შესაბამის ფიზიკურ მომზადებასა და, რაც მთავარია, ასევე შესაბამის საშემსრულებლო ოსტატობასაც მოითხოვს.

...საფრანგეთთან მატჩში **თემურ ქეცბაიამ** საქართველოს ნაკრების თავკაცის პოსტზე 27-ე შეხვედრა ჩაატარა და ამ მაჩვენებლით მხოლოდ **ალექსანდრე ჩივაძეს** ჩამორჩება; ფრანგებთან შეხვედრაში ერთმატჩიანი პაუზის მერე ჩვენს ნაკრებს კვლავ უკაპიტნა **ალექსანდრე ამისულაშვილმა**; და რაც ყველაზე მთავარი და სამწუხაროა: ფრანგების პირველი და, ალბათ, მატჩის საბოლოო შედეგის დიდად განმსაზღვრელი გოლი პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გავუშვით! მსგავსი შემთხვევა კი, როცა ჩვენი ნაკრები გადამწყვეტ გოლს ტაიმ(ებ)ის ბოლო წუთებზე უშვებდა, საქართველოს ნაკრების ისტორიაში ძალიან ბევრჯერ მომხდარა, თუმცა ამ ყველაფერზე „ლელოს" ხვალინდელ ნომერში ვისაუბრებთ.

**გია ტუხაშვილი**

მეტალურგი



# გოგი ფიფია: დარჩენილი დრო ბოლომდე უნდა ამოვწურო

**...თერთმეტი წლის წინათ იყო, საქართველოს ჩემპიონატში ძალიან სიმპათიური და საინტერესო გუნდი რომ გამოჩნდა. „თბილისს" მაშინ გიორგი დევდარიანი წვრთნიდა, ახალგაზრდა, ამბიციური მწვრთნელი, რომლის განკარგულებაშიც არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი იყო.**

ის ახალგაზრდული გუნდი ტოლსწორად ეთამაშებოდა ყველას, მათ შორის **ივო შუშაკის** განწვრთნილ თბილისის „დინამოს", მოხდენილი თამაშით ბევრ გუნდს აღემატებოდა, შესაძლოა, ყველაზე ლამაზადაც კი აგორებდა ბურთს.

იმ „თბილისში" თამაშობდა **გოგი ფიფიაც**, ვინც მიმდინარე სეზონის შესვენების დროს შეუერთდა რუსთავის „მეტალურგს".

ფიფიას ბურთის ფლობასა და დრიბლინგში ბევრი ვერ შეედრება და „მეტალურგშიც" მყის საკვანძო ფეხბურთელი გახდა. რუსთაულ გუნდში ის აზერბაიჯანიდან მივიდა.

*„თოვუზის „თურანიდან" იმიტომ წამოვედი, რომ ვერ იყო კარგი სიტუაცია როგორც ფინანსურად, ისე სხვა მხრივ, იქ დარჩენა არ მილირდა და საქართველოში დავბრუნდი"*, - გვითხრა ფიფიამ.

1985 წელს დაბადებულთა თაობა ნიჭით გამორჩეული იყო, მათ ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც ითამაშეს **კობა ჟორჟიკაშვილის** ხელმძღვანელობით. ტურნირი დანიაში გაიმართა და ფიფიამ ისე ითამაშა, რომ მისით გერმანული „კაიზერსლაუტერნი" დაინტერესდა.

*„მართლაც კარგი გუნდი გვყავდა: სანდრო იაშვილი, გოჩა ხოჯავა, ზაალ ელიავა...ჯგუფში გერმანიის ნაკრებთან მოვხვდით, იაშვილის გოლით დავწინაურდით, მერე კი გერმანელებმა გაათანაბრეს ანგარიში, ჯგუფიდან ჩვენ და გერმანია გავედით, მეოთხედფინალში კი იმ შვეიცარიასთან დავმარცხდით, რომელიც ტურნირის გამარჯვებული გახდა. იმ ტურნირზე თამაშობდნენ ლუკას პოდოლსკი, კრიშტიანუ რონალდო, უეინ რუნი... ტურნირის შემდეგ „კაიზერსლაუტერნიდან" დამიკავშირდნენ, წავედი გერმანიაში, ჯერ „კაიზერის" 18-წლამდელთა გუნდში ვიყავი, შემდეგ მეორე გუნდში გადამიყვანეს, ამის შემდეგ კი პრობლემები შეიქმნა და „თბილისში" მივედი".*

გერმანიის შემდეგ ფიფიას კარიერა დაღმა არ წასულა, „თბილისში" კარგი თამაშით გამოიჩინა თავი. ეს გუნდი მალე დაიშალა, ნიჭიერი ფეხბურთელებიც აქეთ-იქით მიმოიფანტნენ, ფიფია „ზესტაფონში" გადავიდა და გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. გოგი გამთამაშებლის პოზიციაზე მართლაც ეფექტურად ირჯებოდა.

მაშინდელი „ზესტაფონი" ორჯერ გავიდა საქართველოს თასის ფინალში, ორივეჯერ თბილისის „ამერთან" დამარცხდა, მესამე ჯერზე „ზესტაფონმა" მოახერხა თასის აღება, თუმცა ფიფია იქ უკვე აღარ თამაშობდა. ფეროელთა გარდა გოგიმ რამდენიმე ქართულ გუნდში ითამაშა, ტექნიკითა და ფინტებით ყველგან გამორჩეული იყო, თუმცა მისგან მაინც ყოველთვის მეტს ელოდნენ...

*„საბოლოო ჯამში, საკუთარ თავს ვაბრალებ იმას, რომ უფრო მეტი ვერ მოვახერხე, საუკეთესო პერიოდი კი „ზესტაფონში" მქონდა. ძალიან მონდომებული ვარ, „მეტალურგის" მწვრთნელი გიორგი ყიფიანი მენდობა და მეც თავს კარგად ვგრძნობ. ყველანაირად ვეცდები, ბოლომდე ამოვწურო ის დრო, რაც დარჩენილი მაქვს"*, - ამბობს ფიფია, ვინც 28 წლის გახლავთ და კიდევ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ იმაზე მეტს მიაღწიოს, რაც უკან აქვს მოტოვებული.

„მეტალურგი" ზედა ექვსეულში ვერ მოხვდა და ამბიციების დაკმაყოფილებას თასის გათამაშებიდან ეშურება. მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში „მეტალურგმა" შინ პირველლიგელი ცხინვალის „სპარტაკი" დაამარცხა.

*„1:0 ურიგო შედეგი არ არის, თუმცა სტუმრად რთული თამაში გველის. „სპარტაკმა" თასიდან უკვე გამოთიშა ერთი უმაღლესლიგელი - „ვიტ ჯორჯია" და საკმაოდ სერიოზულად ვაფასებთ ჩვენს მოწინააღმდეგეს. ჯერ ეს ეტაპი უნდა დავძლიოთ და სამომავლო შანსებზეც მერე ვილაპარაკოთ. ვნახოთ, ეს ფეხბურთია და ყველაფერი ხდება".*

თუ „მეტალურგი" თასის ნახევარფინალში გავა, მერე მართლაც ძნელი იქნება პროგნოზების კეთება - ოთხ საუკეთესო გუნდს თასის მოპოვების თანაბარი შანსი ექნება. მანამდე კი ფიფია „მეტალურში" მეორე თავდამსხმელის პოზიციაზე მოქმედებს, ამავე დროს, თუ საქმეს დასჭირდა, თამაშის ორგანიზებასაც მოჰკიდებს ხელს და თანაგუნდელებს ბურთის ამოტანაში დაეხმარება - ტექნიკურ ფეხბურთელს ხომ ასეთი რამეები არ გაუჭირდება...

**დავით თავართქილაძე**

U 17

# მარცხით დაწყებული ელიტა

| სერბეთი-საქართველო | 2:0 |
| --- | --- |

25.03. ვენა. ჰირშტეტენი

1:0 სტევანოვიჩი (58), 2:0 პანტიჩი (63)

სერბეთი: ოსტოიჩი, რადოიევიჩი, ბრაიოვიჩი, გაიჩი, სტევანოვიჩი, ბაბიჩი, პანტიჩი, ბელიჩი (73. იოვიჩი), მიხაილოვიჩი (80. იოვანოვიჩი), ილიჩიჩი (51. რადონიჩი), ლუკიჩი

*სათადარიგოები: პეტრიჩი, ჟივკოვიჩი, მიკეტიჩი, დენიჩი*

მწვრთნელი: მ. ლესნიაკი

საქართველო: გოშაძე, მალანია (65. ბერიძე), მარგველაშვილი, ტაბიძე, თევზაძე, ზარანდია, გოროზია, რ. ჭანტურია, კერძევაძე, ხარაიშვილი, შულაია

*სათადარიგოები: ქურდაძე, პატარკაციშვილი, ჩაბრაძე, რუხაძე, ბარამიძე*

მწვრთნელი: გ. დევდარიანი

გაფრთხილება: მიხაილოვიჩი (19), ჭანტურია (32), მარგველაშვილი (54), გოროზია (57), პანტიჩი (61), რადონიჩი (79), თევზაძე (80)

არბიტრი: ს. დერენოვი (მოლდოვა)

სტატისტიკა

| სერბეთი | | საქართველო |
| --- | --- | --- |
| 7 | კარში დარტყმა | 7 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 4 | კუთხური | 2 |
| 15 | ჯარიმა | 17 |
| 3 | გაფრთხილება | 4 |

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვების მცირე შანსიღა დარჩა. გუშინ. **გიორგი დევდარიანის** გუნდი უმთავრეს კონკურენტ სერბეთთან დამარცხდა და ახლა იმის იმედად თუ ვიქნებით, რომ დარჩენილ მატჩებში სერბებს ფეხი დაუცდებათ. თუმცა ფინალურ რაუნდში მოსახვედრად კიდევ ბევრი სხვა წინაპირობაც უნდა შესრულდეს...

გუშინ, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ელიტრაუნდის პირველი მატჩში, სერბეთის ნაკრებთან, სამწუხაროდ, დასანანი მარცხი იწვნია.

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი გვამცნობს, ვენაში მთელი მატჩისწინა ღამე გადაუღებლად თოვდა და გუნდებს თამაშმა გადათეთრებულ მოედანზე, ფერადი ბურთით მოუწიათ.

პირველი ტაიმი ხისტ ბრძოლაში წარიმართა, დიდი იყო ტექნიკური წუნი. ანგარიშის გახსნის შანსი **ლუკა ზარანდიასა** და **რომან ჭანტურიას** ჰქონდათ, მაგრამ დარტყმები არ გამოუვიდათ. შესვენებამდე სერბებს ქართველთა მეკარე არ შეუწუხებიათ.

მეორე ტაიმში მეტოქე გაცილებით ძლიერად ათამაშდა და ჩვენმა მეკარემ **ოთო გოშაძემ** გუნდი სამჯერ გადაარჩინა. 58-ე წუთზე კი **მილადინ სტევანოვიჩმა** კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს თავით სწორი მიმართულება მისცა - 1:0.

სანამ ქართველები საპასუხოდ რაიმეს მოიმოქმედებდნენ, სერბებმა მეორეც გაგვიტანეს და ამით საქმე მოამთავრებს. თავი მათმა კაპიტანმა **დანილო პანტიჩმა** გამოიჩინა.

თუმცა დევდარიანის გუნდს ანგარიშის შეცვლა მაინც შეეძლო. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **ილია კერძევაძემ** ერთხელ ბურთი ძელს გაარტყა, ერთხელაც მისი დარტყმა მეტოქის მეკარემ მოიგერია.

17-წლამდელთა საგულშემატკივროდ სტადიონზე იმყოფებოდნენ საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი **თემურ ქეცბაია** და 21-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ალექსანდრე ჩივაძე**. მატჩის შემდეგ ისინი გასახდელში ჩავიდნენ და ჩვენი ფეხბურთელები გაამხნევეს.

ხვალ ჩვენი ნაკრების მეტოქე ირლანდია იქნება.

| ირლანდია-ავსტრია | 1:0 |
| --- | --- |

1:0 გრეგო-კოქსი (22)

ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩში ირლანდიამ მასპინძელი ავსტრია დაამარცხა და ფინალურ ეტაპზე გასვლის კარგი შანსიც გაიჩინა. იმედია, "სამყურები" ამ შანსს საქართველოს ნაკრებთან მატჩში დაკარგავენ. აღსანიშნავია, რომ ავსტრიელებმა მსაჯის მიერ დამატებულ მეხუთე წუთზე თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1. სერბეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 2. ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. ავსტრია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 4. საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

ხვალ

საქართველო-ირლანდია

სერბეთი-ავსტრია

ფოტო: www.gff.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენებურები უცხოეთში

# ქართველები რუსულ ნაკრებებში

იმ დროს, როცა საქართველოში შემტევი ფეხბურთელების აშკარა დეფიციტია, რუსულ მედიაში საინტერესო ამბავს წავაწყდით: ამ ქვეყნის 16-წლამდელთა ნაკრებში, რომელიც 2014 წლის შესარჩევი ციკლისთვის ჩამოყალიბდა, ორი ქართველი - **ნიკა ყიფიანი** და **გიორგი მელქაძე** თამაშობს.

ეს გუნდი შარშან შეიქმნა და მისი მთავარი მწვრთნელი ჯერ **ვიაჩესლავ დაევი** იყო, შემდეგ **სერგეი კირიაკოვი**. ქართველებს ორივე იწვევდა შემადგენლობაში. რუსების ეს ნაკრები შეხვედრებს სისტემატურად ატარებს და საერთაშორისო ტურნირებზეც ხშირად მონაწილეობს.

ასე მაგალითად, 2012 წლის აგვისტოში, ვალენტინ ივანოვის მემორიალზე მელქაძემ ფინალის გარდა ყველა შეხვედრა ჩაატარა: ბულგარეთთან და ისრაელთან შეცვლაზე, ბელარუსთან - ძირითადში, უკრაინასთან ფინალი კი გამოტოვა.

16-წლამდელი რუსები 2012 წლის 12 დეკემბერს იტალიელ თანატოლებს ესტუმრნენ და 1:3 წააგეს - ორივე ქართველი ძირითადში იყო. ნაკრების ამჟამინდელმა დამრიგებელმა კირიაკოვმა 2013 წელს ისევ დაუძახა შემადგენლობაში ყიფიანსა და მელქაძეს. 25 და 27 თებერვალს, ისრაელში იქაურ თანატოლებთან ყიფიანმა ორივე შეხვედრა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა, მელქაძე კი მეორე ტაიმში მოედანზე შეცვლაზე გამოჩნდა. რუსებმა პირველში 2:1 იმარჯვეს, მეორეში - 5:1. განსაკუთრებით კარგად ჩაატარა მეორე მატჩი ყიფიანმა - პირველი გოლი მისი გადაცემის შედეგად დანიშნული პენალტით გავიდა. მეორედ თავად წააქციეს და ისრაელის კარში მეორე თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, 62-ე წუთზე კი მეტოქის კარი უკვე ნიკამ აიღო.

გიორგი მელქაძე მოსკოვის "სპარტაკის" აღზრდილია, თამაშობს შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე და კლუბის ბომბარდირია. ასეთი შემთხვევა იყო - მოსკოვის ჩემპიონატის ერთ-ერთ შეხვედრაში 6 გოლი გაიტანა.

ნიკა ყიფიანი მოსკოვის "ლოკომოტივის" 17-წლამდელთა გუნდის პლეიმეიკერი, ბომბარდირი და ლიდერია. ის თბილისში დაიბადა, 15 წლისაა და სამშობლოში რეგულარულად ჩამოდის.

თავიდან „ნორჩ დინამოში" ვარჯიშობდა, რუსეთში კი შვიდი წლის წინ, ოჯახთან გაემგზავრა. თავდაპირველად **რინატ დასაევის** საფეხბურთო აკადემიაში ვარჯიშობდა, 2010 წელს კი მოსკოვის „ლოკომოტივის" ასაკობრივ გუნდში აიყვანეს. სწორედ იქ შენიშნეს რუსეთის ნაკრების სელექციონერებმა.

ნიკა ჯერჯერობით მოსკოვის „ლოკომოტივში" რჩება, რადგან რუსეთში ფეხბურთელის აღზრდისთვის უკეთესი პირობებია, თუმცა ევროპაში თამაშსა და საქართველოს ნაკრების ფორმის მორგებაზე ოცნებობს. "ლელოსთან" ინტერვიუში თქვა კიდეც - არჩევანის გაკეთებამ თუ მომიწია საქართველოს ეროვნულ გუნდში ვითამაშებო.

**მერაბ მამულაშვილი**

მათთვის, ვინც ფინანსური Fair Play-სგან შორს არის

# რატომ დაინტერესდნენ ტოტალიზატორები ჩვენი პირველი ლიგით?

უეფამ 2010 წელს ევროპული კლუბებისთვის უმკაცრესი ფინანსური სისტემა შეიმუშავა, რომელიც მალე ამოქმედდება. დიდი ხანია, რაც ამის შესახებ ლაპარაკობენ, მაგრამ ფინანსური Fair Play-ის (რომლის ინიციატორი უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინია**) შინაარსი ბევრისთვის უცნობია.

ამიტომაც ჯერ მოკლედ ამ სისტემაზე მოგახსენებთ, შემდეგ კი იმაზე, რა საფრთხე ელის ზოგიერთ ქართულ კლუბს.

ამ დოკუმენტზე უეფა ევროპის 55 ქვეყნის 660 კლუბთან ერთად მუშაობდა. თითოეული პუნქტი ხანგრძლივი სხდომების, განხილვების და დასაბუთებული მსჯელობის შემდეგ დაამტკიცეს.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ, უფრო მეტ და მკაცრ კონტროლს დაექვემდებარება კლუბების დაფინანსება, შემოსავლებისა და გასავლების წყაროები, საფეხბურთო კლუბები კი მეტ ყურადღებას დაუთმობენ აუდიტს...

პროექტის ავტორებს სურთ, რომ ტრანსფერების განხორციელებისას, შედარებით დაბალი რანგის კლუბები გრანდებთან მეტ-ნაკლებად თანაბარ პირობებში ჩააყენონ. უეფა იმედოვნებს, რომ ამ ნაბიჯით კლუბების ფინანსური რესურსების გამჭვირვალეობა იქნება უზრუნველყოფილი. ხმამაღლა არ ლაპარაკობენ, მაგრამ არსებობს ეჭვი, რომ გრანდების ნაწილი საკუთარ სახელს შავ-ბნელი გარიგებებისთვის იყენებს. ამგვარი ეჭვის საფუძველი მართლაც არსებობს, რადგან წამყვანი გუნდების სპონსორები მასობრივად გახდნენ ტოტალიზატორები.

*"2009 წელს, ევროპის წამყვან ჩემპიონატებში გუნდების ზარალმა 1.2 მილიარდ ევროს გადააჭარბა, მაგრამ ისინი აგრძელებენ არსებობას. საინტერესოა, როგორ? სწორედ ამ სტატისტიკის გაცნობის შემდეგ დაიწყო უეფამ შეზღუდვებზე მუშაობა. ყველა ამბობს, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს, თორემ კატასტროფა გარდაუვალია. ეს წესები, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ევროპის ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი რანგის კლუბზე გავრცელდება და შედეგს აუცილებლად გამოიღებს! მატარებელი უკვე დაიძრა და ვინც მას ჩამორჩება, საფეხბურთო სამყაროდან მოიკვეთება. წესების დამრღვევი კლუბები ევროპული გათამაშებებიდან მოიკვეთებიან, სატრანსფერო საქმიანობა შეეზღუდებათ და ფინანსური სანქციები დაუწესდებათ. საფეხბურთო ბიზნესმა უფრო რაციონალურად უნდა იმუშაოს. თუ რესტორანში შესულ ადამიანს ჯიბეში 100 ევრო აქვს, მეტს ვერ დახარჯავს. ზუსტად ასეთია ფინანსური Fair Play-ის ჯანსაღი ლოგიკა"*- ამბობს უეფას გენერალური მდივანი **ჯანი ინფანტინო**.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უეფას მიდგომა მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ამ ნაბიჯით უეფა ცდილობს, საკლუბო ფეხბურთი გამოიყვანოს იმ მდგომარეობიდან, რომელიც 2008 წლის მსოფლიოს კრიზისის შემდეგ შეიქმნა. კიდევ ერთი მიზანია, ფეხბურთს ჩამოშორდნენ საეჭვო რეპუტაციის პიროვნებები, რომელთა სამსახურითაც ზოგიერთი კლუბი და ორგანიზაცია სარგებლობს.

ახალ ცხოვრებასთან შეგუება ყველას მოუწევს. მართალს ბრძანებს უეფას პრეზიდენტი პლატინი - ფინანსური Fair Play ისევ კლუბებისთვის არის სასარგებლო. წარმოვიდგინოთ ასეთი მაგალითი: დავუშვათ, ერთ დილას ყატარელმა შეიხმა ცუდ ხასიათზე გაიღვიძა და პსჟ-ზე უარი თქვა. რა დღეში აღმოჩნდება კლუბი?! ცხადია, ეს საფრთხე ბევრ სხვა გუნდს ემუქრება.




ბუნებრივია, ფეხბურთს ინვესტორი სჭირდება, მაგრამ ფულის დაბანდებისას, ბიზნესმენი მის ამოღებაზეც უნდა ზრუნავდეს. სხვაგვარად თანხას წყალში გადაყრის. ბოლო 10 წლის განმავლობაში ევროპაში ბევრი არაბი, ჩინელი, რუსი თუ პოსტსაბჭოელი მილიარდელი გამოჩნდა. შეიხი **მანსური, რომან აბრამოვიჩი, არკადი გაიდამაკი, მუამარ კადაფის** ვაჟი, **ბულატ ჩაგაევი, ალიშერ უსმანოვი...** "გაზპრომი" ხომ მთელს ევროპას გადასწვდა. ბევრს მიაჩნია, რომ მათ ფეხბურთში ყველაფერი არიეს, რადგან, უპირველესად, შავი ფულის გათეთრებით არიან დაკავებულნი. ამიტომაც უეფა ახლა ფეხბურთში საგადასახადო ინსპექციის როლსაც შეითავსებს, პერიოდულად კლუბების ფინანსურ საქმიანობას შეამოწმებს და მათი ხარჯებისა და შემოსავლების წარმომავლობის დასაბუთებას მოითხოვს. ინფორმაციის გაყალბებაში ეჭვმიტანილი გუნდები დაისჯებიან და ლიცენზია ჩამოერთმევათ.

ვფიქრობთ, უეფას ინიციატივა ქართულ ფეხბურთში არსებული მდგომარეობის თუნდაც მცირედით გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. ბოლო დროს, ჩვენს სტადიონებზე საეჭვო ამბები ხდება და საფიქრალია, რომ კლუბების შემოსავლების წყაროებით დაინტერესების შემთხვევაში, ბევრ უცნაური ფაქტი გამომჟღავნდება.

გვაქვს დაზუსტებული და სანდო ინფორმაცია, რომ სახელმწიფო სტრუქტურები აწარმოებენ გამოძიებას - რა კავშირშია ზოგიერთი ქართული კლუბი ტოტალიზატორებთან. მსგავსი სკანდალი 2011 წელს მოხდა და მას უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ხუთი ფეხბურთელი შეეწირა. თუმცა, ფესვები გაცილებით ღრმად არის გამჯდარი და სავარაუდოდ, ეს ზომები არასაკმარისია.

მაშინდელმა შოკმა ბევრი გამოაფხიზლა, მაგრამ დროებით - გავიდა მცირე ხანი და ბოლო პერიოდში, ჩვენი დაბალი ლიგის თამაშებით ძალიან საეჭვოდ დაინტერესდნენ. კითხვა თავისთავად დაგებადება, როდესაც იტალიის, ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის, შოტლანდიისა და სხვა ცნობილი ლიგების მატჩების პარალელურად, აღმოაჩენ, რომ ტოტალიზატორში ფსონებს იღებენ საქართველოს პირველი ლიგის აბსოლუტურად უინტერესო მატჩებზე და მეტიც – ზოგიერთის პირდაპირი ვიდეორეპორტაჟიც მიმდინარეობს?! ასევე ეჭვი იბადება იმაზეც, რომ მოთამაშეთა შორის პირველი ლიგის ფსონებში პოპულარობით "მეტი გოლი" სარგებლობს.

ეს იმდენად დასაფიქრებელი ამბავია, რომ ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს, ქართველმა გულშემატკივარმა კი უნდა იცოდეს - რა ხდება ქართულ ფეხბურთში. ამის წამალი სწორედ ფინანსური Fair Play-ია: როდესაც კლუბის ბიუჯეტი 100 ათასი ლარია და წლიურად 200 ათასს ხარჯავს, იქ ყველაფერი სუფთად არ უნდა იყოს.

და თუ ქართულ ფეხბურთს სერიოზული რევიზია არ ჩაუტარდება, მანამდე არაფერი ეშველება.

**მერაბ მამულაშვილი**

რეგიონი

# ფარავანი მიდის... დაშლისკენ!


„ფარავანს" საფიქრალი მოეძალა

ჩვენი ქვეყნის რეგიონებში ფეხბურთის განვითარება, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია. მით უფრო, როდესაც საქმე ისეთ რაიონს ეხება, როგორიცაა ნინოწმინდა. აქ მოქმედი სპორტის არც ერთი სახეობა საქართველოს მასშტაბით ამინდის შემქმნელი ვერაა. ფეხბურთის გუნდით ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატში ნინოწმინდელები 1992 წლის შემდეგ აღარ ჩართულან. ამდენი ხნის უმოქმედობა შარშან შეწყდა, როდესაც მათი საფეხბურთო კლუბი „ფარავანი" მეორე ლიგაში ჩაერთო, თუმცა აღმოჩნდა, რომ ესოდენ სასიკეთო საქმისთვის ადგილზე, ცოტა არ იყოს, არასერიოზულად მოეკიდიათ ხელი და ადვილი შესაძლებელია კლუბი ისევ დაიშალოს. გუნდის მთავარი მწვრთნელი **ალექსი მერაბიანია**, რომლის იდეაც იყო ორი ათეული წლის წყვეტის შემდეგ „ფარავანის" ხელახალი აღორძინება. ეს ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა მწვრთნელად გორის ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში და წარმოშობით ნინოწმინდის რაიონიდანაა. გუნდის აღდგენაზე და შექმნილ პრობლემებზე ალექსი მერაბიანი გვესაუბრა:

*„გასულ წელს „ფარავანის" აღდგენის შესახებ ჩემი ინციატივა ადგილობრივ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და საქართველოს პარლამენტში ნინოწმინდის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს გავაცანი. ყველა ძალიან კმაყოფილი დარჩა. მხარდაჭერა აღმითქვეს და მითხრეს საქმეს შევდგომოდი. ბუნებრივია, რაიონის ხელმძღვანელობის სურვილი იყო „ფარავანს" საშინაო შეხვედრები შინ ჩაეტარებინა და საამისო წინაპირობა გახდა 1 ივნისს განახლებული საფეხბურთო მოედნის გახსნა. მე და გუნდის უფროსი სოსო მახარობლიძე შევუდექით გუნდის შემადგენლობის შეკრებას. ვინაიდან ადგილზე საფეხბურთო კლუბი წლების განმავლობაში ფაქტობრივად არ ფუნქციონირებდა, გუნდის მთლიანად მოწვეული ფეხბურთელებით დაკომპლექტებამ მოგვიწია. პარალელურად ყველაფრის საქმის კურსში ვაყენებდით რაიონის თავკაცებს. მიუხედავად იმისა, რომ დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა იგვიანებდა, მათი მითითებით მაინც ჩავერთეთ მეორე ლიგის აღმოსავლეთ ქვეჯგუფის გათამაშებაში. გვქონდა იმედი, რომ ხელმძღვანელი თანამდებობის პირები პირობას შეასრულებდნენ. თავის მხრი, მეორე ლიგის გათამაშების ორგანიზატორმა თბილისის ფეხბურთის ფედერაციამაც გაითვალისწინა პერიფერიაში ფეხბურთის აღდგენის მისასალმებელი იდეის მნიშვნელობა და გადაწყვიტა ჩვენთვის ცოტა ედროვებინა სამონაწილეო თანხის (8 ათასი ლარი) გადახდა. სამწუხაროა, რომ რაიონის ხელისუფლებას დანაპირები დღემდე არ შეუსრულებია და ჩემპიონატის დასაწყისიდან დღემდე ყველა ხარჯის გაწევა, გუნდის ეკიპირებით დაწყებული და სამგზავრო თანხით დამთავრებული, ჩვენ თვითონ გვიწევს. რასაკვირველია, ეს სახსრები ჰაერიდან არ მოგვცვლია. მაგალითად, მე საკუთარი ავტომანქანა გავყიდე, რითაც გუნდის დავალიანებების ნაწილი დავფარე. რაიონის ყველა ხელმძღვანელთან (საკრებულოს თავმჯდომარე ვლადიმერ სტამბოციანი, გამგებელი სამსონ ფნჯოიანი, მაჟორიტარი დეპუტატი ენძელა მკოიანი) არაერთხელ დავაყენე საკითხი „ფარავანის" შეპირებული დაფინანსების გასტუმრების თაობაზე, თუმცა ამაოდ. ყველა მათგანი გულთბილად გვხვდება, გვიდასტურებს, რომ გუნდის არსებობით ისინი დაინტერესებულნი არიან, რომ დაფინანსებასაც აუცილებლად გამოგვინახავენ, მაგრამ დღემდე 1 თეთრი არავის მოუცია! ყოველივე ეს, ცხადია, მოქმედებს ფეხბურთელთა საბრძოლო სულისკვეთებაზე და თუ „ფარავანმა" ჩემპიონატის სასტარტო ორი ტური ზედიზედ მოიგო, ჯერ ხაშურში „ივერიასთან" და შემდეგ შინ „ალგეთთან", მომდევნო ტურებში გამარჯვებისთვის ერთხელაც აღარ მიუღწევია და სატურნირო ცხრილის აუტსაიდერად იქცა. არადა, ლაპარაკია გუნდის წელიწადში 50-60 ათასი ლარით დაფინანსებაზე, რომელიც ამ რაიონის საერთო ბიუჯეტიდან გამომდინარე ნამდვილად ზღვაში წვეთია"* — გვითხრა მერაბიანმა.

დავუკავშირდით მეორე ლიგაში შეჯიბრების ორგანიზატორს, თბილისის ფეხბურთის ფედერაციას. გენერალურმა მდივანმა **რევაზ მგელაძემ** დაგვიდასტურა, რომ „ფარავანმა" ჩემპიონატის ყველა შეხვედრაში ნამდვილად მიიღო მონაწილეობა და რომ გუნდს გადახდილი აქვს 8-ათასლარიანი სამონაწილეო თანხიდან მხოლოდ 1400 ლარი.

ნინოწმინდის რაიონის გამგებელმა **სამსონ ფნჯოიანმა** ტელეფონით საუბრისას გვითხრა: *„ჩემთვის ცნობილია საფეხბურთო კლუბ „ფარავანთან" დაკავშირებული პრობლემების შესახებ. ნამდვილად ვაპირებთ ამ გუნდის დაფინანსებას. დაინტერესებული ვართ ფეხბურთის შენარჩუნებით ნინოწმინდაში. სამწუხაროდ, აქამდე პრობლემების გამო ვერ შევძელით თანხის გადახდა და სავარაუდოდ უახლოეს ხანებში აუცილებლად გავისტუმრებთ მას".*

**ვასილ ბალახაძე**

## პირველი ლიგა

### გადადებული მატჩები

### A ჯგუფი

**სასკო-გურია 1:0**

1:0 ჯ. იამანიძე (60).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 21 | 17 | 2 | 2 | 57-13 | 53 |
| 2. სასკო | 21 | 15 | 2 | 4 | 60-20 | 47 |
| 3. გაგრა | 21 | 14 | 1 | 6 | 43-22 | 43 |
| 4. დინამო 2 | 21 | 12 | 4 | 5 | 64-31 | 40 |
| 5. სტუ | 21 | 9 | 2 | 10 | 43-51 | 29 |
| 6. მეშახტე | 21 | 8 | 4 | 9 | 25-45 | 28 |
| 7. სძური | 21 | 7 | 6 | 8 | 23-34 | 27 |
| 8. ბეთლემი | 21 | 8 | 2 | 11 | 26-43 | 26 |
| 9. იმერეთი | 21 | 6 | 4 | 11 | 21-31 | 22 |
| 10. ჭიათურა | 21 | 4 | 5 | 12 | 19-37 | 17 |
| 11. სულორი | 21 | 4 | 4 | 13 | 18-47 | 16 |
| 12. რაჭა | 21 | 3 | 2 | 16 | 22-47 | 11 |

### B ჯგუფი

**სპარტაკი – ადელი 5:0**

23.03. თბილისი. ბენდელა. 100 მაყურებელი

1:0 თ. მაქაცარია (30), 2:0 თ. მაქაცარია (36), 3:0 ზ. მეტრეველი (60, პენალტით), 4:0 ვ. კილასონია (78), 5:0 ლ. ქურდაძე (90)

სპარტაკი: ვ. ზუხბაია (71. გ. გიორგობიანი), ლ. ჭაფოძე, ნ. მგელაძე, ლ. ქურდაძე, გ. ლემონჯავა, თ. შონია (64. კ. კაკაშვილი), ვ. კილასონია, თ. თუხარელი (22. თ. მაქაცარია), გ. ნარიმანიძე, კ. ხიზანეიშვილი, ზ. მეტრეველი

სათადარიგოები: გ. ხარაზიშვილი, ლ. თვალავაძე, უ. ბურძენაძე, ა. ხუბეჟოვი

მწვრთნელი: ვ. ხაჩიძე

ადელი: გ. რომანაძე, ნ. წულუკიძე, კ. ბაგალიშვილი, ლ. სიხარულიძე (70. ლ. კოშაძე), ა. ფარტენაძე, ნ. დავითაძე (59. თ. გიორგაძე), თ. მუავანაძე, ბ. ჯუგაშვილი, გ. სირაბიძე, ი, ლოლობერიძე (63. თ. ხაბელაშვილი), ბ. კახაძე

მწვრთნელი: გ. ნაგერვაძე

გაფრთხილება: ლ. ქურდაძე; ბ. ჯუგაშვილი

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 19 | 17 | 1 | 1 | 55-8 | 52 |
| 2. შუქურა | 19 | 12 | 3 | 4 | 33-13 | 39 |
| 3. კოლხეთი | 19 | 12 | 2 | 5 | 28-19 | 38 |
| 4. ლოკომოტივი | 20 | 11 | 4 | 5 | 51-23 | 37 |
| 5. სამგურალი | 19 | 9 | 5 | 5 | 40-29 | 32 |
| 6. სამტრედია | 19 | 10 | 2 | 7 | 27-24 | 32 |
| 7. ალგეთი | 19 | 7 | 3 | 9 | 28-31 | 24 |
| 8. მერცხალი | 19 | 3 | 7 | 9 | 26-32 | 16 |
| 9. ლიახვი | 19 | 3 | 4 | 12 | 17-43 | 13 |
| 10. ადელი | 19 | 3 | 0 | 16 | 20-60 | 9 |
| 11. ჩხერიმელა | 19 | 2 | 1 | 16 | 17-60 | 7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი



2001 წელი. „ლივერპულის“ ვარსკვლავები მაიკლ ოუენი, რობი ფაულერი, ჯეიმი კარაგერი და სტივენ ჯერარდი უეფას თასის მოგებას ზეიმობენ

# ის იყო უდიდესი ბომბარდირი

## ჯეიმი კარაგერი: ოუენმა კარიერაში ბევრი შეცდომა დაუშვა

**თვეზე ცოტა მეტია გასული მას მერე, რაც „ლივერპულის“ ლეგენდამ, 34 წლის ჯეიმი კარაგერმა დაადასტურა, რომ სეზონის ბოლოს ფეხბურთიდან მიდის. რამდენიმე დღის წინ კი ანალოგიური განცხადება გააკეთა კიდევ ერთმა მერსისაიდელმა, 33 წლის მაიკლ ოუენმა. კარამ „დეილი მეილთან“ ინტერვიუში მეგობარზე, ვისთან ერთადაც „ენფილდზე“ 8 წელინადი აგორებდა ბურთს, ვრცლად ილაპარაკა. მაშ ასე:**

იმისთვის, რომ მაიკლ ოუენს ჩვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დაეტოვებინა, „ენფილდზე“ ინგლისის ახალგაზრდული თასის მატჩში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ჰეთთრიკი საკმარისი იყო. იქამდე მისი სახელი გვსმენოდა, როგორც ფეხბურთელის, ვისაც თვალი არ უნდა მოაცილო. მაგრამ 1996 წლის გაზაფხულის იმ საღამოს გავიფიქრე, რომ მაიკლი განსაკუთრებული იქნებოდა. დამაგვირგვინებელ ფაზაში ის იმდენად მშვიდი იყო, როგორსაც 16 წლის ბიჭისგან არ ელოდები. მე არასოდეს მოვრიდებივარ ბურთისთვის ხისტ ორთაბრძოლებს, მაგრამ რამდენჯერმე მან სახტადაც კი დამტოვა. მაიკლს გამარჯვებისკენ განსაკუთრებული სწრაფვა ჰქონდა და რაღაც იდუმალ შინაგან ძალას ფლობდა.

12 თვის შემდეგ ჩვენ ერთად გადაგვიყვანეს პირველ გუნდში. რადგან ყველაზე პატარები ვიყავით, დავმეგობრდით და ერთ ოთახში დავსახლდით. სადებიუტო შეხვედრაში „უიმბლდონთან“ მან საოცარი გოლი გაიტანა და თავისი თაობის ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელად იქცა. მას მერე, რაც მაიკლმა წლის ფეხბურთელის ტიტული მოიპოვა, თუკი ვინმე იწინასწარმეტყველებდა, რომ მას „სტოკის“ სათადარიგო ფეხბურთელის რანგში მოუწევდა კარიერის დასრულება, ალბათ გულიანად დასცინებდნენ, მაგრამ ეს მაინც ასე მოხდა. ამის უპირველესი მიზეზი ტრავმებია. მას მერე, რაც მან სისწრაფე დაკარგა, ის აღარ იყო ძველი მაიკლი. 1999 წლის აპრილში „ლიდსთან“ მუხლის მყესების ტრავმამ, ხოლო 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მუხლის ჯვარედინი იოგების გაწყვეტამ მასზე დამთრგუნველად იმოქმედა. ამას გარდა ის საჯარიმოში მოქმედი ვირტუოზი იყო, რომელსაც მოედანზე სულ სხვა ფუნქცია მოუნახეს, 4-3-3 და 4-2-3-1 სქემებში მისი საუკეთესო თვისებები დაიკარგა.

მაიკლი ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ საუკეთესო იყო და სულაც არ ანალვლებდა, რომ ძირითადში რობი ფაულერის ან სტენ კოლიმორის ადგილი უნდა დაეკავებინა. პირადად ვარ მოწმე, რომ მას შეეძლო თავისი პრობლემები გვერდით გადაედო და მაინც ეფექტური ყოფილიყო, როცა ეს გუნდს სჭირდებოდა. წლების წინ მას ყველა გამოწვევაზე ჰქონდა პასუხი.

სწორედ ამიტომ იყო, რომ „რეალმა“ ოუენზე შეაჩერა არჩევანი. ამერიკაში გამართული შეკრებისას მან მითხრა, რომ მადრიდიდან ჰქონდა შეთავაზება და სერიოზულად ფიქრობდა. „ლივერპულმა“ იმ წელს ჯიბრილ სისე იყიდა, მილან ბაროში ევრო 2004-დან ბომბარდირის ტიტულით დაგვიბრუნდა. მაიკლი ფიქრობდა, რომ ცხოვრებაში ახალი ეტაპის დასაწყებად დრო კარგად ჰქონდა შერჩეული. მე ვუთხარი, რომ ის ცდებოდა, რომ „რეალში“ ძალიან ბევრი ტოპკლასის ფეხბურთელი იყო თავმოყრილი და მას თამაშის საშუალება არ მიეცემოდა. იმისთვის, რომ „რეალში“ თავი დაიმკვიდრო, უფრო მეტი უნდა იყო, ვიდრე უბრალოდ ბომბარდირი. ჩემმა არგუმენტებმა არ გაჭრა. მაიკლმა ურთულეს პირობებში თავისი საქმე მაინც გააკეთა. ძირითადში ცოტას თამაშობდა, მაგრამ 45 შეხვედრაში 16 გოლი გაიტანა. შეიძლება მან ტიტულები ვერ მოიგო, მაგრამ მისი რეპუტაცია არ დაზარალებულა. 12 თვის თავზე მას შეეძლო „ლივერპულში“ დაბრუნებულიყო, მაგრამ „ნიუკასლმა“ მასში მეტი გადაიხადა.

ოუენს 2009 წელსაც ჰქონდა მსგავსი შანსი. დარწმუნებული ვარ, გულშემატკივრები მას სიხარულით მიიღებდნენ უკან. რაფა ბენიტესს მივწერე კიდეც, რომ შეგვეძლო მაიკლი უფასოდ დაგვემატებინა, როგორც თავისუფალი აგენტი. ამის მაგივრად ესპანელმა „ჰერტადან“ იჯარით გაშვებული ანდრეი ვორონინი დაიბრუნა. „იუნაიტედში“ გადასვლა კიდევ ერთი შეცდომა იყო. ამ ნაბიჯით მან თავად გადაუსვა ხაზი ყველანაირ შანსს, „ლივერპულის“ გულშემატკივრებთან ურთიერთობა აღედგინა. იმის თქმაც შეიძლება, რომ ის ვერც მანჩესტერელებისთვის გახდა ახლობელი, „მანჩესტერ სიტის“ კარში გატანილი გამარჯვების გოლის შემდეგაც კი. შესაძლოა, მას უნდა გაერისკა და რამდენიმე წლის წინ წასულიყო სათამაშოდ ამერიკაში ან ახლო აღმოსავლეთში, რადგან მეჩვენება, რომ არასწორია, „სტოკი“-„საუთჰემპტონის“ მატჩზე ოუენი სათადარიგოთა შორის იჯდეს.

ამ ყოველივეს გამო მასზე ჩემს აზრს არ შევიცვლი. ის იყო უდიდესი ბომბარდირი, რომელსაც ბრწყინვალე მომენტების შექმნა შეეძლო. 2001 წელს „მილენიუმზე“ თასის ფინალში მისი გოლი დევიდ სიმენის კარში უმშვენიერეს მომენტად რჩებოდა ჩემს კარიერაში სტამბულის ფინალამდე. გასაგები მიზეზების გამო „არსენალთან“ შეხვედრა ჩემთვის ყოველთვის დარჩება „ოუენის ფინალად“.

პერსპექტივა

# რეინჯერსი შოტლანდიას დატოვებს



„რეინჯერსის“ აღმასრულებელი დირექტორი ჩარლზ გრინი

დიახ, „რეინჯერსის“ ერთ-ერთ მთავარ მეწილესა და კლუბის აღმასრულებელ დირექტორ **ჩარლზ გრინს** მიაჩნია, რომ „რეინჯერსისა“ და „სელტიკის“ მიერ შოტლანდიის ჩემპიონატის დატოვება და სათამაშოდ ინგლისში გადაბარგება მხოლოდ და მხოლოდ დროის საკითხია და ეს პროცესი დღეს და ხვალ თუ არა, 10 წლის შემდეგ მაინც დაიძვრება მკვდარი წერტილიდან. აი, რა თქვა 59 წლის ფუნქციონერმა „სკოტიშ დეილი რეკორდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში:

- ერთი კვირის შემდეგ იქნება ეს, თუ 10 წლის შემდეგ, არ ვიცი, მაგრამ „რეინჯერსი“ და „სელტიკი“ დატოვებენ შოტლანდიის ჩემპიონატს. ძალიან მინდა, რომ ეს, მინიმუმ, ხუთი წლის შემდეგ გახდეს შესაძლებელი. ინგლისურ კლუბებს ვთხოვ, ნუ შეეშინდებათ ამის. გაჩნდება უცხოური ლიგები, რომელიც შეცვლის ევროპული ფეხბურთის სახეს. პრემიერლიგური კლუბების აღმასრულებელ დირექტორებს ველაპარაკე. ისინი სიამოვნებით მიიღებდნენ ჩვენს კლუბს თავიანთ რიგებში. ოციდან მხოლოდ ორმა თქვა „არა“. აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ არ მაქვს პრეტენზია, „რეინჯერსი“ პირდაპირ პრემიერლიგაში დაუშვან. იქამდე ქვედა ლიგებში უნდა მოვძლიერდეთ, რათა გამოწვევებისთვის მზად აღმოვჩნდეთ.

ჩემპიონშიპი

# საუკეთესოები ქვედა ლიგებში

ლონდონში ინგლისის ქვედა ლიგების საუკეთესო ფეხბურთელების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. წლის მოთამაშის პრიზი ჩემპიონშიპში „უოტფორდის“ 20 წლის ჩეხმა თავდამსხმელმა **მატეი ვიდრამ** მოიპოვა; მისი უშუალო კონკურენტები იყვნენ „კრისტალ პალასის“ ფორვარდი **გლენ მარი** და „ბლექპულის“ 21 წლის ნახევარმცველი **ტომას ინსი**.

ლიგა ერთში ანალოგიური აღიარება მოიპოვა ბორნმუთელმა **მეტ რიჩიმ**, ლიგა ორში პორტვეილელმა **ტომ პოუპმა**. ჩემპიონშიპში წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად აღიარეს ტომას ინსი, ვინც ცერემონიალზე მამამისთან, **პოლ ინსთან** ერთად გამოცხადდა. პრიზი გამორჩეული სამწვრთნელო მიღწევისთვის „ბრედფორდის“ თავკაც **ფილ პარკინსონს** გადაეცა, ვისმა გუნდმაც ლიგის თასის ფინალში გააღწია, გზად ჩამოიშორა რა „არსენალი“, „უიგანი“ და „ასტონ ვილა“.



მატეი ვიდრას ნაცვლად საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი უოტფორდის თავკაცმა ჯანფრანკო ძოლამ ჩაიბარა

დაბოლოს, ლიგამ ინგლისის ნაკრების ლეგენდარული მეკარე **პეტერ შილტონი** ფეხბურთის ერთგულებისთვის საპატიო პრიზით დააჯილდოვა.

ამბები

## სანი: მოურინიო ჩელსის უბრუნდება

„სანის“ მტკიცებით, „სტემფორდ ბრიჯზე“ ბრაზილიისა და რუსეთის ნაკრებების ამხანაგურ შეხვედრაზე სტუმრად მიწვეულ **ჟოზე მოურინიოს** ლონდონში ყოფნით უნდა ესარგებლა და „ჩელსის“ წარმომადგენლებთან მომავალი თანამშრომლობის დეტალები შეეთანხმებინა. წყაროს ცნობით, შეხვედრა „განსაკუთრებულ კაცსა“ და **რომან აბრამოვიჩს** შორის გუშინ ლონდონის დროით 16:30-ზე უნდა შემდგარიყო, მაგრამ... ალბათ ზედა ინფორმაცია უკვე წაკითხული გექნებათ და გეცოდინებათ, რომ ლონდონური კლუბის მესაკუთრე გუშინ ოკეანისგაღმა იმყოფებოდა. შესაბამისად, გვგონია, რომ „სანის“ ინფორმაცია მთლად სანდო არ უნდა იყოს. შეგახსენებთ, რომ 50 წლის პორტუგალიელი „ჩელსის“ 2004/07 წლებშიც წვრთნიდა.



## რომან აბრამოვიჩი დააკავეს?

გუშინ რუსული ინტერნეტსივრცე სენსაციურმა ინფორმაციამ წალეკა: PQK-IV-ს ცნობით, ამერიკის ფედერალურმა საგამოძიებო სამმართველომ (FBI) აშშ-ის ტერიტორიაზე რუსი მილიარდერი **რომან აბრამოვიჩი** დააკავა. წყაროს არ დაუზუსტებია, თუ რასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ეს ფაქტი. ბიზნესმენის პრესსამსახურის წარმომადგენელმა **ჯონ მანმა** უარყო დაკავების ფაქტი, თუმცა დაადასტურა, რომ რომან არკადიჩი გუშინ მართლაც იმყოფებოდა FBI-ის ერთ-ერთ ოფისში, სადაც გამომძიებლებმა ის დაკითხვაზე დაიბარეს.

*P.S გუშინ საღამოს მილიარდერის დაკავება ბრიტანულმა წყაროებმაც ერთხმად უარყვეს.*

## ვესტ ჰემი ადიდასს უბრუნდება

„ვესტ ჰემს“ ტექნიკურ სპონსორ „მაკრონთან“ კონტრაქტი 2013 წლის ზაფხულზე უმთავრდება. ლონდონელებმა, შესაძლოა, „ადიდასთან“ გააფორმონ ხელშეკრულება, რადგან უკანასკნელი მათ ბევრად უფრო სარფიან წინადადებას სთავაზობს. აღსანიშნავია, რომ „ჩაქუჩებს“ ამ ფირმის ტანსაცმელი 1980-დან 1987 წლამდე ემოსათ. გეტყვით იმასაც, რომ გერმანელები რამდენიმე თვის წინ „არსენალის“ მოხიბვლასაც ცდილობდნენ, თუმცა „მეთოფეებმა“ მათთან გარიგებაზე უარი თქვეს და „ნაიკის“ ერთგულნი დარჩნენ.

## იუნაიტედში წმენდა ჩატარდება

GOAL.COM-ის ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ უშუალო კონკურენტებს უზარმაზარი სხვაობით უსწრებს და ჩემპიონის ვინაობა უკვე დიდი ხნით ადრეა ცნობილი, სერ ალექს ფერგიუსონმა სეზონის დასრულებისთანავე გუნდში შეიძლება სერიოზული „წმენდა“ ჩაატაროს. არ არის გამორიცხული, „ოლდ ტრეფორდის“ დატოვება ისეთ ფეხბურთელებს მოუხდეთ, ვისაც გულშემატკივარი ძნელად თუ წარმოიდგენს. **ლუიშ ნანის** წასვლაზე თუ ფეხბურთის გულშემატკივარს არაერთხელ სმენია, **ანტონიო ვალენსიას** ტრანსფერი ნამდვილად გაგაკვირვებთ. ამას გარდა ლაპარაკია **ანდერსონის, ხავიერ ერნანდესისა** და **ანდერს ლინდეგორის** წასვლაზეც. 71 წლის შოტლანდიელს უპირველესად სახელფასო ფონდის მაქსიმალურად შემცირება აქვს განზრახული.

## ბლექბერნს ეშველა

ჩემპიონშიპის აუტსაიდერმა „ბლექბერნმა“ დიდი ხნის წვალების შემდეგ, რაკი ვერც ერთი სახელოვანი მწვრთნელი „ივუდ პარკზე“ მუშაობაზე ვერ დაითანხმა, გუნდი სეზონის ბოლომდე **გარი ბოიერს** ჩააბარა, ვინც აქამდე 17-წლამდელთა გუნდს ედგა სათავეში. „ვარდებს“ მიმდინარე სეზონში უკვე მე-4 მთავარი მწვრთნელი ჰყავთ. ხელმძღვანელობამ გასული წლის შემოდგომიდან მოყოლებული **სტივ კინს, ჰენინგ ბერგსა** და **მაიკლ ეპლტონს** მიუთითა კარისკენ.

## სინკლერი ტრანსფერზე?

სეზონის დასრულების შემდეგ „მანჩესტერ სიტიმ“ „სუონსისგან“ 6,2 მილიონ ფუნტად ნაყიდი 23 წლის ნახევარმცველი **სკოტ სინკლერი** შეიძლება ტრანსფერზე დააყენოს. მარცხენა შემტევ ნახევარმცველს „ეტიჰადზე“ გადასვლის შემდეგ სათამაშო პრაქტიკა აკლია, რის გამოც მისი პროფესიული განვითარება შეფერხდა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ „საუთჰემპტონი“ მზადაა, ინგლისის მოქმედ ჩემპიონთან მოლაპარაკებები წამოიწყოს. „წმინდანებს“ „ევერტონისა“ და „ასტონ ვილას“ კონკურენციის გაძლება მოუწევთ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ჩვენი ჯგუფი**

# ვისთვის დაგრძელდება



დღეს მთელი საფეხბურთო მსოფლიოს ყურადღება პარიზის "სტად დე ფრანსისკენ" იქნება მიპყრობილი – დიდი ალბათობით, დღეს გაირკვევა, ვინ გაიმარჯვებს ბრაზილიური მუნდიალის იმ შესარჩევ ჯგუფში, რომელშიც საქართველოს ნაკრები თამაშობს.

თუ ესპანეთის ნაკრებმა პარიზში ფრანგებს ვერ სძლია და შემდეგ სამფეროვნებმა უდანაკარგოდ იასპარეზეს. მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონი ბრაზილიისკენ მიმავალ გზას დაიგრძელებს და პლეი ოფში ითამაშებს.

ესპანელებმა გასულ პარასკევს შინ ფინეთთან 1:1-ით განწყობაც წაიხდინეს და სატურნირო მდგომარეობაც გაიუარესეს, თუმცა **დიდიე დეშამის** გუნდი მანამდეც საკმაოდ კომფორტულად გრძნობდა თავს, რასაც გასულ შემოდგომაზე ესპანეთში ნათამაშები 1:1-ით მიაღწია. როგორც უკვე ვთქვით, ფრე მისალები შედეგი მასპინძლებისთვის იქნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფრანგები გამარჯვებაზე არ ფიქრობენ – ისინი ხომ სამი ქულით პირველადგილოსანთან დაკავშირებულ ყველა კითხვის ნიშანს გააქრობენ.

*"შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე ოთხი მატჩი დაგვრჩა და თითოეული მათგანი მნიშვნელოვანია, თუმცა, რა თქმა უნდა, პარიზში გასამართ შეხვედრას ჩვენთვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ფინეთთან დაკარგული ქულების მიუხედავად, ოპტიმისტურ განწყობას ვინარჩუნებთ"*, - განაცხადა ესპანელთა თავკაცმა **ვისენტე დელ ბოსკემ**.

ესპანეთის ნაკრებს მიკროტრავმების შემდეგ უბრუნდებიან **ჩავი** და **ხაბი ალონსო, იკერ კასილასის** ადგილს კი კარში, სავარაუდოდ, კვლავაც ბარსელონელი ვიქტორ ვალდესი დაიკავებს.

## ევროპა

### ბრიტანელები ბალკანეთში

**ორი ბრიტანული ნაკრები ბალკანეთს ეწვევა, თუმცა ამ მატჩებს შორის სხვაობა ისეთივეა, როგორც ცასა და დედამიწას შორის – თუ A ჯგუფში ბოლოსწინა ადგილზე მყოფი სერბეთი, ბოლო პოზიციაზე მყოფ შოტლანდიას უმასპინძლებს, H ჯგუფში ლიდერების შეხვედრა უნდა გაიმართოს, რომელმაც შესაძლოა ძალიან ბევრი რამ გადაწყვიტოს.**

**გარდა ამ ორი შეხვედრისა, ევროპაში კიდევ არაერთი საინტერესო და რაც მთავარია, მნიშვნელოვანი მატჩი გველის...**

**A ჯგუფი**

**26 მარტი**

| | |
|---|---|
| სერბეთი-შოტლანდია | 23:30 |
| ბელგია-მაკედონია | 23:45 |
| უელსი-ხორვატია | 23:45 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 5 | 4 | 1 | 0 | 10-1 | 13 |
| 2. ხორვატია | 5 | 4 | 1 | 0 | 8-2 | 13 |
| 3. უელსი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-12 | 6 |
| 4. მაკედონია | 5 | 1 | 1 | 3 | 3-6 | 4 |
| 5. სერბეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-7 | 4 |
| 6. შოტლანდია | 5 | 0 | 2 | 3 | 3-7 | 2 |

### ბეილმა შესაძლოა ვერ ითამაშოს

A ჯგუფის ყველაზე საინტერესო მატჩი კარდიფში შედგება, სადაც სტუმრად ერთ-ერთი ლიდერი, ხორვატიის ნაკრები ჩადის. **იგორ შტიმაცის** შეგირდები ამ შეხვედრას კარგ ხასიათზე ხვდებიან, რადგან რამდენიმე დღის წინ, ყველაზე პრინციპული მეტოქე, სერბეთის ნაკრები დაამარცხეს. დერბი მოიგო უელსმაც, რომელმაც შოტლანდიას სძლია, არადა, **კრის კოულმენის** შეგირდები თავიდან მარცხდებოდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში **აარონ რემსისა** და **ჰალ რობსონ-კანუს** გოლების წყალობით, უელსელებმა გლაზგოდან სამი ქულა წამოიღეს.

ხორვატიასთან საეჭვოა **გარეთ ბეილის** თამაში და თუ „ტოტენჰემის" ლიდერი მოედანზე ვერ გავა, მასპინძლების შანსები ძალიან შემცირდება. ბეილს შოტლანდიასთანაც არ უნდა ეთამაშა, მაგრამ ის მოედანზე მაინც გავიდა, თუმცა კოულმენმა პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალა, რადგან 23 წლის ფეხბურთელმა ტრავმა გაიმიზეზა. უელსის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის საკითხი თამაშამდე გადაწყდება. სამაგიეროდ, აქედანვე ცნობილია, რომ მასპინძლებს აარონ რემსი არ ეყოლებათ – „არსენალის" ნახევარმცველი სკოტებთან შეხვედრის ბოლო წამებზე გააძევეს.

ბელგიამ და მაკედონიამ რამდენიმე დღის წინ სკოპიეში ითამაშეს, ახლა კი ეს გუნდები ერთმანეთს ბრიუსელში შეხვდებიან. მაკედონიაში სტუმრებმა 2:0 იმარჯვეს და წესით, სამი ქულა ამჯერადაც განსაკუთრებული პრობლემის გარეშე უნდა აილონ. ამ ჯგუფში პირველი ადგილისთვის სწორედ ბელგია და ხორვატია იბრძვიან და ამ ორი გუნდისთვის, თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ ჯგუფის გადამწყვეტი შეხვედრა 11 ოქტომბერს გაიმართება, როდესაც ორი ლიდერი ერთმანეთს ხორვატიაში შეხვდება. იქამდე, ხორვატთა და ბელგიელთა მთავარი მიზანი ქულათა მაქსიმუმის მოგროვებაა.

**B ჯგუფი**

**26 მარტი**

| | |
|---|---|
| სომხეთი-ჩეხეთი | 20:00 |
| დანია-ბულგარეთი | 23:15 |
| მალტა-იტალია | 23:45 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 4 | 3 | 1 | 0 | 10-4 | 10 |
| 2. ბულგარეთი | 5 | 2 | 3 | 0 | 10-3 | 9 |
| 3. დანია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 5 |
| 4. ჩეხეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-4 | 5 |
| 5. სომხეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 6. მალტა | 4 | 0 | 0 | 4 | 1-12 | 0 |

### ორი ექვსქულიანი მატჩი

იტალიის ნაკრები მალტას სტუმრობს. ხუთშაბათს, აპენინელებმა ბრაზილიის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში არ წააგეს, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან მეტოქეს ორბურთიანი სხვაობით ჩამორჩნენ. ამჯერად, **ჩეზარე პრანდელის** გუნდის მეტოქე გაცილებით სუსტი გუნდია, რომელთანაც იტალიას აქამდე ხუთი მატჩი გაუმართავს და რა გასაკვირია, რომ ხუთივე მოგებული აქვს.

ამ ჯგუფის დარჩენილი ორი მატჩი უფრო დიდ ინტერესს იწვევს, რადგან ერთმანეთს კონკურენტები ხვდებიან. ორივე შეხვედრა ე.წ. 6-ქულიანი მატჩია და მათ საბოლოოდ შედეგზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

დაუმარცხებელი ბულგარელები, რომლებიც პარასკევს მალტას 6:0 მოუგეს, დანიას ესტუმრებიან, რომელმაც თავის მხრივ, ბევრისთვის მოულოდნელად, ჩეხეთში მოიგო (3:0). აღსანიშნავია, რომ სლავებს სკანდინაველები ბოლოს 1979 წელს ჰყავთ დამარცხებული და იქიდან მოყოლებული გამართულ 7 შეხვედრაში 3-ჯერ დანიამ იმარჯვა, 4 მატჩი კი ფრედ დასრულდა.

ერევანს დანიასთან შერცხვენილი ჩეხეთი ეწვევა და ხასიათის გამოკეთებას ეცდება. თავის მხრივ, სომხეთისთვის ეს მატჩი პრაქტიკულად ბოლო შანსია – ზედიზედ განცდილი ორი მარცხის შემდეგ (ბულგარეთში და იტალიასთან), **ვარდან მინასიანის** შეგირდები ვალდებულნი არიან მოიგონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვება არარეალური გახდება.

**C ჯგუფი**

**26 მარტი**

| | |
|---|---|
| გერმანია-ყაზახეთი | 23:45 |
| ირლანდია-ავსტრია | 23:45 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 5 | 4 | 1 | 0 | 18-6 | 13 |
| 2. შვედეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-5 | 8 |
| 3. ავსტრია | 4 | 2 | 1 | 1 | 11-2 | 7 |
| 4. ირლანდია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-8 | 7 |
| 5. ყაზახეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 1-11 | 1 |
| 6. ფარერები | 4 | 0 | 0 | 4 | 2-15 | 0 |

### კონკურენტების ჯახი დუბლინში

დუბლინში ირლანდია ავსტრიას უმასპინძლებს. ორივე გუნდს 7 ქულა აქვს და მეორე ადგილისთვის იბრძვის. მათი კონკურენტი შვედეთის ნაკრები ამ დღეს ისვენებს. ასე რომ, თუ რომელიმე გუნდმა მოიგო, ის დროებით მეორე ადგილზე გადავა. **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდმა შვედეთში ქულა მოიპოვა, რაც დადებით შედეგად უნდა შევაფასოთ, ავსტრიელებმა კი კუნძულელები გაანადგურეს (6:0) და ზედიზედ მეორე მატჩი მოიგეს. ფარერებთან დუბლის შემსრულებელმა **ფილიპ ჰოსინერმა** შესაძლოა სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლოს და ძირითადში ადგილი **ანდრეას ვაიმანს** დაუთმოს, რომელიც „ასტონ ვილაში" საკმაოდ კარგად ასპარეზობს. მასპინძლებს არ ეყოლებათ **რობი კინი**, რომელმაც ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და მას **კევინ დოილი** შეცვლის, რომელიც ტრაპმა სასწრაფო წესით გამოიძახა.

საინტერესოა, რომ ავსტრიამ ირლანდიას ბოლო 4 თამაში მოუგო, უკანასკნელად კი კუნძულელებთან 1963 წელს, დუბლინში წააგო (3:2). ბოლოს ეს გუნდები ერთმანეთს ევრო 96-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე ვენაში შეხვდნენ და ის მატჩი მასპინძლებმა 3:1 მოიგეს. გამარჯვებულთა მხრიდან ჰეთთრიქი **პერეტ შტიოგერმა** შეასრულა, ირლანდიელთაგან კი ერთადერთი გოლი ლეგენდარულმა **პოლ მაკგრათმა** გაიტანა.

გერმანიის ნაკრები ყაზახეთს უმასპინძლებს და მორიგ გამარჯვებას მოიპოვებს. ბუნდესნაკრებს **ბასტიან შვაინშტაიგერი** და **იულიან დრაქსლერი** დააკლდება, მაგრამ **იოახიმ ლიოვის** გუნდს ამის გამო პრობლემები არ უნდა შეექმნას.

ყაზახებზე კი სათქმელი ბევრი არაფერია. აზიელების მიზანი რაც შეიძლება ნაკლები გოლის გაშვება იქნება. შეგახსენებთ, რომ პარასკევს ასტანაში გერმანიამ 3:0 მოიგო. ბარემ, ისიც ვთქვათ, რომ ეს გუნდები ევრო 2012-ის შესარჩევ ჯგუფშიც ერთად იყვნენ და მაშინაც გერმანიამ ასტანაში 3:0 მოიგო, შინ კი 4:0 იმარჯვა.



გარეთ ბეილმა შესაძლოა ხორვატიასთან ვერ ითამაშოს

**D ჯგუფი**

**26 მარტი**

| | |
|---|---|
| ესტონეთი-ანდორა | 21:00 |
| თურქეთი-უნგრეთი | 22:30 |
| ჰოლანდია-რუმინეთი | 23:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 5 | 5 | 0 | 0 | 16-2 | 15 |
| 2. უნგრეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-7 | 10 |
| 3. რუმინეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-6 | 10 |
| 4. თურქეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-6 | 6 |
| 5. ესტონეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 1-9 | 3 |
| 6. ანდორა | 5 | 0 | 0 | 5 | 0-15 | 0 |

### ჰოლანდია სრული სვლით

12 მატჩი: 1 მოგება, 3 ფრე და 8 წაგება – ასეთია რუმინეთის სტატისტიკა ჰოლანდიის ნაკრებთან შეხვედრებში და საეჭვოა, იმ ერთ მოგებას, რომელიც ვლახებმა 2007 წელს მოიპოვეს, დღეს მეორე მიამატონ. ჰოლანდიის ნაკრები თავს ძალიან კომფორტულად გრძნობს და იმ ორ ნაკრებში შედის (მეორე რუსეთია), რომელსაც ჯერ ქულა არ დაუკარგავს.

**ლუის ვან გაალს**, ესტონეთთან თამაშის შემდეგ, **უესლი სნეიდერი** გამოაკლდა. „ორანიეს" რიგებში სხვა დანაკლისი არ არის. წესით, ძირითადში უნდა იყოს **რაფაელ ვან დერ ვაარტი**, რომლისთვისაც ეს თამაში ნაკრებში 105-ე იქნება. ასევე მოსალოდნელია, რომ კარში კვლავ **კენეტ ვერმეერი** იდგება. რუმინელებს კი **ჩიპრიან მარიკა** (ტრავმა) და **დორინ გოიანი** გამოაკლდათ – ამ უკანასკნელმა უნგრეთთან ყვითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიცირებულია. სხვათა შორის, სწორედ გოიანია ის ფეხბურთელი, ვინც ერთადერთი გოლი გაიტანა იმ შეხვედრაში, რომელიც 2007 წელს რუმინეთმა ჰოლანდიას მოუგო.

ძალიან საინტერესო მატჩი უნდა გაიმართოს სტამბულში, სადაც სტუმრად უნგრელები ჩადიან. პარასკევს მადიარებმა რუმინეთთან ფრედ (2:2) ითამაშეს, რამაც თურქთა წისქვილზე დაასხა წყალი. **აბდულა ავჩის** შეგირდებმა ანდორას მოუგეს, შესარჩევ ეტაპზე მეორე გამარჯვება მოიპოვეს და მეორე ადგილის დაკავების შანსი გაიჩინეს. თუ თურქები მოიგებენ, ხოლო რუმინეთი ჰოლანდიაში დამარცხდება (რაც სავსებით რეალურია), 2002 წლის მუნდიალის ბრინჯაოს პრიზიორები კონკურენტებს 1 ქულამდე მიუახლოვდებიან.

**F ჯგუფი**

**26 მარტი**

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-პორტუგალია | 21:00 |
| ჩრდ. ირლანდია-ისრაელი | 23:45 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 8-0 | 12 |
| 2. ისრაელი | 5 | 2 | 2 | 1 | 13-8 | 8 |
| 3. პორტუგალია | 5 | 2 | 2 | 1 | 9-6 | 8 |
| 4. ჩრდ. ირლანდია | 4 | 0 | 3 | 1 | 3-5 | 3 |
| 5. აზერბაიჯანი | 5 | 0 | 3 | 2 | 2-6 | 3 |
| 6. ლუქსემბურგი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-12 | 2 |

### რონალდოს გარეშე

პორტუგალიის ნაკრებს, რომელსაც საქმეები ძალიან ცუდად მისდის, აზერბაიჯანში ლიდერი და კაპიტანი, **კრიშტიანო რონალდო** არ ეყოლება. გარდა ამისა, საეჭვოა **ფაბიო კოენტრაოს** თამაში, რომელმაც ისრაელთან შეხვედრაში ანგარიში ბოლო წამებზე გაათანაბრა (3:3).

პორტუგალიამ ბოლო თამაში 2012 წლის სექტემბერში მოიგო და მაშინ პირენეელებმა აზერბაიჯანი დაამარცხეს (3:0). მას შემდეგ, **პაულო ბენტუს** გუნდმა 5 თამაში ჩაატარა (ოფიციალური და ამხანაგური), 3 ფრედ დაასრულა და 2 წააგო. თუ სტუმრებმა ბაქოშიც ვერ მოიგეს, ალბათ არავის გაუკვირდება, თუ შემდეგ შეხვედრაში მოედანზე ნაკრებს ბენტუს ნაცვლად სხვა მწვრთნელი გამოიყვანს.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში ისრაელი, რომელმაც პარასკევს 3 ქულა ძალიან დასანან ვითარებაში გაუშვა ხელიდან, ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს ეთამაშება, რომელსაც მართალია ჯერ მოგება არ აქვს, მაგრამ წაგებითაც მხოლოდ ერთი შეხვედრა აქვს წაგებული. ირლანდიელები დასვენებულნი არიან, რადგან მათი თამაში რუსეთთან, რომელიც ჯერ პარასკევს, შემდეგ კი შაბათს უნდა გამართულიყო, უამინდობის გამო გადაიდო.



ბენტუს აზერბაიჯანში რონალდო არ ეყოლება

**H ჯგუფი**

**26 მარტი**

| | |
|---|---|
| უკრაინა-მოლდოვა | 23:00 |
| პოლონეთი-სან მარინო | 23:45 |
| ჩერნოგორია-ინგლისი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 5 | 4 | 1 | 0 | 13-2 | 13 |
| 2. ინგლისი | 5 | 3 | 2 | 0 | 20-2 | 11 |
| 3. უკრაინა | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 5 |
| 4. პოლონეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-6 | 5 |
| 5. მოლდოვა | 5 | 1 | 1 | 3 | 2-8 | 4 |
| 6. სან მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 0-24 | 0 |

რუსეთი დღეს არ თამაშობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, გუნდი პირველ პოზიციას მაინც შეინარჩუნებს. უკვე ვთქვით, რომ ევროპაში ქულადაუკარგავი სულ ორი გუნდია და რუსეთი ერთ-ერთი მათგანია, თუმცა სლავების შედეგი ჰოლანდიის შედეგს იმით სჯობს, რომ **ფაბიო კაპელოს** გუნდს ჯერ გოლიც კი არ გაუშვია!

### პირველი პოზიციისთვის

სათამაშო დღის ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი პოდგორიცაში გაიმართება – ჩერნოგორიაში სტუმრად ინგლისის ნაკრებია ჩასული. ჩახედეთ ცხრილს და ამ მატჩის მნიშვნელობა გასაგები იქნება.

მიუხედავად ხანმოკლე ისტორიისა, ჩერნოგორიის ნაკრებმა უკვე სერიოზულ წარმატებას მიაღწია. შეგახსენებთ, რომ ამ ქვეყნის გუნდს დებიუტი 2010 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჰქონდა, სადაც ჯგუფში საქართველოს ნაკრებთან ერთად მოხვდა და ისტორიაში პირველი ოფიციალური გამარჯვებაც, რა თქმა უნდა, სწორედ ჩვენს ნაკრებთან მოიპოვა. ის შესარჩევი ბალკანელებმა საბოლოოდ მეხუთე ადგილზე დაასრულეს და ჯგუფში მხოლოდ (რა თქმა უნდა) საქართველოს გაასწრეს. აი, მომდევნო შესარჩევი (ევრო 2012) კი რადიკალურად განსხვავებული იყო – ჩერნოგორიელებმა ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს და პლეი ოფში თამაშის უფლებაც მიიღეს, სადაც ორი მატჩის ჯამში ჩეხეთთან დამარცხდნენ. აღსანიშნავია, რომ ჩერნოგორიელებს მას შემდეგ არ წაუგიათ (სულ 8 შეხვედრა).

ინგლისი და ჩერნოგორია წინა შესარჩევშიც ერთად იყვნენ და მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანელებმა ბალკანელებს საბოლოოდ 6 ქულით გაუსწრეს, ურთიერთშეხვედრებში მონტენეგროელთა დამარცხება ვერ შეძლეს – „უემბლიზე" გამართული მატჩი 0:0 დასრულდა, პოდგორიცაში კი 2:2. შეგახსენებთ, რომ სწორედ იმ შეხვედრაში მიიღო წითელი ბარათი **უეინ რუნიმ**, რის გამოც ევრო 2012-ის ფინალურ ეტაპზე საწყისი ორი მატჩის გამოტოვებამ მოუწია.

**ბრანკო ბრნოვიჩის** გუნდმა პარასკევს მოლდოვაში მოიგო (1:0), არადა, სტუმრები 61-ე წუთიდან მოყოლებული მოედანზე 10 კაცით იყვნენ (არბიტრმა **პეკოვიჩი** გააძევა). ინგლისმა კი სან მარინო გაანადგურა (8:0) და მძიმე ბრძოლის წინ კარგი განწყობა შეიქმნა.

უკრაინა და პოლონეთი, რომლებიც პარასკევს ერთმანეთს შეხვდნენ (უკრაინამ სტუმრად 3:1 მოიგო), ამ ტურში შინ თამაშობენ და ალბათ, სამ ქულასაც განსაკუთრებული პრობლემების გარეშე აიღებენ. სლავებს, სხვა გუნდებთან შედარებით, თითო მატჩი აქვთ თადარიგში, შესაბამისად, მათი ჩამოწერა ჯერ ნაადრევია.

■ ■ ■

**ბომბარდირები:** 7 – ჯეკო (ბოსნია); 6 – ჰემედი (ისრაელი); 5 – იბიშევიჩი (ბოსნია), იოზილი (გერმანია); 4 – დელიბაშიჩი (ჩერნოგორია), ლამპარდი (ინგლისი), ელდერ პოშტიგა (პორტუგალია), მისიმოვიჩი (ბოსნია), რუნი (ინგლისი).

**ტატო ბაციკაძე**

## სამხრეთ ამერიკა

# ლიდერებს უპირატესობის გაზრდის შანსი აქვთ

**26-27 მარტი**

| | |
|---|---|
| ბოლივია-არგენტინა | 23:55 |
| ეკვადორი-პარაგვაი | 01:00 |
| ჩილე-ურუგვაი | 03:30 |
| ვენესუელა-კოლუმბია | 04:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არგენტინა | 10 | 7 | 2 | 1 | 23-7 | 23 |
| 2. კოლუმბია | 9 | 6 | 1 | 2 | 19-6 | 19 |
| 3. ეკვადორი | 9 | 5 | 2 | 2 | 12-9 | 17 |
| 4. ურუგვაი | 10 | 3 | 4 | 3 | 17-19 | 13 |
| 5. ვენესუელა | 10 | 3 | 3 | 4 | 8-12 | 12 |
| 6. ჩილე | 10 | 4 | 0 | 6 | 14-19 | 12 |
| 7. პერუ | 10 | 3 | 2 | 5 | 11-15 | 11 |
| 8. ბოლივია | 10 | 2 | 2 | 6 | 12-19 | 8 |
| 9. პარაგვაი | 10 | 2 | 2 | 6 | 7-17 | 8 |

**ბომბარდირები:** 9 – იგუაინი (არგენტინა); 8 – მესი (არგენტინა), სუარესი (ურუგვაი); 6 – ფალკაო (კოლუმბია).

მე-12 ტურის მატჩებიდან განსაკუთრებულ ინტერესს ჩილეს და ურუგვაის დაპირისპირება იწვევს. ორივე გუნდი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია – ჩილემ ზედიზედ ოთხი მატჩი წააგო, ურუგვაის კი ხუთი მატჩია არ მოუგია (2 ფრე და 3 წაგება). ბოლო ტურში **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესის** შეგირდებმა შინ პარაგვაის ვერ აჯობეს (1:1), ჩილე კი 87-ე წუთზე გაშვებული გოლის წყალობით დამარცხდა (პერუსთან). შესარჩევი ეტაპის დასრულებამდე სულ 6 ტურია დარჩენილი, ამიტომ ამ მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ურუგვაი მეოთხე ადგილზე კი არის, მაგრამ მე-7 ადგილზე მყოფი პერუ „სელესტეს" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება.

დანარჩენ სამ წყვილში დაახლოებით ერთნაირი მდგომარეობაა: ფავორიტი აშკარად გამოკვეთილია, თუმცა ეს არაფერს ნიშნავს, რადგან: არგენტინამ ბოლივიაში ბოლო თამაში 1:6 წააგო, პარაგვაიმ წინა ტურში ურუგვაიდან ქულა წამოიღო, ხოლო ვენესუელა შინ ყოველთვის კარგად თამაშობს.

„ალბისელესტეს" **ანხელ დი მარია** დაუბრუნდა, რომელმაც ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა, სამაგიეროდ გუნდს ტრავმის გამო **ფერნანდო გაგო** გამოაკლდა და ძირითადში მისი ადგილი **ევერ ბანეგამ** უნდა დაიკავოს. მართალია, ბოლივიამ წინა ტურში 0:5 წააგო (კოლუმბიასთან), მაგრამ ლა პასში თამაში რა სიძნელეებთანაც არის დაკავშირებული, ყველამ კარგად ვიცით.

მეორე ადგილზე მყოფი კოლუმბია ვენესუელაში ითამაშებს და მორიგი გამარჯვების მოპოვებას ეცდება. **ხოსე ნესტორ პეკერმანის** გუნდს ზედიზედ ოთხი მოგება აქვს და მუნდიალის ფინალური ეტაპის საგზური თითქმის ჯიბეში უდევს. მასპინძლები ორმაგად მონდომებულნი იქნებიან, რადგან ნაკრების მონაწილეობით ეს იქნება პირველი მატჩი, რომელიც **უგო ჩავესის** გარდაცვალების შემდეგ ვენესუელაში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ვენესუელა არის ერთადერთი ქვეყანა სამხრეთ ამერიკის 10 სახელმწიფოს შორის, რომლის ნაკრებიც მუნდიალის ფინალურ ეტაპზე არასდროს მოხვედრილა.

ეკვადორის ნაკრები, რომელმაც წინა ტურში დაისვენა, ბოლო ადგილზე მყოფ პარაგვაის მასპინძლობს. **ხერარდო პელუსოს** გუნდმა ბოლო ორი მატჩი კარგად ჩაატარა და 4 ქულაც აიღო. ახლა, პარაგვაელები ურუგვაის მხოლოდ 5 ქულით ჩამორჩებიან და თუ ეკვადორში იმარჯვეს, მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში რეალურად ჩაერთვებიან.

**ტატო ბაციკაძე**





2009 წელს არგენტინამ ბოლივიაში 1:6 წააგო



## უცხოური ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფრანგეთი-ესპანეთი**

# გზა ბრაზილიისკენ?



საფრანგეთის ნაკრებს სერიოზული დანაკლისი არ აქვს და იმ სასტარტო თერთმეტეულში, რომელიც დეშამმა საქართველოსთან მატჩში გაამწესა, ცვლილებები ნაკლებად არის მოსალოდნელი.

*"მთავარია, ესპანელებს არ მივცეთ იმის საშუალება, რომ საკუთარი თამაში თავს მოგვახვიონ. ამ შემთხვევაში წარმატებას აუცილებლად ჩვენ მივაღწევთ"*, - აცხადებს ფრანგთა ლიდერი **ფრანკ რიბერი**. შეგახსენებთ, ეს გუნდები მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლამდე ბოლოს ერთმანეთს ევრო 2012-ის მეოთხედფინალში გადაეყარნენ, სადაც ესპანეთმა საფრანგეთს დამაჯერებლად, 2:0 სძლია.

დღევანდელ მატჩს ცნობილი უნგრელი არბიტრი **ვიქტორ კაშაი** განსჯის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| ად | გუნდი | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | საფრანგეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 8 | 3 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 6 | 2 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 2 | 1 | 4 |
| 2 | ესპანეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 7 | 2 | 8 | 2 | 0 | 2 | 0 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 5 | 0 | 6 |
| 3 | საქართველო | 5 | 1 | 1 | 3 | 3 | 7 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 2 | 6 | 1 |
| 4 | ბელარუსი | 4 | 1 | 0 | 3 | 3 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2 | 4 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1 | 4 | 0 |
| 5 | ფინეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2 | 3 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 |

## ტურის წინ

## აფრიკა

**G ჯგუფი**

**26 მარტი**

| | |
|---|---|
| ეგვიპტე-ზიმბაბვე | 21:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეგვიპტე | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 2. გვინეა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 3. მოზამბიკი | 3 | 0 | 2 | 1 | 0-2 | 2 |
| 4. ზიმბაბვე | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |

**H ჯგუფი**

**26 მარტი**

| | |
|---|---|
| ალჟირი-ბენინი | 23:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 2. ბენინი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. ალჟირი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-2 | 3 |
| 4. რუანდა | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |

## აზია

**A ჯგუფი**

**26 მარტი**

| | |
|---|---|
| სამ. კორეა-ყატარი | 15:00 |
| უზბეკეთი-ლიბანი | 17:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უზბეკეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-4 | 8 |
| 2. სამ. კორეა | 4 | 2 | 1 | 1 | 9-4 | 7 |
| 3. ირანი | 5 | 2 | 1 | 2 | 2-2 | 7 |
| 4. ყატარი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-5 | 7 |
| 5. ლიბანი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 4 |

**B ჯგუფი**

**26 მარტი**

| | |
|---|---|
| ავსტრალია-ომანი | 12:30 |
| იორდანია-იაპონია | 18:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იაპონია | 5 | 4 | 1 | 0 | 13-2 | 13 |
| 2. ავსტრალია | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 3. ერაყი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| 4. ომანი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 5. იორდანია | 5 | 1 | 1 | 3 | 4-11 | 4 |

## კონკაკაფი

**27 მარტი**

| | |
|---|---|
| პანამა-ჰონდურასი | 06:00 |
| კოსტა რიკა-იამაიკა | 06:00 |
| მექსიკა-აშშ | 06:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰონდურასი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 2. აშშ | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. პანამა | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 4. მექსიკა | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 5. იამაიკა | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 6. კოსტა რიკა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |

## ოკეანეთი

**26 მარტი**

| | |
|---|---|
| სოლ. კუნძულ.-ახ. ზელანდია | 08:00 |
| ახ. კალედონია-ტაიტი | 11:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ახ. ზელანდია | 5 | 5 | 0 | 0 | 15-2 | 15 |
| 2. ახ. კალედონია | 5 | 3 | 0 | 2 | 16-6 | 9 |
| 3. ტაიტი | 5 | 1 | 0 | 4 | 2-11 | 3 |
| 4. სოლ. კუნძულ. | 5 | 1 | 0 | 4 | 5-19 | 3 |

*შენიშვნა: ახალმა ზელანდიამ პლეი ოფის საგზური მოიპოვა.*

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები


მაურო სარატე

## სარატეს კონტრაქტის გაწყვეტა სურს

ერთ დროს, **მაურო სარატე** „ლაციოს“ ლიდერი იყო, დღეს კი განაცხადშიც ვერ ხვდება და სულ ახალი ინფორმაციით, მთავარი გუნდიდანაც მოკვეთილია. 26 წლის არგენტინელმა „ბიანკოჩელესტეს“ მაისურა ბოლოს გასული წლის ნოემბერში მოირგო, მას შემდეგ კი მოედანს არ გაჰკარებია.

დაახლოებით ორი კვირის წინ, მაურომ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და მწვრთნელს რამდენიმე დღით გაეთავისუფლა... ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ დათქმულ დროს საწვრთნელ ბაზაზე არ გამოცხადდა და როდესაც მისი ამბავი მოიკითხეს, მალდივის კუნძულებზე აღმოჩნდა. დიახ, არგენტინელი დასასვენებლად გაემგზავრა და როგორც ჩანს, დაბრუნების აუცილებლობა ვერ დაინახა.

„ლაციოს“ პრეზიდენტმა **კლაუდიო ლოტიტომ** უკვე გააკეთა განცხადება და გვაუწყა, რომ მაურო სარატე მკაცრად დაისჯება. ფინანსურ სანქციებთან ერთად, გარკვეული დროით ის მოკვეთილი იქნება მთავარი გუნდიდან. ამ ამბავს თვითონ სარატე გამოეხმაურა და შეტევას შეტევითვე უპასუხა - არგენტინელის თქმით, მისი უფლებების დარღვევისთვის კლუბს მალე სასამართლოში უჩივლებს და 2014 წლის ზაფხულამდე მოქმედი ხელშეკრულების ცალმხრივად გაწყვეტას მოითხოვს. თუ რა უფლებები დაურღვიეს მაუროს, არ დაუკონკრეტებია, თუმცა სასამართლოში ჩივილს რომ აპირებს, უკვე არაერთგზის განაცხადა. თუ სარატემ მიზანს მიაღწია და მისი კონტრაქტი მართლაც გაუქმდა, სასურველ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავა და საქმეც ალბათ ასარჩევად ექნება.

## დესტრო ბრუნდება

სასიამოვნო ამბავი გვაქვს „რომას“ გულშემატკივრებისთვის, რომლის თანახმადაც სულ მალე მოედანს **მატია დესტრო** დაუბრუნდება. 22 წლის თავდამსხმელი იანვარში დაშავდა და მას შემდეგ მკურნალობის კურსს გადის. მაშინ ითქვა, რომ დესტრო მოედანს აპრილის შუა რიცხვებში დაუბრუნდებოდა. თუმცა, მკურნალობის პროცესი დაგეგმილზე სწრაფად წარიმართა და სულ ახალი ინფორმაციით, მატია უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს. შესაბამისად, „ჯალოროსის“ მთავარ მწვრთნელს მისი გამოყენება უკვე სერია A-ს უახლოეს ტურში შეეძლება.

„რომასთან“ დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ცნობა გავრცელდა, რომლის თანახმადაც დედაქალაქური კლუბის მესვეურები **მაურო იკარდის** გადაბირებით დაინტერესდნენ. 20 წლის არგენტინელი „სამპდორიას“ დატოვებას ეშურება იკარდის მიმართ ინტერესი „ჯალორისის“ მთავარმა მწვრთნელმა **აურელიო ანდრეაცოლიმ** დაადასტურა, რომელიც თავის მხრივ ყველანაირად ცდილობს, რომ კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივოს.

## პორტანოვას ემუქრებიან

გახსოვთ ალბათ, „ბარსელონა“-„მილანის“ წინ, ლომბარდიულ გრანდს „ჯენოასთან“ უწევდა დაპირისპირება და ამ შეხვედრაში **ჯამპაოლო პაცინიმ** მძიმე ტრავმა მიიღო. შედეგად, შესანიშნავ ფორმაში მყოფი პაცო კატალონიაში ვერ გაემგზავრა და „როსონერის“ უმნიშვნელოვანეს პაექრობაში დააკლდა. მილანური გრანდის გულშემატკივრები დღემდე ვერ ივიწყებენ პაცინის დაშავების ეპიზოდს და სოციალური ქსელების მეშვეობით გენუელ **დანიელე პორტანოვას** შეურაცხმყოფელ წერილებს წერენ. ეს ყველაფერი დანიელეს ყელში ამოუვიდა და საგანგებო განცხადება გააკეთა:

*„პაცინიმ ტრავმა საბრძოლო ეპიზოდში მიიღო და განზრახ ნამდვილად არ მიუხეშია. აღარ ვაპირებ ამ თემაზე კომენტარის გაკეთებას, რადგან ბევრი არაფერი დამიშავებია. უამრავ წერილს ვიღებ, ზოგი მლანძღავს და ზოგი მემუქრება კიდეც. იმედია, ეს ყველაფერი შეწყდება, რადგან კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ განზრახ არ მიუხეშია“.*

**ლაშა ნიკლაური**

ინტერი

# ინტერში ცვლილებები მწიფდება

## ბრანკას კორვინო შეცვლის?

მიუხედავად იმისა, რომ „ინტერს“ გამონათებებიც აქვს, მიმდინარე სეზონში ამ გუნდის ასპარეზობა მაინც წარუმატებლობად უნდა შევაფასოთ. მილანური გრანდი დიდი ხანია ჩამოშორდა სკუდეტოსთვის ბრძოლას, ევროპის ლიგის გათამაშებასაც გამოეთიშა და დიდია შანსი, ჩემპიონთა ლიგის საგზურის გარეშეც დარჩეს. მოკლედ, **ანდრეა სტამაჩონის** გუნდს საქმეები ცუდად მისდის და ამ ყველაფერში ბევრი მთავარ დამნაშავედ კლუბის სპორტულ დირექტორს მიიჩნევს. დიახ, **მარკო ბრანკას** სკამი აშკარად მორყეულია და პერიოდულად მას თვით **მასიმო მორატი** აკრიტიკებს.

იტალიურ სპორტულ პრესაში სულ უფრო და უფრო აქტიურად ვრცელდება ცნობები ბრანკას „ინტერიდან“ აბარგების შესახებ, რაც სეზონის დასრულებისთანავე უნდა მოხდეს. სახელდება ახალი კანდიდატების გვარებიც, რომელთა შორის ყველაზე საინტერესო **პანტელეო კორვინოს** ვარიანტია. 63 წლის კორვინო წლების განმავლობაში „ფიორენტინაში“ მუშაობდა და სახელიც კარგი აქვს დაგდებული. „გაძეტა დელო სპორტის“ მტკიცებით, მორატი შეხვდა კიდეც კორვინოს და მოლაპარაკების პირველი რაუნდი წარმართა. „კორიერე“ კიდევ უფრო შორს წავიდა და გარიგება შემდგარად გამოაცხადა. 1998-2005 წლებში, კორვინო „ლეჩეს“ სპორტული დირექტორი იყო და ამ პერიოდის გუნდის აღმასვლაში ლომის წილი დაიდო. მაშინ, არაამბიციურ გუნდში ისეთი მოთამაშეები გამოჩნდნენ, როგორებიც **ვალერი ბოჟინოვი, მირკო ვუჩინიჩი** და **ფაბრიციო მიკოლი** არიან. ამას მოჰყვა ფლორენციული პერიოდა, სადაც კორვინომ კოლოსალური სამუშაო გასწია - სერია C-ში დაქვეითებული „ფიორენტინას“ ელიტაში დაბრუნება დიდწილად მისი დამსახურება გახლდათ... თავად განსაჯეთ, უშუალოდ მან მიიყვანა „ვიოლაში“: **ზრავკო კუზმანოვიჩი, სტევან იოვეტიჩი, პაბლო დანიელ ოსვალდო, ფელიპე მელო, ხუან მანუელ ვარგასი, არტურ ბორუცი, ლუკა ტონი, ალბერტო ჯილარდინო, ადრიან მუტუ** და კიდევ მრავალი სხვა...

„ფიორენტინადან“ კორვინო გასულ ზაფხულს წავიდა, მიზეზი კი პრეზიდენტ **ანდრეა დელა ვალესთან** კონფლიქტი გახლდათ... კონფლიქტის საფუძველი **დიმიტარ ბერბატოვის** არშემდგარი ტრანსფერია - კორვინო ბულგარელთან პირადად აწარმოებდა მოლაპარაკებას და როდესაც სიტყვიერად ყველა დეტალი შეათანხმა, ტრანსფერი შემდგარად გამოაცხადა. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე, კორვინოს სხვა ფორვარდის მოძებნა აღარც უცდია, არადა, ბერბტოვთან ხელშეკრულების გაფორმება გაუჯანჯლდა... ბოლო მომენტში, დიმიტარმა იტალიაში გადაბარგება გადაიფიქრა და „ფულჰემში“ გადავიდა, ფლორენციელებს კი სხვა თავდამსხმელის მოსაძებნად დრო არ ეყოთ. ეს ამბავი კორვინოს დაბრალდა, თავმოყვარე ჩინოსანმა კი ეს ვერ აიტანა და ფლორენციის დატოვება განიზრახა. მას შემდეგ, არაერთი შეთავაზება მიიღო, მაგრამ ყველაზე უარი განაცხადა.


პანტელეო კორვინო

### სანჩესი - მოლაპარაკება დაწყებულია

ამასობაში, „ინტერის“ მესვეურები კიდევ ერთი მიმართულებით აწარმოებენ მოლაპარაკებას და თუ შეთანხმება შედგა, **ალექსის სანჩესი** მილანურ გრანდში გააგრძელებს კარიერას. 24 წლის ჩილელი „ბარსელონაში“ თადარიგში ზის და იტალიელ ჟურნალისტთა მტკიცებით, არც თვითონაა წინააღმდეგი აპენინებზე დაბრუნდეს. ამ ეტაპზე, „ინტერი“ მართლაც საუკეთესო ვარიანტია, რადგან მილანელებს შეტევაში ძალიან უჭირთ და შესაბამისად, კონკურენციაც დაბალია.

იტალიელ ჟურნალისტთა მტკიცებით, ლომბარდიელებსა და კატალონიელებს შორის მოლაპარაკება უკვე დაიწყო, რაშიც თვითონ ფეხბურთელიც ყოფილა ჩართული. ტრანსფერი ჯერ ალბათ ვერ შედგება, მაგრამ სანჩესის „ინტერში“ გადასვლის ალბათობა რომ მაღალი, ეს ფაქტია.

**ლაშა ნიკლაური**

იუვენტუსი

# კიელინი იტალიურ დერბის გამოტოვებს

## ბაიერნთან კი ითამაშებს

**ჯორჯო კიელინიმ** ტრავმა იტალიის ეროვნული ნაკრების შეკრებაზე მიიღო, რის გამოც ბრაზილიასთან ამხანაგური პაექრობის გამოტოვება მოუწია და ვერც მალტას დაუპირისპირდება. პირველადი პროგნოზით, კიელინიმ მიკრო-ტრავმა მიიღო, მაგრამ არც მთლად მასე ყოფილა საქმე. უკანასკნელი ინფორმაციის თანახმად, ჯორჯოს 30 მარტს დაგეგმილი „ინტერი“—„იუვენტუსის“ ჯახის გამოტოვება მოუწევს, რომელიც სერია A-ს ეგიდით გაიმართება. სამაგიეროდ, კიელინი 2 აპრილისთვის იქნება მზად, ამ დღეს კი ტურინული გრანდი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ ეტაპზე მიუნხენის „ბაიერნს“ შეეჭიდება. ამ თემაზე კომენტარი თვითონ 28 წლის ფეხბურთელმა გააკეთა:

*„დასანანი ტრავმა მივიღე, რის გამოც დიდი იტალიური დერბის გამოტოვება მომიწევს. როდესაც კუნთში ტკივილები ვიგრძენი, მივხვდი, რომ ვერ იყო კარგად საქმე.. კიდევ კარგად გადავრჩი, რადგან შეიძლებოდა ტრავმა უფრო მძიმე ყოფილიყო. „იუვენტუსში“ შეუცვლელი არავინაა და მჯერა, რომ „ინტერთან“ გუნდი უჩემოდაც გაიმარჯვებს. რაც შეეხება „ბაიერნთან“ შეხვედრას, იმედი მაქვს, რომ მოედანზე პირველივე წუთიდან გავალ და გუნდს მაქსიმალურად დავეხმარები“.*

**ლაშა ნიკლაური**



ამბები

### ნეიმარს ბარსასთან პირადი კონტრაქტი გაფორმებული აქვს

ესპანური პრესა ირწმუნება, რომ საეჭვოც აღარ არის - „სანტოსის“ 21 წლის ფორვარდი **ნეიმარი** „ბარსელონაში“ გადადის.

წყაროს ცნობით, ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ნეიმარს გაფორმებული აქვს პირადი სამოქალაქო-იურიდიული ხელშეკრულება „ბარსელონასთან“.

რაც ყველაზე მთავარია, კონტრაქტი გაფორმებულია 2011 წელს! კონტრაქტის თანახმად, „ბარსელონას“ ნეიმარის ტრანსფერზე ექსკლუზიური უფლება აქვს.

შეგახსენებთ, რომ „ბარსელონას“ პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** ოფიციალურად დაადასტურა, რომ ნეიმარი კლუბის სატრანსფერო სიაშია.

### სიმეონე ტორესის დაბრუნებას არ გამორიცხავს

ესპანეთში სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ, რომ **ფერნანდო ტორესი** მადრიდის „ატლეტიკოში“ ბრუნდება. შეგახსენებთ, რომ 29 წლის ფორვარდი „ატლეტიკოს“ აღზრდილია და მადრიდული კლუბიდან გადავიდა „ლივერპულში“, საიდანაც შემდეგ „ჩელსიში“ მოხვდა.

ტორესის სავარაუდო ტრანსფერზე კომენტარი თავად **დიეგო სიმეონემ** გააკეთა, „ატლეტიკოს“ ამჟამინდელმა თავკაცმა.

*„ამ ეტაპზე ფერნანდო სხვა კლუბში თამაშობს. ჩვენ უნდა დაველოდოთ სეზონის ბოლოს და მერე გადავწყვეტთ, ვის შეიმატებს „ატლეტიკო“.* არგენტინელი სპეციალისტის ამ კომენტარმა კიდევ უფრო გაგვიძლიერა ეჭვი, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს შეეფერება. გამოდის, რომ სეზონის ბოლოს **რადამელ ფალკაოს** რომელიმე გრანდში ყიდიან.

### სუარესი ბაიერნში?

„ლივერპულს“ ძალიან სურს ურუგვაელი **ლუის სუარესის** შენარჩუნება, მაგრამ 26 წლის ფორვარდის „ენფილდზე“ დატოვება ინგლისურ კლუბს ძალიან გაუჭირდება.

საქმე იმაშია, რომ გაირკვა - სამხრეთამერიკელი ფორვარდის აგენტი **პეპ გვარდიოლას** ძმა **პერე გვარდიოლაა**. პეპის მომავალი კლუბი „ბაიერნი“ კი ერთობ დაინტერესებულია სუარესის შეძენით.

ეს ინფორმაცია მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ტურინის „იუვენტუსის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სუარესის ყიდვა 40 მილიონი ფუნტის ფარგლებში სურთ, თუმცა იქვე დასძინეს, ვინაიდან სუარესის აგენტი არის პერე გვარდიოლა, „ბაიერნი“ უკეთეს მდგომარეობაშია და სავარაუდოდ გერმანული გუნდი ჩაიგდებს ხელში ურუგვაელს.

### ვილანოვა ამ კვირაში დაბრუნდება

„ბარსელონას“ ოფიციალური საიტი იუწყება, რომ დასრულდა კლუბის უმწვრთნელო ყოფა - ამ კვირის განმავლობაში ნიუ იორკიდან კატალონიაში ჩავა და გუნდს ჩაიბარებს **ტიტო ვილანოვა**, რომელიც ყელყურის სიმსივნეს ნიუ იორკის კლინიკაში მკურნალობდა.

ტიტო ვილანოვა უკვე ორი თვეა, ამერიკაშია. ამ ხნის განმავლობაში გუნდს მისი ასისტენტი **ჟორდი როურა** თავკაცობდა. მართალია, როურას ხელში გუნდი არადამაჯერებლად გამოიყურებოდა, წააგო ორი კლასიკო, მაგრამ „ბარსამ“ შეძლო მთავარი - ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდა და ჩემპიონატშიც შეინარჩუნა დიდი უპირატესობა უახლოეს კონკურენტებთან.

44 წლის ტიტო ვილანოვამ 20 დეკემბერს ხელმეორედ გაიკეთა ოპერაცია. ნიუ იორკში ის ქიმიოთერაპიისა და რადიოთერაპიის კურსებს გადიოდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი



# რობენს რიგი დაუდგა

## ყველაზე მეტ ინტერესს ინტერი და გალათასარაი იჩენენ

არიენ რობენს „ბაიერნიდან“ წასვლას უწინასწარმეტყველებენ

**არიენ რობენს** „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ათამაშებენ, რის გამოც გერმანიაში უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ზაფხულში 29 წლის ჰოლანდიელი გარემარბი მიუნხენური გრანდიდან წავა. როგორც ირკვევა, რობენის გადაბირების სურვილი არაერთმა გრანდმა გამოთქვა, ყველაზე მეტად კი რობენის გადაბირება მილანის „ინტერს“ და „გალათასარაის“ სურთ.

„ბილდის“ ცნობით, ჰოლანდიელის ხელში ჩაგდებით, პირველ რიგში, „გალათასარაის“ პრეზიდენტი **უნალ აისალია** დაინტერესებული, რომელმაც თურქულ გრანდში უკვე გადაიყვანა ისეთი სუპერვარსკვლავები, როგორებიც არიან **ვესლი სნეიდერი** და **დიდიე დროგბა**. ახლა კი მას რობენის კონტრაქტის გამოსყიდვაც (ვადა 2015 წლამდე) უნდა. „ბილდის“ ინფორმაციით, „გალას“ პრეზიდენტმა რობენის დათანხმებაზე ზრუნვა თურქეთის ნაკრების თავკაცს, არიენის თანამემამულე **გუუს ჰიდინკს** სთხოვა.

გუშინ გავრცელებული ცნობების თანახმად კი, რობენი „ინტერსაც“ აინტერესებს. საინტერესო ისაა, რომ მილანელებს ჰოლანდიელის გადაბირება გასულ ზაფხულსაც უნდოდათ და „ბაიერნს“ 18 მილიონი ევრო შესთავაზეს, მაგრამ მაშინ რობენმა რეკორდმაისტერიდან წასვლა არ ისურვა. თუმცა იმ დროს არ იცოდა, რომ მიუნხენური კლუბის სასტარტოში ადგილს დაკარგავდა. აღსანიშნავია, რომ რობენს ინგლისის (ჩელსიში), ესპანეთის (რეალში) და გერმანიის (ბაიერნში) ჩემპიონატები მოგებული აქვს - ევროპის წამყვანი ოთხეულიდან მას მხოლოდ იტალიაში არ უთამაშია...

გოტფრიდ ლენცი

აინტრახტი

# ფეე ფრანკფურტში რჩება

## აინტრახტი ამაზე წარმატებული ბოლოს ტოპმიოლერის და ცხადაძის დროს იყო



არმინ ფეემ „აინტრახტთან“ კონტრაქტი გააგრძელა

მოლოდინი არ გამართლდა: ფრანკფურტის „აინტრახტის“ მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეე** მომავალი სეზონიდან „შალკეს“ თავკაცად არ დაინიშნება! 52 წლის სპეციალისტმა გუშინ „აინტრახტის“ ხელმძღვანელებს შეატყობინა, რომ მზადაა კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულამდე გააგრძელოს, რითაც ბოლო მოუღო მითქმა-მოთქმას იმის შესახებ, რომ მას გელზენკირხენელები გადაიბირებდნენ.

ფრანკფურტელებმა ფეეს ახალი ხელშეკრულების გაფორმება ორი თვის წინ შესთავაზეს და მისი დუმილი აფიქრებინებდათ, რომ მწვრთნელი, რომლის ხელშიც „აინტრახტი“ ელიტაში დაბრუნდა და სენსაციურად კარგ სეზონს ატარებს, სხვა გუნდში გადავიდოდა. „შალკეს“ მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** არ მალავდა, რომ არმინით სერიოზულად იყო დაინტერესებული და რაკი ფეე მისი მეგობარია, მთელი საფეხბურთო გერმანია დარწმუნებული იყო, რომ ისინი უკვე შეთანხმებულები იყვნენ. მაგრამ ფეემ ბევრისთვის მოულოდნელად, „აინტრახტის“ შეფებს კონტრაქტის გაგრძელებაზე თანხმობა შეუთვალა და შესაბამისად, დისკუსიას „შალკეში“ მისი შესაძლო დანიშვნის შესახებ ბოლო მოეღო.

როგორც ჩანს, ხელმძღვანელებმა ფეე დაარწმუნეს, რომ „აინტრახტის“ გაძლიერებისთვის ფულს გამოუყოფენ. უკვე გადაწყვეტილია, რომ მომავალი სეზონიდან „აინტრახტში“ იასპარეზებს „ფრაიბურგის“ ლიდერი **იან როზენტალი**. ფრანკფურტელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ახალგაზრდა ლიდერები, **სებასტიან იუნგი** და **სებასტიან როდე** შეინარჩუნონ.

არმინ ფეე „აინტრახტში“ 2011 წლის ივლისიდან მუშაობს და ეს კლუბი მის სამწვრთნელო კარიერაში მეხუთე გუნდია. 52 წლის სპეციალისტი მანამდე როსტოკის „ჰანზას“, „შტუტგარტს“, „ვოლფსბურგს“ და „ჰამბურგს“ ავარჯიშებდა. საუკეთესო შედეგი ფეეს „შტუტგარტში“ მოღვაწეობისას ჰქონდა - გეხსომებათ, 2007 წელს შვაბები სწორედ მისი ხელმძღვანელობით გახდნენ გერმანიის ჩემპიონები. წინა სეზონში ფეემ „აინტრახტი“ მეორედან ისევ პირველ ბუნდესლიგაში დააბრუნა და ამ სეზონში ფრანკფურტელები საშუალოდ ერთ მატჩში 1.5 ქულას აგროვებენ, რის გამოც ევროპალიგის საგზურის მოპოვების რეალური შანსი აქვთ. აღსანიშნავია, რომ „აინტრახტი“ ამაზე წარმატებული ბოლოს 19 წლის წინათ, **კლაუს ტოპმიოლერის** მწვრთნელობის პერიოდში იყო და სხვათა შორის, მაშინ ფრანკფურტელთა რიგებში **კახა ცხადაძე** ასპარეზობდა.

გოტფრიდ ლენცი

მოსალოდნელი ტრანსფერი



# ასტონ ვილას ფორვარდი დორტმუნდში?

## ლევანდოვსკი შეიძლება ვაიმანმა შეცვალოს

დორტმუნდის „ბორუსიას“ ხელმძღვანელები 24 წლის პოლონელი გოლეადორის, **რობერტ ლევანდოვსკის** (19 გოლი მიმდინარე სეზონში) შემცვლელის ძებნას განაგრძობენ. ინგლისური „დეილი მირორის“ ცნობით, „ბორუსია“ პრემიერლიგული „ასტონ ვილას“ ავსტრიელი თავდამსხმელით, **ანდრეას ვაიმანით** დაინტერესდა. 21 წლის ფორვარდს ამ სეზონის 30 ოფიციალურ მატჩში 11 გოლი აქვს გატანილი და ჩვენი ინგლისელი კოლეგების ცნობით, „ბორუსიას“ თავკაც **იურგენ კლოპს** ავსტრიელი ძალიან მოსწონს.

დორტმუნდელებისთვის ხელსაყრელია ისიც, რომ ვაიმანს „ვილასთან“ კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულში უმთავრდება - სწორედ იმ დროს, როცა „ბორუსიადან“ ლევანდოვსკის აზარგებაა ნავარაუდევი. ბრიტანელები იმასაც წერენ, რომ ვაიმანმა „ვილას“ ბოსებს ახლახან კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი უთხრა და დიდი შანსია, რომ „დორტმუნდში“ გაისად უფასოდ გადავიდეს.

გოტფრიდ ლენცი



ჰოკეი. საქართველოს ჩემპიონატი

# დებიუტანტი თბილისი და ლიდერი აჭარა

ინდორ (დარბაზის) ჰოკეიში მამაკაცთა შორის საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის მატჩებს ქუთაისის სპორტის სასახლემ უმასპინძლა. ჩემპიონატში თბილისის, ბათუმის, ოზურგეთის, ქუთაისის, ლანჩხუთისა და აბაშის გუნდებმა იასპარეზეს. აღსანიშნავია, რომ თბილისის „თბილისი", რომელიც ცოტა ხნის წინათ ჩამოყალიბდა, საქართველოს ჩემპიონატში პირველად მონაწილეობდა. პირველ წრეში ლიდერობა ბათუმის „აჭარამ" მოიპოვა, რომელმაც „ლანჩხუთის" გარდა (3:3) ყველა მეტოქე დაამარცხა, მათ შორის მთავარი კონკურენტი „ქუთაისიც" (3:2). ზღვისპირელებს სწორედ ამ მოგებამ მოუტანათ პირველი ადგილი. მეორეზე ქუთაისელი ჰოკეისტები გავიდნენ, რომლებმაც „თბილისი" და „ოზურგეთი" ერთნაირი ანგარიშით 8:2 დაამარცხეს, „აბაშას" და „ლანჩხუთს" შესაბამისად 4:1 და 5:2 სძლიეს, თუმცა, როგორც ზემოთ ვთქვით, გადამწყვეტ მატჩში, დაძაბულ ბრძოლაში ბათუმლებთან დამარცხდნენ და პირველ წრეში მეორე ადგილს დასჯერდნენ. ქუთათურებს და ბათუმლებს კონკურენციას „ლანჩხუთი" გაუწევთ, რომელმაც მხოლოდ „ქუთაისთან" ჩააგდო თამაში, დანარჩენ მატჩებში კი დამაჯერებლად გამოიყურებოდა და პირველი წრე მესამე ადგილზე დაასრულა. რაც შეეხება თბილისის ახალშექმნილ გუნდს, რომელიც ძირითადად რეგიონებიდან გადასული ჰოკეისტებითაა დაკომპლექტებული, პირველი და ერთადერთი მოგება „ოზურგეთთან" მიითვალა-3:0, დანარჩენ შეხვედრებში კი დამარცხდა. პირველი წრის შემდეგ სატურნირო ცხრილში გუნდები შემდეგნაირად განლაგდნენ: 1.აჭარა (13ქულა), 2.ქუთაისი (12.), 3.ლანჩხუთი (10ქ), 4.აბაშა (6.), 5.თბილისი (3ქ), 6.ოზურგეთი (0). ჩემპიონატის მეორე წრე ნოემბერში თბილისში ან ქუთაისში გაიმართება, გამარჯვებული გუნდი ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე იასპარეზებს.



**დავით კოხრეიძე**
**ქუთაისიდან**

წყალბურთი

# ევროპა ოლიმპიკში აიღებს სტარტს

**საწყლოსნო კომპლექსი „ოლიმპიკი" 4-7 აპრილს წყალბურთელ ვაჟთა 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველი ტურის შეხვედრებს უმასპინძლებს. ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად A ჯგუფში ქართველებთან ერთად სლოვაკები, ბრიტანელები, პოლონელები და ჩეხები იბრძოლებენ.**

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში სულ 17 ნაკრები დაუპირისპირდება ერთმანეთს პლეი ოფის ექვსი საგზურისთვის, რათა ბუდაპეშტში გასამგზავრებლად წინა ევროპის ჩემპიონატის მეშვიდე-მეთორმეტე-ადგილოსნებთან გაარკვიონ ურთიერთობა. უნგრეთის დედაქალაქში თამაშის უფლება უკვე დაბევებული აქვთ სერბეთს (ჩემპიონი), ჩერნოგორიას (ვიცე-ჩემპიონი), მადიარებს (მასპინძელი და ბრინჯაოს მედალოსანი), იტალიას, საბერძნეთსა და გერმანიას.

თბილისის შესარჩევი ტურნირისთვის მონდომებით ემზადება საქართველოს ნაკრები **ვლადიმერ ისელიძის** ხელმძღვანელობით.

- პირველ ტურში ოთხი გუნდი გვეწვევა. შემდეგ ივლისსა და ნოემბერში 12 გუნდთან მოგვიწევს შინ და გარეთ თამაშები. იმ ექვსეულში მოსახვედრად ვიბრძოლებთ, რომელიც პლეი ოფში გააღწევს, - გვითხრა ვლადიმერ ისელიძემ.

**- თქვენ უკვე გაიარეთ მოსამზადებელი ეტაპი.**

- სამ მარტს სერბეთში გავემგზავრეთ 12-დღიან საწვრთნელ შეკრებაზე. ნოვი სადში „ვოივოდინას" ბაზაზე ვვარჯიშობდით დღეში ორჯერ იქაურ წყალბურთელებთან ერთად. „ვოივოდინა" ამჟამად ეროვნულ ჩემპიონატში მე-5 ადგილზეა. მასპინძლებმა წვრთნისა და საკონტროლო შეხვედრებისთვის შესანიშნავი პირობები შეგვიქმნეს. შვიდი მატჩი ჩავატარეთ, საიდანაც 4 მოვიგეთ და 3-ში დავმარცხდით. თუმცა ჩვენთვის ანგარიშებს განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონია, რადგან მთავარი იმ ტაქტიკისა და სტრატეგიის დამუშავება იყო, რომლებითაც მეტოქეებს ევროპის შესარჩევზე უნდა დავუპირისპირდეთ.

ამ მხრივ შედეგიანი გამოდგა თურქული ტურნეც. სტამბოლში ოთხი დღე დავყავით და ადგილობრივ „გალასათარაისთან" სამი ორთაბრძოლა გავმართეთ.

**- შეკრებებზე რამდენი წყალბურთელით იყავით?**

- საშუალება გვქონდა, ყველა ის წყალბურთელი გაგვესინჯა, რომლებიც საქართველოს ნაკრების კანდიდატებად მოიაზრებიან. მათ შორის გახლდათ სამი ახალგაზრდა სპორტსმენი - ხვიჩა ჯახაია, ზურაბ ჩიკვაიძე და რეზი იმნაიშვილი. ისინი მაისში თანატოლთა შორის ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში იასპარეზებენ.

**- გუნდის ძირითადი შემადგენლობა გაირკვა?**

- დიახ, მაგრამ დასახელებისაგან ჯერ თავს შევიკავებ, რადგან პირველი აპრილისთვის ველოდებით ორი ნატურალიზებული წყალბურთელის ჩამოსვლას. ესენი არიან მარკო ელაჩა (ხორვატიის „რიეკა") და მარკო ელეზი (იტალიის „ბრეშა"), ხოლო მარინო ფრანიჩევიჩს (ხორვატიის „პოშკი), სამწუხაროდ, გამოშვებაზე გუნდმა უარი უთხრა.

**- ნატურალიზებულ წყალბურთელებს საწვრთნელ შეკრებებში მონაწილეობა არ მიუღიათ. გუნდთან შეთამაშება არ გაუჭირდებათ?**

- ისინი ევროპის საუკეთესო კლუბებში წამყვანი მოთამაშეები არიან, ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობენ. სწორედ ახლა აქვთ დასკნითი ეტაპი, ამიტომ კლუბებმა შეკრებებზე ვერ გამოუშვეს. მთავარი ის არის, რომ კარგ სპორტულ ფორმას ინარჩუნებენ, რასაც „ბრეშა" - „პარტიზანის" შეხვედრაში ელეზის უშეცდომო თამაშიც მოწმობს.

**- თბილისის ტურის მონაწილეებზე რას იტყვით?**

- ინგლისის ნაკრებს აქამდე ოთხჯერ ვეთამაშეთ და სამი მატჩი მოვუგეთ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან ბრიტანელებმა ლონდონის ოლიმპიადისთვის გუნდი გააძლიერეს და შინაურ შეჯიბრებაში უზარმაზარი გამოცდილება შეიძინეს. სლოვაკეთს ტრადიციულად ძლიერი გუნდი ჰყავს. თუმცა ბოლო დროს მათი თამაში არ გვინახავს. ამ ორ მეტოქესთან შედარებით სუსტები არიან პოლონელები და ჩეხები, მაგრამ მათთვისაც ანგარიშის გაუწევლობა მიუტევებელი შეცდომა იქნება. მართალია, პოლონელებიც არაერთხელ დაგვიმარცხებია, მაგრამ მას შემდეგ დრო გავიდა და მათი გუნდიც გაძლიერდა. ჩეხებს კი არ ვიცნობთ. ყოველივეს მიუხედავად, ოპტიმისტურად ვართ განწყობილი და ქომაგების გასახარებლად არაფერს დავიშურებთ.

■ ■ ■

4-7 აპრილსვე დანიურ ოდენსეში (C ჯგუფი) იასპარეზებენ მალტა, რუსეთი, პორტუგალია, ისრაელი, ბულგარეთი და დანია. შვეიცარიაში უნდა ეთამაშათ საფრანგეთს, სლოვენიას, უკრაინას, შვეიცარიას, ბელარუსსა და მოლდოვას (B ჯგუფი), მაგრამ ეს პაექრობები მაისისთვის გადაიდო. მასპინძელი ქვეყანა კი მოგვიანებით გაირკვევა.

**ვაჟა დანელია**



კალათბურთი. ინტერნეტკონფერენცია



მანუჩარ მარკოიშვილი 2011 წელს რუსეთთან მატჩში

# მანუჩარ მარკოიშვილი: ევრობასკეტზე ჯგუფიდან გასვლა დაცვის ხარჯზე უნდა შევძლოთ

„სპორტალმა" საინტერესო რუბრიკას ჩაუყარა საფუძველი - „ინტერნეტკონფერენციას". გულშემატკივრებს საშუალება აქვთ საიტის დახმარებით მისწერონ კითხვები ცნობილ სპორტსმენებს და ერთ კვირაში პასუხს იღებენ. ამჯერად ამ რუბრიკის სტუმარი კალათბურთელი **მანუჩარ მარკოიშვილია.**

*„მოგესალმებით ყველას და დიდი მადლობა დასმული კითხვებისთვის. მიხარია, რომ საქართველოში კალათბურთი იბრუნებს პოპულარობას და იმედია, მალე ჩვენი თამაშით და მონდომებით უფრო მეტ გულშემატკივარს გაგახარებთ", - ასეთი იყო მანუს შესავალი.*

**მკითხველი:**

**- გამარჯობა მანუჩარ! ძალიან მომწონს შენი თამაში. მაინტერესებს, არასდროს გქონია სურვილი ძალები NBA-ში მოგესინჯა?**

- გმადლობთ, რომ მოგწონთ ჩემი თამაში. NBA-ში წასვლა, ისევე როგორც ყველა კალათბურთელს, მეც ძალიან მინდოდა და მინდა! სამწუხაროდ, დრაფტზე მოხვედრამდე 2-ჯერ სერიოზული ტრავმა მივიღე და გარკვეულწილად ამან შემიშალა ხელი.

**ავთო, 23 წლის:**

**- გამარჯობა მანუ! შენი აზრით, ნაკრებში ნატურალიზებული კალათბურთელი გვჭირდება?**

- სამწუხაროდ, ბევრს მიაჩნია, რომ ჩვენ აუცილებლად გვჭირდება ნატურალიზებული კალათბურთელი და მეც ასე მეგონა რამდენიმე წლის წინათ, როცა საქართველოს ღირსებას შემონდ უილიამსი და ტაირონ ელისი იცავდნენ. ისინი ჩვენზე ბევრად მაღალი დონისანი იყვნენ და ყოველდღიურად გვეძლეოდა საშუალება, მათგან ბევრი რამ გვესწავლა. თუმცა, ამ ეტაპზე ასეთი ნატურალიზებული არ გვყავს და აქედან გამომდინარე, მირჩევნია, რომ უცხოელი ქართველებმა ჩაანაცვლონ.

**მკითხველი:**

**- კალათბურთი რომ არ ყოფილიყო, რა პროფესიის ადამიანი იქნებოდი?**

- კალათბურთის გარეშე ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი, თუმცა კალათბურთამდე ცეკვაზე დავდიოდი და ალბათ გავყვებოდი კიდეც.

**მკითხველი:**

**- საქართველოს ნაკრების გულშემატკივარი ვარ და ვამაყობ თქვენით. მაგრამ, სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვი ფედერაციაზე, რომელიც, რბილად რომ ვთქვა, კარგად ვერ მუშაობს. მათთან მთავარი პრეტენზია ნატურალიზებულ კალათბურთელებთან დაკავშირებით მაქვს, ბოლო დროს მოწვეულებიდან ვერცერთი აკმაყოფილებდა ჩვენი ნაკრების მოთხოვნებს... მინდა გკითხო, შენ როგორ აფასებ ფედერაციის მუშაობას?**

- ჩემი მხრიდან ძნელია ფედერაციის მუშაობის შეფასება და ვთვლი, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის შეფასება არ უნდა ხდებოდეს მხოლოდ საქართველოს ნაკრების გამოსვლიდან გამომდინარე, რადგან საქართველოს კალათბურთი არ არის მხოლოდ საქართველოს ნაკრები! რაც შეეხება ნატურალიზებულ მოთამაშეს, ლატარიასავითაა, შეიძლება გაგიმართლოს და მართლაც ვიპოვოთ კიდევ ერთი ტაირონ ელისი, თუმცა ბოლო წლებში არ გვიმართლებდა ამ საკითხში.

**პავლე, 21 წლის:**

**- მანუჩარ, რისი წყალობით მიაღწიე ასეთ სტაბილურობას? ყველა მწვრთნელისთვის დასაყრდენი კალათბურთელი ხარ.**

- არასტაბილურობა ჩემი ყველაზე დიდი მინუსი იყო და მუდამ ამის გამოსწორებაზე ვმუშაობ. ვცდილობ, თამაშიდან თამაშამდე სათანადოდ მოვემზადო და ფორმა მაქსიმალურად შევინარჩუნო. მწვრთნელებს კი სჯერათ იმ კალათბურთელების, ვინც მოედანზე ვარჯიშისა და თამაშის დროს მუდამ ბოლომდე იხარჯება და იბრძვის, მიუხედავად სიტუაციისა.

**გიორგი:**

**- მანუ, ძველი თუ ახალი თანაგუნდელებიდან ვის გაუწევდი რეკომენდაციას საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ?**

- ნატურალიზებულ კალათბურთელს მუდამ მწვრთნელი ირჩევს და ის მის სისტემასა და გუნდში უნდა ჯდებოდეს.

**მკითხველი:**

**- მანუჩარ, ალბათ უკვე გარკვეული შთაბეჭდილება შეგექმნა თურქეთის ჩემპიონატზე. მაინტერესებს, როგორ შეადარებდი ერთმანეთს იტალიისა და თურქეთის პირველობებს? სად უფრო მაღალი დონეა?**

- არ მეგონა, თურქეთში თუ ასეთი მაღალი დონის ჩემპიონატი იქნებოდა, რადგან ბოლო წლები არ ვადევნებდი თვალს, თუ არ ჩავთვლით ევროლიგაზე მოასპარეზე თურქულ გუნდებს. ძლიერი ჩემპიონატია და ამას განაპირობებს თითოეული კლუბის ბიუჯეტი, რომელიც საშუალებას აძლევთ გუნდებს მაღალი კლასის მოთამაშეებით გაძლიერდნენ. იტალიაში ამ ეტაპზე მართლაც კრიზისია, თუმცა ჩემპიონატის დონე არ ჩამოუვარდება თურქეთის პირველობის დონეს.

**ნიკა, 20 წლის:**

**- გამარჯობა მანუჩარ, საქართველოს რა შანსი აქვს ევროპის ჩემპიონატზე?**

- ეს დამოკიდებული იქნება ნაკრების მოსამზადებელ პერიოდზე. რა თქმა უნდა, რთული თამაშები გველის და იმედია, რომ კარგი მომზადება ჩვენს შანსებს გაზრდის.

**ლაშა, 21 წლის:**

**- მანუჩარ, შენი აზრით, ვინმე მაღალი დონის გამთამაშებელი რომ დავიმატოთ, შეგვეძლება მომავალ ევროპის ჩემპიონატზე ესპანეთთან და მსგავსი დონის გუნდებთან გამარჯვება?**

- მე მჯერა, რომ ჩვენ გვყავს მაღალი დონის გამთამაშებლები! ესპანეთთან და მსგავსი დონის გუნდებთან გამარჯვება ეს მარტო საქართველოს ნაკრების ამოცანა არაა და ამას წლეულს ბევრი ეცდება ნატურალიზებული, მაღალი დონის გამთამაშებელის გარეშე.

**მკითხველი:**

**- საკლუბო თუ სანაკრებო კარიერის მანძილზე არაერთი ძლიერი კალათბურთელის წინააღმდეგ გიასპარეზია, მაგრამ მაინც ვინ იყო ის მოთამაშე, ვინც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა შენზე? იქნებ თავად ის მატჩიც გაიხსენოთ, როცა ამ კალათბურთელის წინააღმდეგ ითამაშე...**

- ყველაზე ძლიერები დეიან ბოდიროგა და დიმიტრის დიამანტიდისია. მათ ზუსტად იციან, როგორ მიაღწიონ გამარჯვებას ყოველ თამაშში!

**მკითხველი:**

**- მანუჩარ, საქართველოს ნაკრებში ბევრ უცხოელს უთამაშია, შენი აზრით, ვინ იყო მათგან ყველაზე ძლიერი?**

- ალბათ, ყველაზე ძლიერი შემონდ უილიამსი იყო, თუმცა საქართველოს ნაკრებს უფრო ტაირონ ელისი გამოადგა.

**მკითხველი:**

**- ცხადია, რომ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ისეთ ქვეჯგუფშია მოხვედრილი, სადაც 2 გამსვლელი ადგილი დიდი ალბათობით უკვე დაკავებულია. ჩვენ სწორედ იმ ერთი დარჩენილისთვის უნდა ვიბრძოლოთ. რა არის ის მთავარი კოზირი, რითაც ჩვენ შევძლებთ ხორვატიის, პოლონეთის და ჩეხეთის ძლევას?**

- აუცილებელი იქნება დაცვის პრობლემის მოგვარება, რომელიც გასულ ზაფხულს გვქონდა! დაცვის ხარჯზე შევძლებთ ჯგუფიდან გასვლას.

**მკითხველი:**

**- გამარჯობა მანუჩარ, შენი აზრით, საქართველოს სუპერლიგას აქვს წინსვლა? რას ფიქრობ, როგორ უნდა მივიდეთ ისეთ დონემდე, როგორიც იტალია, ესპანეთი და თურქეთია?**

- ბოლო წლებში მართლაც არის წინსვლა საქართველოს ჩემპიონატში და ახლა ამის შენარჩუნებაა საჭირო. ესპანეთის, იტალიისა და თურქეთის ჩემპიონატამდე სანამ მივალთ, ჯერ ბელგიის, ხორვატიის, სლოვენიის ჩემპიონატებამდე უნდა მივიდეთ და დამიჯერეთ, ესეც უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

**ლექსო, 13 წლის:**

**- რამდენიმე კითხვა მაქვს: აპირებ თუ არა „გალათასარაიში" თამაშის გაგრძელებას? NBA-ზე რას ფიქრობ, რომელ გუნდს ქომაგობ? ესპანეთის დამარცხების რამხელა შანსი გვაქვს?**

- „გალათასარაისთან" კონტრაქტი კიდევ 1 წლით მაკავშირებს და იმედი მაქვს, რომ კონტრაქტის ბოლომდე დავრჩები. NBA-ში ვქომაგობ „ატლანტას" და ზაზა ფაჩულიას. ესპანეთის დამარცხება ძალიან რთული იქნება, თუმცა შანსები ნამდვილად გვაქვს.

www.sportall.ge



კალათბურთი. სტუმარი

# რიჩარდ სტოქსი თბილისშია

გუშინ ქართველი მსაჯები, კომისრები და მდივნები **რიჩარდ სტოქსის** სემინარს დაესწრნენ.

*- იგი ფიბა-ევროპის მსაჯთა და საშეჯიბრო დეპარტამენტების დირექტორია და არაერთი უმაღლესი დონის თამაში გაუსჯია, დიდი გამოცდილება აქვს, რაც ჩვენთვის მეტად საინტერესოა, - გვითხრა ევროპის 2013 წლის ჩემპიონატზე განაწილებულმა ქართველმა არბიტრმა* **დავით ბერეკაშვილმა**, *- რიჩარდ სტოქსი საერთაშორისო თამაშების შემდეგ მითითებებს გვაძლევს, რისი სამომავლოდ გათვალისწინებაც აუცილებელია. სხვათა შორის, მან ლიტვის ევროპის ჩემპიონატზე ჩემი მუშაობა დადებითად შეაფასა.*

სემინარის დაწყების წინ გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა** გახსნა და სიტყვა ფედერაციის პრეზიდენტ **ბესიკ ლიპარტელიანს** გადასცა:

*- წლეულს სლოვენიაში ევროპის ჩემპიონატი იმართება, სადაც ქართველი არბიტრიც იმსაჯებს. ამასთან, რიჩარდ სტოქსის ჩამოსვლა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ გვეხმარება მსაჯების პროფესიული ზრდის საქმეში. იმედი მაქვს, მისი სამდღიანი სტუმრობა ნაყოფიერი იქნება.*

რიჩარდ სტოქსმა ხაზი გაუსვა, რომ სიამოვნებით აკვირდება ბოლო წლებში ქართული გუნდების წინსვლას საერთაშორისო სარბიელზე...

*- ჩემი ჩამოსვლის მიზანია, ფედერაციას კიდევ უფრო დავეხმარო მსაჯობის დონის ამაღლებაში და ხელი შევუწყო ახალი კადრების მოძიებასა და ზრდაში. საჭიროა არა მხოლოდ რამდენიმე საერთაშორისო დონის არბიტრის ყოლა, არამედ შიდა რესურსიც სათანადოდ უნდა იყოს გამოცდილი. მსაჯებზე ბევრი რამაა დამოკიდებული. თუ არბიტრები სათანადოდ ვერ მოემსახურებიან, ვერც თამაში გამოვა კარგი.*

**ვაჟა სიმონიშვილი**



მერაბ რატიშვილი, რიჩარდ სტოქსი, ბესიკ ლიპარტელიანი, როლანდ ხომერიკი

კალათბურთი. ლეგიონი

# არის რეკორდი არისთან!

## შერმადინის 13, მანუს გამარჯვების სამქულიანი

გუშინ ევროპაში სამმა ქართველმა ითამაშა. სამივემ გაიმარჯვა. საბერძნეთის ჩემპიონატში **გიორგი შერმადინის** „ოლიმპიაკოსმა" სტუმრად „არისი" დაამარცხა (84:68), თურქეთის პირველობაზე **მანუჩარ მარკოიშვილის** „გალათასარაიმ" ასევე სტუმრად - „ბეშიქთაში" (76:72), ხოლო იტალიაში **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკიმ" სიენაში „კანტუს" სძლია (73:66).

შერმადინმა მიმდინარე სეზონის პირადი რეკორდი დაამყარა - 13 ქულა ჩააგდო. მან ოთხივე ორქულიანი კალათში მოათავსა, რასაც 5 საჯარიმო მიამატა (7-დან). გარდა 13 ქულისა 19 წუთში მის ანგარიშზე 4 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება დაფიქსირდა. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით შერმადინი მხოლოდ **პერპეროგლუს** ჩამორჩა, რომელმაც 15 ქულა ჩააგდო. მისი მქკ 20 იყო, გიორგისა - 19.

მარკოიშვილმა „ბეშიქთაშთან" მატჩი ხუთეულში დაიწყო და საწყის წუთებზე ხუთი ქულითაც გამოირჩა. მას ოთხი ჯარიმის გამო სათამაშო დრო ოდნავ შეეზღუდა, თუმცა მწვრთნელმა ბოლო წუთებზე მოედანზე გაიყვანა და არც შემცდარა. საფინალო სირენამდე წუთით ადრე, როცა „გალა" ორი ქულით იგებდა მანუმ სამქულიანით თანაგუნდელები 69:64 დააწინაურა. დარჩენილ დროში მაინძლებმა თამაშის შემოტრიალება ველარ შეძლეს.

მანუჩარის მონაგარი ასეთი იყო: 20 წუთი, 8 ქულა (3-დან 2 სამქულიანი), 1 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა.

„მონტეპასკი" ერთ ეპიზოდში 64:33-ს იგებდა, თუმცა მეოთხე პერიოდში „კანტუმ" იმდენი მოახერხა, რომ კინაღამ გაუთანაბრა. საბოლოოდ სიენელებმა 7 ქულის სხვაობით მოიგეს. სანიკიძემ 18 წუთში 2 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| მოთამაშე | გუნდი | თარიღი | შეჯიბრება | VS | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (აშშ) | 18.03 | NBA | VS დალასი | 113:127 | არ უთამაშია, ტრავმა | | | | | |
| | | 20.03 | NBA | VS მილუოკი | 98:90 | არ უთამაშია, ტრავმა | | | | | |
| | | 22.03 | NBA | VS პორტლენდი | 93:104 | არ უთამაშია, ტრავმა | | | | | |
| | | 24.03 | NBA | მილუოკი VS | 99:104 | არ უთამაშია, ტრავმა | | | | | |
| თორნიკე შენგელია | სპრინგფილდი (აშშ) | 19.03 | NBDL | VS ბეიკოუძსი | 102:96 | 32 | 17 | 5 | 1 | 3 | 1 |
| | | 21.03 | NBDL | VS ოსტინი | 123:129 ОТ | 42 | 27 | 6 | 2 | 1 | 1 |
| | | 23.03 | NBDL | VS მეინე | 108:115 | 30 | 23 | 11 | 5 | 3 | 1 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | გალათასარაი (თურქ) | 25.03 | თურქეთის ჩემპ. | ბეშიქთაში VS | 72:76 | 20 | 8 | 1 | 1 | 1 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტალია) | 22.03 | ევროლიგა | ბეშიქთაში (თურ) VS | 72:70 | 20 | 2 | 3 | 2 | 0 | 1 |
| | | 25.03 | იტალიის ჩემპ. | VS კანტუ | 73:66 | 18 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 |
| ნიკა მეტრეველი | ომენა (იტალია) | 23.03 | იტალიის ჩემპ. | VS ფერარა | 59:65 | 23 | 10 | 5 | 1 | 0 | 2 |
| გიგა ჯანელიძე | კაზაპუსტერენგო (იტ) | 24.03 | იტალიის ჩემპ. | ტრევილიო VS | 71:67 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი შერმადინი | ოლიმპიაკოსი (საბ) | 22.03 | ევროლიგა | VS მაძაბი (ისრ) | 67:73 | 15 | 5 | 3 | 0 | 1 | 1 |
| | | 25.03 | საბერძნეთის ჩემპ. | არისი VS | 68:84 | 19 | 13 | 4 | 0 | 3 | 1 |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | 20.03 | ევროთასი | VS ბილბაო (ესპ) | 83:93 | 27 | 8 | 1 | 7 | 1 | 0 |
| | | 22.03 | უკრაინის ჩემპ. | მიკოლაივი VS | 73:76 | 34 | 21 | 5 | 4 | 1 | 0 |
| | | 24.03 | უკრაინის ჩემპ. | ხიმიკი VS | 93:88 ОТ | 27 | 11 | 4 | 6 | 0 | 0 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპანეთი) | 23.03 | ესპანეთის ჩემპ. | VS ბარსელონა | 72:91 | 7 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | ჩამპვილი (ლიბანი) | 20.03 | ლიბანის ჩემპ. | VS ჰუპსი | 108:86 | 32 | 29 | 12 | 5 | 0 | 1 |
| | | 23.03 | ლიბანის ჩემპ. | ამჩიტი VS | 78:94 | 40 | 25 | 10 | 0 | 1 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა



# წესები საჭიდაო გზაჯვარედინზე

**18 აპრილს მოსკოვში ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (FILA) რიგგარეშე კონგრესი გაიმართება, სადაც ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. ამავე ღონისძიებაზე FILA-მ სოკ-ს წესების ახალი პაკეტი უნდა წარუდგინოს, რაზეც დიდად იქნება დამოკიდებული ჭიდაობის სამომავლო ბედი - დატოვებენ თუ არა ოლიმპიადის პროგრამაში.**

FILA-ში საგანგებო ჯგუფი უკვე მუშაობს ახალი წესების შემუშავებაზე. თბილისში ევროპის ჩემპიონატზე ჩამოსულ სტუმრებთან ამაზეც გვსურდა საუბარი. 18 აპრილი არც ისე შორსაა და ვფიქრობდით, რამე კონკრეტულს უკვე გვეტყოდნენ მოსალოდნელ ცვლილებებზე - რა კუთხით, რა მიმართულებით განხორციელდება ეს რეფორმები, რა შეიცვლება და რა დარჩება ახლანდელ წესებში. ასევე გვაინტერესებდა, დარჩებოდა თუ არა პერიოდები, მაგრამ გადაჭრით ჯერ ვერავინ ვერაფერს ამბობს. პრინციპული შეთანხმება მიღწეულია მხოლოდ იმაზე, რომ ჭიდაობა უნდა გახდეს სანახაობრივი და დაიბრუნოს მაყურებელი, ოღონდ როგორ, რა გზით, ამაზე ჯერ ვერ საუბრობენ. არადა, გვეგონა, უფრო კონკრეტულ პასუხს მივიღებდით, რადგან არც დრო რჩება ბევრი და ვითარებაც სასწრაფოდაა შესაცვლელი. სამაგიეროდ, მოჭიდავეებმა არც ამჯერად უღალატეს ჩვეულებას და ზედ ევროპის პირველობის წინ გამართულ ევროპული ფედერაციის კონგრესზე შეცვალეს წესები. ასეთ ექსტრემალურ ვითარებაში ცვლა ცუდია, მაგრამ გარკვეული დადებითი ტენდენცია აქაც გამოჩნდა. მაგალითად, ამის დამსახურებაა, ამჯერად ისე ხშირად რომ ვიხილეთ ქულა-გაფრთხილება - ადრე პასიურობისთვის ასე ინტენსიურად არ ისჯებოდნენ. სავარაუდოდ, ამან ჭიდაობა უფრო დინამიკური უნდა გახადოს. კიდევ ერთი და, ვფიქრობთ, ამ ჩემპიონატზე გამოჩენილი მთავარი ტენდენცია ობიექტური მსაჯობაა. ბუნებრივია, მიკერძოებისგან დაზღვეული ვერასოდეს ვიქნებით, ამ ტურნირზეც იყო რამდენიმე საკამათო ეპიზოდი, მაგრამ ტრიბუნიდანაც კარგად ჩანდა, რომ ამჯერად ბევრად ობიექტური მსაჯობა იყო და ადრინდელი უმსგავსობა არ ხდებოდა. იმედია, მომავალშიც ასე გაგრძელდება.

■ ■ ■

შევეცადეთ, წესებში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით რესპონდენტები შიდა სამზარეულოდან შეგვერჩია ანუ რეფორმებში უშუალოდ ჩართულები. საბოლოოდ არჩევანი FILA-ს კომისარ **ახროლჯან რუზიევზე** და FILA-ს ბიუროს წევრზე, რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ **მიხეილ მამიაშვილზე** შევაჩერეთ.

ახროლჯან რუზიევი: *„წესებში უკვე შევიდა ცვლილებები. მაგალითად, პასიურობისთვის ჯერ აფრთხილებენ, მერე კი ქულას აძლევენ. ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ჭიდაობა იყოს უფრო სანახაობრივი. წესებში ცვლილებები უკვე წლეულსვე შევა ძალაში - შემოდგომაზე გასამართავ მსოფლიოს პირველობაზე, ოღონდ ეს ჯერ სატესტო რეჟიმში იქნება და ახალი წესები გამოიცდება ახლგაზრდებისა და ჭაბუკების ტურნირებშიც. ამ ტურნირზეც რვავე კომისარი აკვირდება წესებს, მსაჯთა გარჯას. ამასთან, მსაჯი თუ ელაპარაკება მწვრთნელს ან სპორტსმენს, მას მაშინვე ეხსნება კატეგორია. ამ ცვლილებებით გვინდა, ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ჭიდაობის კორუმპირებულობაზე საუბარს".*

მიხეილ მამიაშვილი: *„ჭიდაობა უნდა იყოს ყველასთვის გასაგები, რომ მისგან სიამოვნება მიიღოს ყველამ. მათ შორის - რიგითმა ადამიანმაც, რომელიც არაა მოჭიდავე, მაგრამ უყვარს სპორტი. ახლანდელი წესები მოჭიდავეთა გარდა, სხვებისთვის ხშირად გაუგებარია და ეს უნდა გამოვასწოროთ. ჭიდაობა ოჯახური სპორტი უნდა გახდეს, რომ დარბაზში ხალხი ოჯახთან ერთად მოვიდეს, გაერთოს და ისიამოვნოს. ეს ერთი მიმართულებაა, მეორე კი ის უნდა იყოს, რომ სპორტსმენმა, ვინც კარგად მომზადებულია ფიზიკურად, გამძლეობით, ტექნიკურად, ტაქტიკურად, საერთოდ - ნებისმიერ ასპექტში, ეს ყველაფერი სრულად გამოავლინოს და გამოირიცხოს შემთხვევითობა. პერიოდებად დაყოფა დარჩება თუ არა, ეს ჯერ კითხვის ნიშნის ქვეშაა და არაა გადაწყვეტილი".*

**ირაკლი თავაძე**

თავისუფალი ჭიდაობა

# ხუციშვილი ოპერაციას გადაურჩა

როგორც ოლიმპიური გუნდის მთავარმა ექიმმა **ზურაბ კახაბრიშვილმა** გვითხრა, თავისუფალი სტილით მოჭიდავე **დავით ხუციშვილი** (74) ოპერაციას გადაურჩა და მხრის ტრავმა უამისოდაც მოგვარდება. ესაა ძველი ტრავმა, რომელიც თითქოს მოირჩინა, მაგრამ 22 მარტს, თბილისში მიმდინარე ევროპის პირველობაზე ისევ გაიმიზეზა. განსაკუთრებით - რუსთა მომავალ ჩემპიონ **ანუარ გედუევთან** შეხვედრაში, რომელიც ძირითადად ამ ტრავმის გამო წააგო. ექიმებს მისი საჭიდაოდ გაყვანა არც დამამშვიდებელ წრეში უნდოდათ პოლონელ **ტომაშ როგიზცთან**, თუმცა თვით სპორტსმენმა დაიჟინა. ამ დროს ის ნატკენ ხელს, პრაქტიკულად, უკვე ვერ იყენებდა, მაგრამ ტკივილგამაყუჩებლებით ჭიდაობა მაინც მოითხოვა, ცალი ხელით ვიჭიდავებ და თუ ილეთს ვერ გავაკეთებ, არც რამეს დავუთმობო. დათმობით მართლაც არაფერი დაუთმო და მოუგო კიდეც, მაგრამ გამარჯვების ალსანიშნავად მსაჯმა ხელი ვერ ააწევინა, ისეთ დღეში იყო. ამის შემდეგ მისი მარცხი ბულგარელთა მომავალ ბრინჯაოს მედალოსან **ლეონიდ ბაზანთან** დროის ამბავი იყო...

ხუციშვილს ნატკენი მხარი მეორე დღესვე გაუშუქეს და ტრავმა არც ისე სერიოზული აღმოჩნდა, როგორც თავიდან შიშობდნენ - მხარი ნაღრძობია და არა მოტეხილი. ამასთან, კუნთია გაწყვეტილი და განვითარებულია სისხლჩაქცევა. მას დღეიდან ფიზიოთერაპიულ კურსს ჩაუტარებენ და მერე მხარს კიდევ ერთხელ გადაუღებენ, თუმცა კახაბრიშვილის თქმით, ეს ტრავმა მსოფლიოს პირველობისთვის მომზადებაში ხუციშვილს ხელს არ შეუშლის.

**ირაკლი თავაძე**



ძიუდო. სამსუნის ტურნირი




**30-31 მარტს სამსუნი „დიდი პრიზის" ტურნირს მასპინძლობს, რომელშიც საქართველოს ნაკრები გადახალისებული შემადგენლობით გამოვა.**

# თურქული გამბიტი საევროპოდ

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემ** ამჯერად ლიდერთა უმეტესობას დასვენების საშუალება მისცა და თურქეთში უფრო მეორე ნომრები მიჰყავს. ეს ფრიად მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა ჩვენი ნაკრებისთვის, რადგან ბოლო შესარჩევი-სასტარტო ტურნირია ევროპის ჩემპიონატის წინ. იქ ნაჩვენები შედეგი დიდწილად განსაზღვრავს აპრილის ბოლოს ბუდაპეშტში კონტინენტის პირველობაზე წამსვლელთა ვინაობას. თუმცა უზნაძეს შეგირდებზე დასაკვირვებლად მანამ კიდევ რჩება ერთი ეტაპი - გერმანული შეკრება.

სამსუნში **პაატა მერებაშვილი, გიორგი ბროლაშვილი** (ორივე - 60), **შალვა ქარდავა, თორნიკე თათარაშვილი** (66), **ზებედა რეხვიაშვილი, არსენ მაჭარაშვილი** (73), **ლაშა ზურაბიანი, იოსებ ჩილინდრიშვილი** (81), **ზვიად გოგოჭური** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი, დავით ლორიაშვილი** (ორივე - 100) და **ონისე ბულაძე** (+100) იჭიდავებენ.

მოგეხსენებათ, შარშან ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე წონაში ქვეყნიდან 2-2 კაცის გამოყვანა შეიძლებოდა ანუ, მთლიანობაში, 14 სპორტსმენისა, ახალი წესებით კი ქვეყნიდან მხოლოდ 9 ათლეტია დაშვებული. მწვრთნელს შეგირდთა გაორება მხოლოდ ორ წონაში შეუძლია 7+2 პრინციპით, თუმცა შეიძლება ასეც მოიქცეს - რომელიმე წონაში საერთოდ არ წაიყვანოს ფალავანი და მის ხარჯზე მესამე გააოროს, მაგრამ წონაში ორ კაცზე მეტს ვერ დააყენებს. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ უზნაძე სამსუნში ბუდაპეშტში დასამატებელ იმ ორ კაცს ეძებს, თორემ პირველი ნომრების ბედი, ვფიქრობთ, გადაწყვეტილია - წონის ლიდერთაგან ვინც ახლა არ მიჰყავს, სავარაუდოდ, მათ ევროპაზე გამოსვლა გარანტირებული აქვთ. გამონაკლისია 100 კილოგრამი, სადაც ლიდერი საერთოდ გასარკვევია, რადგან აქ ჩავარდნა გვაქვს. ამიტომ სამსუნში ორივე შესაძლო კანდიდატს გამოცდის. არის წონები, სადაც საქართველოს პირველობისა თუ უცხოური შეჯიბრებების შედეგებით ლიდერთა ვინაობა გარკვეულია, მაგრამ არის წონები, სადაც მთლად ასე ხელაღებით ვერ ვიტყვით, ვინაა პირველი ნომერი და ვისი წაყვანა აჯობებს უნგრეთში. თუმცა ბუდაპეშტში პირადთან ერთად კონტინენტის გუნდური პირველობაც ტარდება და, სავარაუდოდ, უზნაძე შეგირდთა ნაწილს, ვინც პირადში ვერ მოხვდება, გუნდურში გამოიყენებს.

დასახელებულ შემადგენლობაში ყველაზე ნიშანდობლივი დიუსელდორფის „დიდი პრიზის" მესამე პრიზიორ გოგოჭურის გამოჩენაა - თუ ვინმეს ეძლევა ევროპაზე წასვლის შანსი, უპირველესად - მას, ოღონდ საამისოდ სამსუნშიც წარმატებით უნდა გამოვიდეს.

თურქეთიდან ჩვენები გერმანიაში გადავლენ შეკრებაზე და ევროპირველობისთვის მზადების დასკვნით ეტაპს იქ გაივლიან. ოღონდ გერმანიაში წამსვლელთა ვინაობა ჯერ საბოლოოდ არაა გარკვეული - ნაწილი თბილისში დარჩენილთაგან იქნება, ნაწილი კი თურქეთში მოასპარეზეთაგან შეირჩევა, რაც მთლიანად მწვრთნელის პრეროგატივაა.

**ირაკლი თავაძე**

სამბო

# ახალი მწვრთნელი იმედიანად იწყებს

სამბოში ყველაზე რეიტინგული საერთაშორისო ტურნირი ამ სახეობის ერთ-ერთი ფუძემდებლის ანატოლი ხარლამპიევის სახელობის მემორიალია, რომელიც მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპიცაა.

წლეულს ამ ტრადიციულ ასპარეზობას მოსკოვის „ცსკა-მ" უმასპინძლა.

ქართველმა სამბისტებმა რუსების შემდეგ გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი მოიპოვეს, პირად პირველობაში კი რვა მედალი დაისაკუთრეს. რვიდან ხუთი მედალი ვერცხლისაა, სამი - ბრინჯაოსი.

დასანანია, რომ ჩვენი ხუთი ფინალისტიდან ვერც ერთმა ვერ შეძლო გადამწყვეტი ორთაბრძოლის მოგება, თუმცა მთლიანობაში, ურიგო შედეგი არ არის.

მოსკოვის თასზე ვერცხლის მედლები მოიპოვეს: **გივი ნადარეიშვილმა** (52 კგ), **ვახტანგ ჩიდრაშვილმა** (57), **უშანგი კუზანაშვილმა** (62), **პაატა ღვინიაშვილმა** (90) და **ონისე ბულაძემ** (+100).

მესამე პრიზიორები გახდნენ: **დიმიტრი მულაძე** (52), **ფრიდონ ზურაბიანი** (90) და **ლაშა გურული** (100).

ჩვენი ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელის **ჯონდო მუზაშვილისთვის** ეს იყო პირველი ტურნირი, რომელიც წარმატებული გამოდგა. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ჯონდო მუზაშვილი ყველაზე ტიტულოვანი ქართველი სამბისტია, რომელიც რამდენიმე თვის წინათ დაინიშნა ამ პოსტზე. ქართველ სამბისტებს ახლა იტალიაში მაისის შუა რიცხვებში გასამართი ევროპის ჩემპიონატი ელოდებათ.

**გაბრიელ ბარჯაძე**



ჩოგბურთი

# ეკა და ოქსანა ანთალიას შემორჩნენ



ეკა გორგოძე

თურქულ ანთალიაში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა ახალი საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი), რომლის ძირითად ბადეში ორი ჩვენებურიც ითამაშებს. **ოქსანა კალაშნიკოვა** მე-5 ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში კარენ ბარბატს (დანია) დაუპირისპირდება, **ეკა გორგოძე** კი მეორე ნომერ ბასაკ ერაიდინს (თურქეთი) გაუწევს მეტოქეობას.

წყვილებში კალაშნიკოვა ისევ ყირგიზ ქსენია პალკინასთან ერთად შეეცდება მთავარი პრიზის მოპოვებას. პირველ ნომრად განთესილი ეს დუეტი სტარტზე ალექსანდრა რილეის (აშშ) და ანა სმოლინას (რუსეთი) შეხვდება. გორგოძე თურქ მელის სეზერს შეუამხანაგდა. მათი მეტოქე ალექსანდრა დამაშინისა (რუმინეთი) და იასმინ გულმანი (თურქეთი) ტანდემი იქნება.

**ვაჟა დანელია**

სამთო თხილამურობა

# ჩეხეთსა და იტალიაში

ევროპის ზამთრის კურორტებზე გრძელდება სამთო მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრებები, რომლებშიც ჩვენებურებიც მონაწილეობენ. სვატი პეტრაზე ჩეხეთის ღია პირველობა გაიმართა ქალთა სლალომში. **ნინო ნიკლაურმა** 1.59,04-ით მე-16 ადგილი დაიკავა. პირველი იყო მასპინძელი კატერინა პაულატოვა.

იტალიამ გიგანტურ სლალომში ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. ქართველმა მოთხილამურეებმა სამი-ოთხი წლით უფროსებთან პაექრობაში თავი ვერაფრით გამოიჩინეს: **ნიკოლოზ კოზანაშვილი** (2.09,71) 27-ე იყო, **შოთა ნათაძემ** (2.10,39) 30-ე, **სანდრო ოგბაიძემ** 48-ე ადგილები დაიკავეს, ხოლო **სოსო ჯაფარიძემ** მე-2 დისტანცია ვერ ჩაამთავრა.

**ვაჟა დანელია**

ლეგიონერები

# ბრეგვაძისა და ზირაქაშვილის წყვილი ლელო

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა. პლეი ოფში გასვლისთვის ბრძოლა უკიდურესად დაიძაბა და ახლა, ყველა ქულას, ფაქტობრივად, ოქროს ფასი აქვს. ლიდერთა შორის ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდია, თუმცა მომდევნო ეტაპზე გასვლის თეორიული შანსი ექვსს აქვს.**

გათამაშების ლიდერმა **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონმა“ სტუმრად ითამაშა ბასკურ „ბაიონთან“, რომელსაც დივიზიონიდან გავარდნის თეორიული საფრთხე ემუქრებოდა და 28:33 დამარცხდა. ტულონელები მთელი მატჩის განმავლობაში მდევრის როლში იყვნენ. გუნდს აკლდა ინგლისელი მგეზავი **ჯონი ვილკინსონი** და ავსტრალიელი შუამარბი **მეთ გიტო**, არ უთამაშია ასევე **ფრედერიკ მიშალაკსაც.**

ჩილაჩავა ძირითად შემადგენლობაში იყო და 62-ე წუთზე ქუბრიაშვილმა შეცვალა, მიაქუტაძე მოედანზე 51-ე წუთიდან გამოჩნდა.

„ტულონის“ გასწრებისა და გალიდერების შანსი გაუშვა ხელიდან **დავით ზირაქაშვილისა და ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონმა“, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავად ითამაშა, სტუმრად წააგო კიდევ ერთ ბასკურ გუნდ „ბიარიცთან“ - 28:32.

თამაშის 68-ე წუთამდე ანგარიში მასპინძლებს მიჰყავდათ. „ვულკანები“ ბრუკ ჯეიმზის ლელოთი დაწინაურდნენ, რომელიც თავადვე გარდასახა - 23:22. სამ წუთში სტუმართა გუნდი ზირაქაშვილის ლელოთი კიდევ უფრო დაწინაურდა. მასპინძელთა მოედნის ნახევარზე წარმოქმნილი რაკიდან ბურთი მეორეხაზელმა ჯიმი კუდმორმა აიტაცა და მოკლე ფრთაზე შეუტია. მას ზირაქაშვილიც მიჰყვა. კანადელმა დროულად შენიშნა საქართველოს ნაკრების პირველხაზელის მანევრი, ბურთი მას გაატანა და ჩვენმა შერკინების ბურჯმა ლელომდე 22 მეტრი გარემარბივით გაირბინა.

მიუხედავად ამისა, „ვულკანებმა“ გამარჯვების შენარჩუნება ვერ შეძლეს. მასპინძელთა მხრიდან გამორჩეული იყო ქართული წარმოშობის ფრანგი ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილი**, რომელმაც ორივე ლელო გარდასახა, რასაც ექვსი საჯარიმო მიუმატა (22 ქულა). კოლელიშვილს არ უთამაშია, რადგან ჰონგ კონგში საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებში იასპარეზა.

საფრანგეთის ჩემპიონი **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზი“ 69 ქულით მესამე ადგილზეა. ჩვენებურთა ამ გუნდმა შინ **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე“ მიიღო და 43:16 მოუგო. არადა, პირველი ნახევარი მასპინძლებმა მინიმალური სხვაობით 10:9 მოიგეს. ტულუზელებმა გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება მეორე ტაიმში, 50-ე წუთიდან შეძლეს. ბრეგვაძემ 77-ე წუთზე ლელო გაიტანა, მანამდე კი, 17 წუთით ადრე, **ტიერი დუსოტუარს** გაატანინა. კაკოვინი თამაშში 45-ე წუთიდან ჩაერთო.

მორიგი გამარჯვება მოიპოვა **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმაც“, რომელიც 62 ქულით მეოთხე ადგილზეა. კასტრელებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, შინ სძლიეს ერთ-ერთ აუტსაიდერ „აჟენს“ - 20:9. ფეიქრიშვილი განაცხადში არ იყო.

„კასტრს“ სამი ქულით ჩამორჩება და მე-6 ადგილზეა **მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა და გიორგი ჟღენტის** „მონპელიე“, რომელმაც სტუმრად შეძლო „გრენობლის“ დამარცხება - 16:9. ჩვენებურთა ეს გუნდი ერთადერთია, ვინც 22-ე ტურში სტუმრად მოიგო.

ნარიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 45-ე წუთზე შეცვალეს, გორგოძე და ჟღენტი განაცხადში არ იყვნენ.

ელიტურ, პირველ დივიზიონში დარჩენის ყველანაირი შანსი გადაეწურა **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანს“, რომელმაც ამჯერად სტუმრად წააგო „ბორდოსთან“ - 7:40. მჭედლიძეს არ უთამაშია.

### I დივიზიონი

**ბაიონი-ტულონი 33:28, მეტრო რასინგი-პერპინიანი 23:19, ბორდო-მონ დე მარსანი 40:7, კასტრი-აჟენი 20:9, გრენობლი-მონპელიე 9:16, ბიარიცი-კლერმონი 32:28, ტულუზი-სტად ფრანსე 43:16.**

### სატურნირო მდგომარეობა

1. ტულონი - 77 ქულა, 2. კლერმონი - 75, 3. ტულუზი - 69, 4. კასტრი - 62, 5. მეტრო რასინგი - 62, 6. მონპელიე - 59, 7. პერპინიანი - 56, 8. გრენობლი - 49, 9. ბიარიცი - 47, 10. სტად ფრნასე - 46, 11. ბაიონი - 45, 12. ბორდო - 36, 13. აჟენი - 27, 14. მონ დე მარსანი - 15.

### XXIII ტური

**ბიარიცი-გრენობლი, სტად ფრანსე-ტულონი, პერპინიანი-კასტრი, კლერმონი-აჟენი, ბორდო-ბაიონი, მონ დე მარსანი-მონპელიე, მეტრო რასინგი-ტულუზი.**

მეორე დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ხუთი ტურია დარჩენილი. აქ პირველი დივიზიონის ერთი საგზური დიდი ხანია „ოიონაქსმა“ მოიპოვა, რომელიც უახლოეს მდევარ „ლა როშელს“ 21 ქულით უსწრებს და ელიტაში თამაშის უფლებას ოფიციალურად, სავარაუდოდ, მომდევნო ტურში გაიფორმებს. დარჩენილი ერთი ადგილისთვის აქ ერთბაშად შვიდი გუნდი იბრძვის, რომელთაგან ხუთი ქართველი მორაგბეებისაა.

მესამეადგილოსანმა **მამუკა მაგრაქველიძის** „პომ“ სტუმრად ითამაშა აუტსაიდერთან, **შალვა სუთიაშვილისა და დავით აშვეთიას** „მასისთან“ და 20:44 დამარცხდა. აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყო, მაგრაქველიძე და სუთიაშვილი თამაშში მეორე ტაიმიდან ჩერთნენ.

„პოს“ ერთი ქულით ჩამორჩება და მეოთხე ადგილზეა **დავით ხინჩაგიშვილის, გოდერძი შველიძისა და ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივი“, რომელმაც შინ დაამარცხა **ტარიელ რატიანიძის** „დაქსი“ - 26:14. ხინჩაგიშვილმა სრულად ითამაშა, შველიძე, ნატრიაშვილი და რატიანიძე განაცხადში არ იყვნენ.

65-65 ქულა აქვს და მეხუთე-მეშვიდე ადგილებს იყოფს ქართველ მორაგბეთა ერთბაშად სამი გუნდი. ესენია: „ლიონი“, „ტარბი“ და „ორიაკი“.

**გურამ კავთიძის** „ლიონმა“ **ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკს“ უმასპინძლა და 33:6 მოუგო. დათუნაშვილმა სრულად ითამაშა, ასეიშვილი მეორე ტაიმში შეცვალეს, ნაცარაშვილი და კავთიძე განაცხადში არ იყვნენ.

**გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძის, დავით დადუნაშვილისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა“ სტუმრად წააგო **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიესთან“. ნემსაძე, რომელმაც სრულად ითამაშა, 48-ე წუთზე გაასინბინეს, თავიდან ბოლომდე ითამაშა ჩხაიძემაც, მირცხულავა მოედანზე 65-ე წუთიდან გამოჩნდა, შეყლაშვილი 14 წუთის შემდეგ შეცვალეს, დადუნაშვილს არ უთამაშია.

**ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, გიორგი თეთრაშვილის, კახაბერ კობერიძისა** და **ვახტანგ ახობაძის** „ალბიმ“ შინ დაამარცხა „კარკასონი“ 23:11 და ახლა 53 ქულით მე-11 ადგილზეა. თეთრაშვილი და ახობაძე ძირითად შემადგენლობაში იყვნენ და ერთდროულად 57-ე წუთზე შეცვალეს. მაისურაძე, თოდუა და კობერიძე განაცხადში არ იყვნენ.

### II დივიზიონი

**ნარბონი-ოიონაქსი 6:9, ბეზიე-ტარბი 11:3, ალბი-კარკასონი 23:11, ოში-კოლომიე 19:19, ლა როშელი-ექსი 39:21, ბრივი-დაქსი 26:14, მასი-პო 44:20, ლიონი-ორიაკი 33:6.**

### სატურნირო მდგომარეობა

1. ოიონაქსი - 97 ქულა, 2. ლა როშელი - 78, 3. პო - 75, 4. ბრივი - 74, 5. ლიონი - 65, 6. ტარბი - 65, 7. ორიაკი - 65, 8. კარკასონი - 60, 9. ნარბონი - 58, 10. კოლომიე - 56, 11. ალბი - 53, 12. ოში - 41, 13. ბეზიე - 39, 14. ექსი - 38, 15. დაქსი - 36, 16. მასი - 31.

### XXVI ტური

კოლომიე-ბრივი, ტარბი-ოში, ლა როშელი-მასი, დაქსი-ექსი, კარკასონი-ბეზიე, ორიაკი-პო, ალბი-ნარბონი, ოიონაქსი-ლიონი.

ორკვირიანი შესვენების შემდეგ განახლდა გათამაშება კელტთა ლიგაში. მე-18 ტურში ლიდერობა დაკარგა ირლანდიურმა „ალსტერმა“, რომელმაც მოულოდნელად სტუმრად წააგო **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგთან“ - 8:14. საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი განაცხადში არ იყო.

აქ ლიდერობა ხელთ იგდო შარშანდელმა გამარჯვებულმა, მეორე ირლანდიურმა კლუბმა „ლენსტერმა“, რომელმაც შინ მშრალი ანგარიშით სძლია შოტლანდიურ „გლაზგოს“ - 22:0.

### კელტთა ლიგა

**ზებრე-ჰლანეჰლი 10:24, ოსფრიზი-ნიუპორტი 52:19, ედინბურგი-ალსტერი 14:8, ბენეტონი-კარდიფი 26:17, მანსტერი-ქონოთი 22:0, ლენსტერი-გლაზგო 22:0.**

### სატურნირო მდგომარეობა

1. ლენსტერი - 63 ქულა, 2. გლაზგო - 62, 3. ალსტერი - 62, 4. ოსფრიზი - 54, 5. ჰლანეჰლი - 54, 6. მანსტერი - 47, 7. ბენეტონი - 39, 8. კარდიფი - 33, 9, ქონოთი - 32, 10. ედინბურგი - 28, 11. ნიუპორტი - 23, 12. ზებრე - 8.

### XIX ტური

ზებრე-ედინბურგი, ნიუპორტი-ჰლანეჰლი, გლაზგო-მანსტერი, კარდიფი-ოსფრიზი, ლენსტერი-ალსტერი, ბენეტონი-ქონოთი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



დავით ზირაქაშვილი



## გამოსათხოვარი

## ქართველები ნუგზარით მუდამ ვიამაყებთ

დღეს ქართული რაგბის თემი უკანასკნელ გზაზე გააცილებს საქართველის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მორაგბეს, ბრძენ ტაქტიკოსს, სტრატეგს, ფეხით თამაშის უბადლო ოსტატს **ნუგზარ ძაგნიძეს.** ის იმ ნიჭიერი ადამიანების რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც საუკუნეში ერთხელ იბადებიან. წარუშლელია მისი კვალი ქართული რაგბის განვითარების საქმეში.

ნუგზარ ძაგნიძემ რაგბის ანბანი ქუთაისური სამჭედლოს ყველა ოსტატთან, **რამაზ სვანიძესთან** და **შალვა ქურციკიძესთან** აითვისა. განსაკუთრებულ წარმატებებს კი უკვე დაოსტატებულმა მობურთალმა, ქუთაისის „აიას“ შემადგენლობაში **დუგლას კავთელაშვილის** ხელმძღვანელობით მიაღწია.

შთამბეჭდავია, მისი ტიტულების ნუსხა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის სამგზის გამარჯვებული, თითო-თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მფლობელი. ორჯერ მოიპოვა ქუთაისური გუნდის რიგებში საკავშირო თასი.

არანაკლებ წარმატებული იყო მისი სანაკრებო კარიერა. საბჭოთა კავშირის ნაკრებში „ფირას პირველობაზე“ სამჯერ დაიკავა მეორე ადგილი. 1995 წლის ბოლომდე თამშობდა საქართველოს ნაკრებში, რომლის კაპიტანიც შვიდ მატჩში გახლდათ. მის ანგარიშზე ეროვნულ გუნდში 105 ქულაა (3 ლელო, 9 გარდასახვა, 22 საჯარიმო და 3 არეკნი).

ყველაზე უკეთ, ნუგზარ ძაგნიძეზე, როგორც მორაგბესა და პიროვნებაზე, ქართული რაგბის ვეტერანები მოგვითხრობენ, რომლებსაც მასთან ერთადაც უთამაშიათ და მის წინააღმდეგაც.

**თემურ ბენდიაშვილი**, თბილისის „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი, ვეტერანი მორაგბე:

*„ძნელია მოძებნო სიტყვები, რომლებიც ახლა სრულად გამოხატავს ჩვენს სევდას. ნუგზარი ძალიან მეგობრული, მიმტევებელი და დამთმობი ადამიანი იყო. ნამდვილი ქუთაისელი რაც არის ჩვენს წარმოდგენაში, რისთვისაც ქუთაისი უყვართ საქართველოში, ყველა თვისებით იყო შემკული. თუმცა მთავარი მაინც ის არის, რომ უდიდესი მორაგბე გახლდათ.*

*ძალიან მაგარი მორაგბე ბევრი გვყოლია, თუმცა ტიტულები ნუგზარ ძაგნიძეს ყველაზე მეტი აქვს. ყველა ასაკის ნაკრებში უთამაშია (საბჭოთა პერიოდის ჩათვლით) და ყველგან იყო მარგალიტივით გამორჩეული. ის ბრწყინვალე მორაგბე იყო თავისი დიდი ფიზიკური მონაცემებით, სისწრაფით და უნიკალური გადაწყვეტილებების მიღების უნარით. ისეთ რეიდებს ახორციელებდა, რომელსაც არავინ ელოდა. იყო თავგანწირვით მოთამაშე. ორივე ფეხით შესანიშნავად ურტყამდა და თანამედროვე მსოფლიოში მსგავსი მოთამაშე არ ჩანს.*

*ნუგზარ ძაგნიძე გახლდათ სამაგალითო ადამიანი, ბევრმა ბავშვმა მიბაძა მას და რაგბი შეიყვარა. რომ არა ნუგზარი, ქართული რაგბი დღეს ამ დონეზე არ იქნებოდა.*

*ყოველივე ამას სევდით ვლაპარაკობთ, მაგრამ გავა დრო და სიხარულით გავიხსენებთ მის ბრწყინვალეე თამაშებს. ქართველები მუდამ ვიამაყებთ, რომ ასეთი მაღალი დონის მორაგბე გვყავდა“.*

**ავთო ლიბრაძე**, ვეტერანი მორაგბე:

*„ნუგზარ ძაგნიძე იყო ყველა დროის საუკეთესო ათი ნომერი, არა მარტო საქართველოსა და საბჭოთა კავშირში. მას არ გაუმართლა. მაშინ მორაგბეებს ასე იოლად რომ შესძლებოდათ ევროპაში გადაბარგება და თამაში, ერთ-ერთი ბრწყინვალე ვარსკვლავი იქნებოდა“*

**გოჩა აბაშიძე**, ვეტერანი მორაგბე:

*„დადებითი პიროვნება იყო, უკეთილშობილესი, ალალი, ნესიერი. მოედანზე გუნდის სული და გული გახლდათ. ძალიან ადრე წავიდა რაგბიდან და, სამწუხაროდ, ცხოვრებაც ნაადრევად დაამთავრა“.*

ნუგზარ ძაგნიძის სხოვნა მუდამ დარჩება მისი სარაგბო ოჯახის წევრების, მეგობრების, ქართველი ქომაგების გულებში.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



ვაშინგტონი გოლს ზეიმობს

# ვაშინგტონი გაცოცხლდა

გასულ სათამაშო დღეს ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა "რეინჯერსსა" და "ვაშინგტონს" შორის გაიმართა. დედაქალაქელებმა ძალიან მოუმატეს თამაშს და ცდილობენ თითქმის დაკარგული სეზონის გადარჩენას.

"ვაშინგტონმა" ზედიზედ მესამე გასვლითი მატჩი მოიგო. ფორმაში შევიდა "კეპიტალზის" ლიდერი **ალექს ოვეჩკინი**, რომელმაც თამაშის სტარტზე ორი ქულა აიღო და თავისიანები 2:0 დააწინაურა, მაგრამ პირველივე პერიოდში "რეინჯერსმა" შეძლო ანგარიშის გათანაბრება. ამის შემდეგ, მეკარეები – **ბრეიდენ ჰოლტბი** და **ჰენრიკ ლუნდკვისტი** ბრწყინვალედ თამაშობდნენ და 45 წუთის განმავლობაში გოლი აღარ გაუშვიათ. ასე რომ, თამაში ბულიტების სერიაში გადავიდა, სადაც უფრო წარმატებული ჰოლტბი აღმოჩნდა, რომელმაც ნიუიორკელთა ოთხიდან სამი პენალტი მოგერია. დედაქალაქელები მიუახლოვდნენ პლეი ოფის ზონას – მერვე ადგილზე მყოფ "რეინჯერსს" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩებიან.

პენსილვანიური დერბის ოთხმატჩიან სერიაში მესამე გამარჯვებას მიაღწია "პიტსბურგმა". უგოლო პირველი პერიოდის შემდეგ, "ფილადელფიამ" **კლოდ ჟირუს** გოლით შეძლო დაწინაურება და სასურველი ანგარიში მესამე პერიოდის შუამდე შეინარჩუნა. აქ კი "ფლაიერზი" დალუპა უხეშობამ, რადგან "პიტსბურგმა" ორკაციანი უპირატესობა მიიღო, რომელიც **სიდნი კროსბიმ** გამოიყენა. დამატებით ხუთ წუთში კი ორი ქულა "პინგვინებს" **ტაილერ კენედის** ძლიერმა დარტყმამ მოუტანა. რაც მთავარია, ამ გოლმა 12 მატჩამდე აიყვანა "პიტსბურგის" მოგებათა სერია და ეს გუნდი უკვე ხუთი ქულით დაშორდა მეორე ადგილზე მყოფ "მონრეალს".

"ტამპა ბეი" ვერ გამოაცოცხლა მთავარი მწვრთნელის **გი ბუშეს** გაშვებამ და "ლაითნინგმა" 2:3 წააგო "ვინიპეგთან". "ჯეტსი" მთლიანად აკონტროლებდა შეხვედრას და ანგარიშის მიხედვით თამაშობდა: როცა სჭირდებოდა, მაშინ უმატებდა აქტიურობას. ასეთი პრაქტიკული ტაქტიკის დახმარებით, "რაკეტებმა" ორი ქულა აიღეს და გაიმყარეს ლიდერობა სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში. "ტამპას" რიგებში კარიერაში 892-ე ქულა მიითვალა **მარტინ სან ლუიმ** და ის გაუთანაბრდა ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მე-100 ადგილზე მყოფ **პეტერ ბონდრას**.

დასავლეთის მატჩებიდან აღსანიშნავია "ანაჰაიმისა" და "დეტროიტის" შეხვედრა. ეს გუნდები ბოლო სამი დღის განმავლობაში მეორედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ანაჰაიმში და მეორედ გამარჯვება "რედ უინგზმა" მოიპოვა. ამჯერად, დეტროიტელებმა ორი შაიბა იკმარეს მოგებისთვის – პირველ პერიოდში თავი გამოიჩინეს **დანიელ ქლირიმ** და **დრიუ მილერმა**. ამის შემდეგ "რედ უინგზის" რიგებში ბრწყინავდა მეკარე **ჯიმი ჰოვარდი**, რომელმაც ჯამში 33 დარტყმა მოიგერია და მხოლოდ ერთ შეტევას ვერ გაუმკლავდა – მეორე პერიოდში **რაიან გეტცლაფმა** მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლო. თუმცა ამ ორი წაგების მიუხედავად, "ანაჰაიმი" მაინც ახლოს არის რეგულარულის ლიდერ "ჩიკაგოსთან" – სხვაობა მათ შორის მხოლოდ სამი ქულაა.

ამ მატჩში იუბილარი იყო შვედი **ჰენრიკ ზეტერბერგი** – "დეტროიტის" ფორვარდმა კარიერაში მე-700 შეხვედრა ჩაატარა.

**პიტსბურგი–ფილადელფია 2:1 (ო)**

**0:0, 0:1, 1:0, 1:0**

**გოლები:** 0:1 ჟირუ-10 (მეზაროში-2, ვორაჩეკი-19), 1:1 კროსბი-14 (პ. მარტინი-14, ბენეტი-7), 2:1 ტაილერ კენედი-5 (ნისკანენი-5, დუპუი-9).

**რეინჯერსი–ვაშინგტონი 2:3 (ბ)**

**2:2, 0:0, 0:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 ბექსტრიომი-5 (ოვეჩკინი-15, ჯ. კარლსონი-11), 0:2 ოვეჩკინი-16 (ოლეკსი-5, ბექსტრიომი-24), 1:2 ეშემი-2 (ნიუბერი-1), 2:2 სტეპანი-9 (ბ. რიჩარდსი-12, გაბორიკი-10).

**ბულიტები გაიტანეს:** ოვეჩკინი (ვაშინგტონი), სტეპანი (რეინჯერსი), ბექსტრიომი (ვაშინგტონი).

**ანაჰაიმი–დეტროიტი 1:2**

**0:2, 1:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 ქლირი-7 (კინდლი-7, სმიტი-3), 0:2 დ. მილერი-4 (ი. უაიტი-2, ემერტონი-3), 1:2 გეტცლაფი-12 (ს. კოივუ-15, პერი-16).

**აილენდერსი–ფლორიდა 3:0**

**1:0, 0:0, 2:0**

**გოლები:** 1:0 ენდრიუ მაკდონალდი-2 (ნილსენი-14, ოკსოპო-10), 2:0 ტავარესი-19 (ბოიესი-19, მოულსონი-22), 3:0 ჩიზიკასი-5 (მ. მარტინი-3).

**კალგარი–სტ. ლუისი 3:2**

**1:0, 1:1, 1:1**

**გოლები:** 1:0 ჩერვენკა-4 (ვიდემანი-12, ბროდი-7), 2:0 ჩერვენკა-5 (ჰუდლერი-14, ბეკლუნდი-4), 2:1 ოში-7, 2:2 სობოტკა-8 (ენდი მაკდონალდი-10, ოში-13), 3:2 იგინლა-9 (ტანგეი-15).

**კოლორადო–ვანკუვერი 2:3**

**1:1, 0:2, 1:0**

**გოლები:** 0:1 გარისონი-5 (ჰ. სედინი-21), 1:1 მაკგინი-5 (პარენტო-17, რ. ო'რაილი-7), 1:2 რეიმონდი-9 (ბრიოდერი-6, ტანევი-5), 1:3 ბაროუზი-8 (ებეტი-3, ბალარდი-2), 2:3 პარენტო-14 (რ. ო'რაილი-8, დუშენი-20).

**ვინიპეგი–ტამპა ბეი 3:2**

**1:0, 2:1, 0:1**

**გოლები:** 1:0 ლიტლი-5 (ველერი-13), 2:0 ბაფლინი-6 (ველერი-14, ლიტლი-15), 2:1 სტემკოსი-22 (სან ლუი-33, სალო-12), 3:1 ენსტრიომი-3 (ლედი-18, ლიტლი-16), 3:2 კონაჩერი-9 (ბრიუერი-6).

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჰარდენმა სპურსს მოუგო

"მილუოკი", როგორც ჩანს, შეურიგდა იმას, რომ პლეი ოფის პირველ წრეში "მაიამისთან" მოუწევს შეხვედრა. "ირმებმა" საკუთარ მოედანზე ვერ შეძლეს "ატლანტას" დამარცხება, მიუხედავად იმისა, რომ **მონტა ელისმა** მეოთხე მეოთხედში შესანიშნავი თამაში აჩვენა, მაგრამ ვერ მიიყვანა საქმე სასურველ დასასრულამდე, "ატლანტამ" კი, თავის მხრივ, ბოლო წამებზე თითქმის უშეცდომო თამაში აჩვენა.

სტუმრების მაქსიმალური უპირატესობა 7 ქულას აღწევდა, მასპინძლები კი 5 ქულაზე შორს არ წასულან. სწორედ ეს ჰანდიკაპი ჰქონდა ელისსა და კომპანიას სირენამდე 2 წუთითა და 45 წამით ადრე. მაგრამ, ამის შემდეგ, "მილუოკიმ" ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ "ატლანტას" თამაში გადაერჩინა – უშვებდა უაზრო შეცდომებს, აცილებდა საჯარიმოებს, აგებდა ფარქვეშ ბრძოლას თავის ნახევარზე... ამით, "ირმებმა" თითქმის გარანტირებული მოგება გაუშვეს ხელიდან.

"მაიამიმ", როგორც მოსალოდნელი იყო, დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა შინ "შარლოტთან" და მოგებათა სერია 26 მატჩამდე აიყვანა. ოღონდ, ფლორიდელები მაშინ ათამაშდნენ, როცა მეტოქეს პირველ მეოთხედში ორნიშნა უპირატესობა მისცეს. მათ მშვიდად შეამცირეს ეს ჩამორჩენა და წინ გაიქცნენ. ეს მატჩი, რომელსაც "ჰიტი" **დუეინ უეიდის** გარეშე ატარებდა, ფლორიდელებისთვის ვარჯიშს ჰგავდა, რომელიმე უფრო მნიშვნელოვანი დაპირისპირების წინ. საბოლოოდ, ლიდერმა და ჩემპიონმა 32 ქულით გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ ბოლო 15 სეზონის განმავლობაში მხოლოდ ოთხმა გუნდმა შეძლო ასეთი სხვაობით გამარჯვება მაშინ, როცა 10 ქულაზე მეტით იყო ჩამორჩენილი.

"მინესოტას" თამაშიდან 50-პროცენტიანი სიზუსტე ჰქონდა "ჩიკაგოსთან" მატჩში და მაინც ვერ მოახერხა გამარჯვების მოპოვება. "ხარები" ფარქვეშ დომინირებდნენ იმის მიუხედავად, რომ აკლდათ მთავარი დამცველი – **ჟოაკიმ ნოა**. სწორედ ამ ფაქტორის წყალობით შეძლეს მოგება სტუმრებმა. როგორც კი "მინესოტამ" პირველ მეოთხედში შვიდქულიანი უპირატესობა მოიპოვა, "ჩიკაგომ" მაშინვე უპასუხა გამანადგურებელი სპურტით (32:10). მეოთხე მეოთხედის შუამდე "ბულსი" ორნიშნა უპირატესობას ინარჩუნებდა, თუმცა **დერიკ უილიამსმა** გაურთულა ცხოვრება. ამ კალათბურთელმა კარიერის რეკორდი გაიმეორა ქულების რაოდენობით, თუმცა მის პარტნიორებს დაავიწყდათ, რომ ქულების დაგროვების გარდა, ფარქვეშ კარგი მუშაობაც საჭიროა. საბოლოოდ, "ჩიკაგომ" ზედიზედ მეშვიდედ დაამარცხა "მინესოტა".

წელს, "ჰიუსტონისა" და "სან ანტონიოს" ტექსასურ დერბიში "რაკეტებს" სამიდან სამი მატჩი ჰქონდათ წაგებული, მაგრამ მეოთხე შეხვედრაში არ მისცეს "სპურსს" ამ სერიის მშრალად მოგების საშუალება. "ჰიუსტონელთა" რიგებში ყველაზე შეურიგებელი **ჯეიმს ჰარდენი** აღმოჩნდა. სწორედ მან ჩააგდო სირენამდე 4.5 წამით ადრე საშუალო ტყორცნა, რომელმაც გამარჯვება მოუტანა "როკეტსს". "სან ანტონიოში" მატჩის დიდი ნაწილი ბრწყინავდა **ტონი პარკერი**, რომელმაც მეოთხე მეოთხედში, ფაქტობრივად მარტომ დაუბრუნა თავის გუნდს თამაში და წინ გაიყვანა „სპურსი". ფრანგს ძალიან უყვარს "ჰიუსტონის" წინააღმდეგ თამაში და წელს, სწორედ ამ გუნდთან გაიფორმა კარიერაში პირველი სამმაგი დუბლი, თუმცა ბოლო სროლას მატჩში არა ტონი, არამედ დანკანი ასრულებდა, მაგრამ ააცილა. უნდა აღინიშნოს "რაკეტების" პროგრესი დაცვით თამაშში. ბოლო მატჩებში აშკარად გამოჩნდა, რომ აგრესიული შეტევის გარდა, გაჩნდა სათამაშო სქემები დაცვაში, რაც "სან ანტონიოს" დონის გუნდებთან მატჩში ძალიან საჭირო და სასარგებლოა. ბოლო ექვს მატჩში "ჰიუსტონმა" მხოლოდ ორჯერ მისცა მეტოქეებს 100 ან მეტი ქულის დაგროვების საშუალება.

სხვათა შორის, დასავლეთში პირველი ადგილისთვის ბრძოლაში "სან ანტონიოს" თითქმის დაეწია "ოკლაჰომა", რომელმაც თავის მოედანზე დაამარცხა "პორტლენდი". ცნობისთვის, ამ გუნდს მანამდე ზედიზედ ორი მატჩი ჰქონდა მოგებული სტუმრად. "ბლეიზერსის" მთავარი სენი ის არის, რომ არ შეუძლია მთელი მატჩის თანაბრად ჩატარება. ამჯერადაც, გუნდმა პირველ ტაიმში 50-პროცენტიანი სიზუსტით ისროლა და დიდი შესვენებისთვის წინ გავიდა, მაგრამ მეორე ნახევარში ტყორცნების მესამედი მიზანს ასცდა. "ოკლაჰომამ" კი არ დაალალატა თავისი გულშემატკივარი, რომელმაც ზედიზედ 102-ე (!) ანშლაგი დააფიქსირა. მასპინძლებმა საფირმო სპურტი ბოლო მეოთხედში განახორციელეს, როცა "პორტლენდი" არასასიამოვნო დისტანციაზე მიუახლოვდა მეტოქეს. **ოლდრიჯმა** ხუთ ქულამდე შეამცირა სხვაობა, რასაც "თანდერის" მხრიდან 15 უპასუხო ქულა მოჰყვა.

პლეი ოფის საგზურისთვის ბრძოლაში "პორტლენდის" სიტუაცია ძალიან გართულდა, მით უმეტეს, რომ "დალასმა" ძალიან პრინციპულ შეხვედრაში მოუგო "იუტას". ეს უკანასკნელი ძალიან ცუდად ატარებს რეგულარული სეზონის დასკვნით ნაწილს. "ჯაზმენებმა" გასვლაზე ზედიზედ მეცხრე მატჩი წააგეს, სულ კი ბოლო 15 შეხვედრაში მხოლოდ სამჯერ გაიმარჯვეს. "იუტას", როგორც წესი, არაფერი გამოსდის დალასში. "მავერიქსმა" ბოლო 22 საშინაო მატჩში მეცხრამეტედ დაამარცხა "ჯაზი". მატჩის გმირი გახდა 37 წლის მცველი **მაიკ ჯეიმსი**, რომელიც სამი თვის წინ უმუშევარი გახლდათ. სწორედ ის იყო მთავარი ფიგურა მესამე მეოთხედის ბოლოს და მეოთხე მეოთხედის დასაწყისში მოწყობილი სპურტის დროს, რომელიც 20:2 დასრულდა. სხვათა შორის, მარტის დასაწყისიდან, როცა ჯეიმსი "მავერიქსის" სასტარტო ხუთეულის წევრი გახდა, "კოვბოებმა" 11-დან 8 მატჩი მოიგეს. "იუტას" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ღირსეულად უპასუხეს "დალასის" გაქცევას – ბოლო სამი წუთი "ჯაზმენებმა" 21:7 მოიგეს. რჩებოდა შვიდი წამი და სამქულიანი დეფიციტი, მაგრამ **კოლისონმა** ზუსტად ისროლა საჯარიმოები და დაუტოვა "მავერიქსს" პლეი ოფში გასვლის შანსი. ეს შანსი არც "იუტას" აქვს დაკარგული, რადგან მომდევნო 10 მატჩიდან რვას ის საკუთარ მოედანზე ჩაატარებს.

**მილუოკი–ატლანტა 99:104**

**24:24, 25:26, 25:24, 25:30**

**მ:** ელისი (20), ილიასოვა (19+10 მოხსნა), სანდერსი (15+12 მოხსნა+3 დაფარება), ჯენინგსი (12+13 პასი+3 ჩაჭრა), უდო (10).

**ა:** ჰორფორდი (24+7 მოხსნა+6 პასი), სმიტი (23+9 მოხსნა), ჰარისი (16), ტიგი (14+8 პასი).

**მაიამი–შარლოტი 109:77**

**23:19, 24:20, 26:18, 36:20**

**მ:** ჯეიმსი (32+8 მოხსნა+10 პასი+3 ჩაჭრა+3 დაფარება), ბოში (15+6 მოხსნა), კოული (15+6 პასი), ალენი (14+7 მოხსნა).

**შ:** უოკერი (20+6 მოხსნა), ჰენდერსონი (18+5 მოხსნა), კიდ-გილკრისტი (13+10 მოხსნა), ბიიომბო (2+11 მოხსნა).

**ჰიუსტონი–სან ანტონიო 96:95**

**22:20, 21:26, 31:21, 22:28**

**ჰ:** ჰარდენი (29+9 მოხსნა+6 პასი), პარსონსი (20+8 მოხსნა), ბევერლი (11), მოტეიუნასი (10), აშიქი (5+14 მოხსნა+3 დაფარება)

**ს-ა:** პარკერი (23+7 პასი), დანკანი (17+7 მოხსნა), ლეონარდი (12+6 მოხსნა), სპლიტერი (10+6 მოხსნა), დიაო (10).

**ოკლაჰომა–პორტლენდი 103:83**

**24:19, 21:28, 30:21, 28:15**

**ო:** დურანტი (24+10 მოხსნა), უესტბრუკი (21+9 პასი), იბაკა (16+5 დაფარება), კევ. მარტინი (11), კოლისონი (10+6 მოხსნა).

**პ:** ლილარდი (19+6 პასი), ბატუმი (13+8 მოხსნა+8 პასი), ჰიქსონი (12+7 მოხსნა), ოლდრიჯი (10+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), მეინორი (10).

**მინესოტა–ჩიკაგო 97:104**

**16:23, 27:33, 25:22, 29:26**

**მ:** უილიამსი (28+5 მოხსნა), პეკოვიჩი (15+8 მოხსნა), რუბიო (15+5 მოხსნა+8 პასი), კანინგემი (10).

**ჩ:** რობინსონი (22+10 პასი), ბატლერი (20+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბუზერი (19+12 მოხსნა), დენგი (17+7 მოხსნა), გიბსონი (12+11 მოხსნა), მოჰამედი (4+10 მოხსნა).

**დალასი–იუტა 113:108**

**24:27, 29:25, 30:19, 30:37**

**დ:** ჯეიმსი (19+5 პასი), ნოვიცკი (17+6 მოხსნა), მერიონი (15+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), კარტერი (15), ბრენდი (13+5 პასი), ბრენდი (10+5 მოხსნა), მაიო (10).

**ი:** კანტერი (17), მილსეპი (15+9 მოხსნა), ჯეფერსონი (15), ჰეივორდი (13+5 პასი), ფოიე (12), ბერქსი (11), მო უილიამსი (10+8 პასი).

**ფინიქსი–ბრუკლინი 100:102**

**25:25, 18:30, 33:20, 24:27**

**ფ:** დრაგიჩი (31+9 მოხსნა+12 პასი), ჯონსონი (21+5 მოხსნა), ტაკერი (14+8 მოხსნა), მარკიფ მორისი (10+15 მოხსნა).

**ბ:** ლოპესი (21+5 მოხსნა), უილიამსი (20+11 პასი), ჰემფრიზი (17+8 მოხსნა), უოტსონი (14+5 მოხსნა), ევანსი (4+10 მოხსნა).

**საკრამენტო–ფილადელ. 103:117**

**31:22, 27:36, 24:33, 21:26**

**ს:** ტომასი (25), ტორნტონი (22), ევანსი (19+8 პასი), პატერსონი (12+7 მოხსნა).

**ფ:** რაიტი (22+6 პასი), ჰოლიდეი (21+10 მოხსნა+7 პასი+5 ჩაჭრა), ალენი (20+7 მოხსნა), უილკინსი (17+6 მოხსნა), ჰოიესი (14+10 მოხსნა), ტ. იანგი (14+6 მოხსნა).



ჯეიმს ჰარდენი

## ამბები

კალათბურთი

### ორლანდო თურქოგლუს დაითხოვს

„ორლანდო მეჯიქის" ხელმძღვანელობა ამ სეზონის დასრულების შემდეგ თურქ ფორვარდთან **ჰედო თურქოგლუსთან** გამოთხოვებას აპირებს. 34 წლის კალათბურთელის კონტრაქტი 2013-14 წლის სეზონის ბოლომდეა ძალაში. ხელშეკრულების თანახმად, თურქმა 12 მილიონი დოლარი უნდა გამოიმუშაოს, თუმცა ამ თანხიდან მხოლოდ ექვსი მილიონია გარანტირებული. „მეჯიქის" შეფობამ უკვე მიანიშნა თავისი განცხადებებით, რომ თურქოგლუ არ შედის ფლორიდული კლუბის მრავალწლიანი გეგმებში. მიმდინარე სეზონში ჰედომ 11 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 2.9 ქულა, 2.4 მოხსნა და 2.1 შედეგიანი პასი დააგროვა.

### გეი ვეღარ ითამაშებს?

„ტორონტო რეპტორზის" ლიდერ **რუდი გეის**, შესაძლოა, სეზონის დარჩენილი ნაწილის გამოტოვება მოუწიოს ზურგის ტრავმის გამო, - იტყობინება ESPN.

კანადელთა მთავარი მწვრთნელის **კეისის** თქმით, უახლოეს დღეებში კლუბის ხელმძღვანელობა განიხილავს რეგულარულის დარჩენილ ნაწილში გეისთვის დასვენების მიცემის საშუალებას. ზურგის დაზიანების გამო, 26 წლის რუდის მარტში სამი შეხვედრის გამოტოვება მოუწია.

გეიმ მონაწილეობა არ მიიღო შაბათს, „ნიუ იორკის" წინააღმდეგ მატჩში და ახლა, ექიმების დასკვნას დაელოდება სეზონის დარჩენილი შეხვედრების გამოტოვებასთან დაკავშირებით.

### აფლალომ სეზონი დაასრულა

„ორლანდოს" ბანაკიდან გავრცელებული კიდევ ერთი ინფორმაცია კლუბის წამყვან მცველ **არონ აფლალოს** ეხება. 27 წლის კალათბურთელმა მარჯვენა მუხლის ტრავმა მიიღო და სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებს თამაშს. აფლალომ ფეხი პარასკევს, „ოკლაჰომასთან" მატჩში დაიზიანა.

წლევანდელ რეგულარულში აფლალომ 64 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 16.5 ქულით, 3.7 მოხსნითა და 3.2 შედეგიანი გადაცემით დაეხმარა თავის გუნდს.

ჰოკეი

### ნიუ ჯერსიმ კოვალჩუკი დაკარგა

ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატის დასკვნით ნაწილში სერიოზული დანაკლისი განიცადა „ნიუ ჯერსი ნეტსმა". „ფლორიდასთან" ბოლო მატჩში მარჯვენა მხარის ტრავმა მიიღო რუსმა **ილია კოვალჩუკმა** და როგორც „ეშმაკების" გენერალური მენეჯერი **ლუ ლამორელო** ამბობს, ფორვარდს ორიდან ოთხი კვირის გამოტოვება მოუწევს.

კოვალჩუკის ტრავმა იმდენად სერიოზული არ არის, რომ მას სამკურნალოდ ოპერაცია დასჭირდეს, ამიტომაც, რუსი ვარსკვლავი მოახერხებს ამ სეზონში კლუბისთვის დახმარების გაწევას. თავდამსხმელმა წლევანდელ სეზონში 32 მატჩი ჩაატარა და 27 ქულა (10 შაიბა+17 შედეგიანი პასი) დააგროვა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ჩოგბურთი. მაიამი

# ჯოკო ჰაასს გადაეყარა


ნოვაკ ჯოკოვიჩი

მაიამიში სეზონის რიგით მეორე მასტერსი მესამე წრის მატჩების გაგრძელდა. თავდაპირველად ტურნირის მთავარ ფავორიტზე ვთქვათ. მაიამის მასტერსის ორგზის ჩემპიონმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ძალიან იოლად გაიარა მესამე წრის ბარიერი. მან 69 წუთში მოუგო ინდოელ **სომდევ დევარმანს** – 6:2, 6:4. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ჯოკოვიჩის თამაში პირველ მოწოდებაზე – 31 გათამაშებიდან 28 ქულა აილო. დევარმანს მატჩში ერთადერთი ბრეიკი ჰქონდა, რომელიც ვერ გამოიყენა, ნოვაკმა კი სამჯერ აილო მეტოქის მოწოდება.

ეს იყო ჯოკოვიჩის ზედიზედ მე-15 გამარჯვება მაიამის საჩოგბურთო არენის მთავარ კორტზე. ახლა ის ამ სერიის გაგრძელებას გერმანელი ვეტერანის **ტომი ჰაასის** წინააღმდეგ ეცდება. 34 წლის ტომიმ 77 წუთში გაანადგურა ტურნირის მე-19 ნომერი, უკრაინელი **ალექსანდრ დოლგოპოლოვი**. ჰაასმა, რომელიც აპრილში 35 წლის გახდება, 13 ეისი ჩააწოდა და რვიდან შვიდი ბრეიკპოინტი მოიგერია.

ჯოკოვიჩი და ჰაასი აქამდე ექვსჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და სერბს ოთხი მატჩი აქვს მოგებული.

ასევე ორ სეტში გაიმარჯვა მსოფლიოს მეხუთე ნომერმა **დავიდ ფერერმა**. ის ამ სეზონში უკვე მესამე ხვდებოდა იტალიელ **ფაბიო ფონინის** და მესამედ მოუგო, სულ კი ამ ჩოგბურთელთან ურთიერთშეხვედრებში 6:0 მიჰყავს ანგარიში. თამაში 79 წუთი გაგრძელდა, რომლის დროსაც ესპანელმა ოთხი ბრეიკი გააკეთა და თავად მხოლოდ ერთხელ დათმო საკუთარი მოწოდება – 6:1, 7:5. ფერერმა ბოლო პერიოდში ოდნავ უკლო თამაშს და ორი კვირის წინ, ინდიან უელსის მასტერსზე პირველივე მატჩი დათმო, არადა, მანამდე ორი ტურნირის მოგება (ოკლენდი, ბუენოს აირესი) და ავსტრალიის ღიაზე ნახევარფინალში გასვლა მოასწრო.

მერვედფინალში ფერერი **კეი ნიშიკორის** შეხვდება, რომელმაც ასევე ოთხი ბრეიკით აუღო ბელგიელ **ქსავიე მალისეს** – 6:2, 7:5. ფერერსა და ნიშიკორის შორის ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 2:2-ია, თუმცა ბოლო შეხვედრა წლევანდელი ავსტრალიის ღიას მერვედფინალში ესპანელმა სამ სეტში მოიგო.

როგორც ჩანს, ოპტიმალურ ფორმას იბრუნებს სერბი **იანკო ტიპსარევიჩი**, რომელმაც ავსტრალიის ღიას შემდეგ პირველად მოიგო ზედიზედ ორი მატჩი. სამხრეთაფრიკელ **კევინ ანდერსონთან** პირველი სეტის წაგების შემდეგ, ტიპსარევიჩმა ტაი-ბრეიკზე აილო მეორე სეტი, მესამეში კი 6:0 გაანადგურა ახალგაზრდა მოწინააღმდეგე.

ტიპსარევიჩმა სეზონი ჩენაის ტურნირის მოგებით დაიწყო, შემდეგ იყო ავსტრალიის ღიაზე მერვედფინალში გავიდა, რასაც მოჰყვა ზედიზედ ოთხ ტურნირში პირველივე წრეში გამოვარდნა.

ტიპსარევიჩის მეტოქე ფრანგი **ჟილ სიმონი** იქნება, რომელმაც თითო სეტში თითო ბრეიკი გააკეთა **გრეგა ჟემლიასთან** მატჩში და 6:4, 6:4 მოიგო. ფრანგი მეორედ ეცდება მაიამის მასტერსის მეოთხედფინალში გასვლას. პირველად მან ეს 2011 წელს გააკეთა და მაშინ მერვედფინალში სწორედ ტიპსარევიჩი დაამარცხა სამ სეტში.

### III წრე

**იურგენ მელცერი (ავსტრია)**-ტობიას კამკე (გერ) 6:7(3), 6:3, 6:4; **ალბერტ რამოსი (ესპ)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:4, 2:6, 7:5; **კეი ნიშიკორი (იაპ, 13)**-ქსავიე მალისე (ბელ) 6:2, 7:5; **ჟილ სიმონი (საფ, 11)**-გრეგა ჟემლია (სლოვენ) 6:4, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-სომდევ დევარმანი (ინდ) 6:2, 6:4; **დავიდ ფერერი (ესპ, 3)**-ფაბიო ფონინი (იტა, 32) 6:1, 7:5; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 7)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 26) 4:6, 7:6(5), 6:0; **ტომი ჰაასი (გერ, 15)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 19) 6:3, 6:2.

# რუსების შავი დღე

ქალებმა დაასრულეს ურთიერთობის გარკვევა მესამე წრეში და სრულად დააკომპლექტეს მერვედფინალური ეტაპის ბადე. მთავარი სიუპრიზი რუმინელმა **სორანა კირსტეამ** შემოგვთავაზა, რომელმაც ტურნირის მეექვსე ნომერი, გერმანელი **ანჟელიკ კერბერი** გამოთიშა ბრძოლას.

შეხვედრა კერბერმა უკეთ დაიწყო და 3:1 დაწინაურდა, რასაც კირსტეას მხრიდან ზედიზედ სამი გეიმის აღება მოჰყვა – 4:3. გერმანელმა ანგარიში გაათანაბრა და აქედან მოყოლებული, უცნაური რამ მოხდა. კერბერის თამაში საბოლოოდ მოიშალა, რუმინელი კი დაფრინავდა კორტზე – 4:4-ის შემდეგ, მან ზედიზედ რვა გეიმი აილო და ამ რვა გეიმში მხოლოდ შვიდი (!) ქულა დათმო – 6:4, 6:0.

კირსტეას შემდეგი მეტოქე **ელენა იანკოვიჩი** იქნება, რომელმაც ურთულეს ბრძოლაში მოუგო რუს **ნადია პეტროვას** – 7:6(7), 6:4. მარტო პირველი სეტი საათი და 20 წუთი გაგრძელდა და სერბმა მნიშვნელოვან მომენტებში უფრო ზუსტი თამაშის წყალობით გაიმარჯვა.

საერთოდ, გუშინ რუს ჩოგბურთელებს ცუდი დღე ჰქონდათ – ხუთიდან ოთხი მათგანი გამოეთიშა ბრძოლას. მოულოდნელად წააგო ინდიან უელსის ტურნირის ნახევარფინალისტმა **მარია კირილენკომ**. მას ორ სეტში მოუგო **კლარა ზაკოპალოვამ** – 6:2, 7:6(4). სერბი კომფორტულად ლიდერობდა მეორე სეტში – 4:2, მაგრამ რუსმა გაიბრძოლა, ზედიზედ სამი გეიმი მოიგო და ორმაგი სეტბოლიც მიილო, მაგრამ ახლა, ჩეხის გმირობის ჯერი დადგა - მან ჯერ ეს გეიმი გადაარჩინა, შემდეგ კი ტაი-ბრეიკზე მოამთავრა საქმე.

ზაკოპალოვას შემდეგი მეტოქე იქნება კიდევ ერთი რუსი **მარია შარაპოვა**. ტურნირის მესამე ნომერმა რუსულ დერბიში 6:4, 6:2 მოუგო **ელენა ვესნინა**. შარაპოვას მხოლოდ პირველი სეტის დასაწყისში გაუჭირდა, როცა 1:3 ჩამორჩა, მაგრამ შემდეგ 14 გეიმიდან 11 მოიგო და მერვედფინალში გავიდა.

კიდევ ერთი რუსი ჩოგბურთელი, რომელმაც დატოვა ტურნირი, "დიდი სლემის" ტურნირების ორგზის ჩემპიონი **სვეტლანა კუზნეცოვა** იყო. **ანა ივანოვიჩთან** მატჩის შემდეგ საინტერესო სტატისტიკა დაფიქსირდა – მეტოქეებს 24-24 "ვინერსი" და ორმაგი შეცდომა ჰქონდათ, მაგრამ მატჩი 6:3, 6:3 ივანოვიჩმა მოიგო. სერბს ყოველთვის ეხერხებოდა კუზნეცოვას წინააღმდეგ თამაში და ახლა, 8:3 მიჰყავს მასთან ურთიერთდაპირისპირებაში ანგარიში.

გუშინ, ყველაზე იოლი გამარჯვება მოიპოვა **სარა ერანიმ**. იტალიელმა 48 წუთში გაივარჯიშა რუმინელი **სიმონა ჰალეპის** წინააღმდეგ, მხოლოდ ერთი გეიმი დათმო (6:1, 6:0) და მერვედფინალში ივანოვიჩზე გავიდა.

ერანისთვის ეს იყო ამ სეზონში 23-ე მოგება და ის ლიდერია ამ მაჩვენებლით WTA-ის ტურში.

იტალიას მერვედფინალში მეორე წარმომადგენელიც ეყოლება. ეს არის **რობერტა ვინჩი**, რომელმაც 0:2-დან გადაარჩინა მესამე სეტი ესპანელ **კარლა სუარეს ნავაროსთან** და 5:7, 6:4, 6:4 გაიმარჯვა.

ვინჩი მერვედფინალში ფრანგ **ალიზ კორნეს** შეხვდება. მან ამერიკელ **ლორენ დევისთან** მატჩში წააგო პირველი სეტი, მეორეში კი 3:3-ზე პირველი ბრეიკი გააკეთა შეხვედრაში და მას შემდეგ შეუჩერებელი გახდა – კორნემ ზედიზედ შვიდი გეიმი აილო და მესამე სეტში 4:0 დაწინაურდა, რის შემდეგაც მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.

### III წრე

**სარა ერანი (იტა, 8)**-სიმონა ჰალეპი (რუმ) 6:1, 6:0; **ანა ივანოვიჩი (სერ, 12)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) 6:3, 6:3; **ალიზ კორნე (საფ, 32)**-ლორენ დევისი (აშშ) 2:6, 6:3, 6:2; **მარია შარაპოვა (რუს, 3)**-ელენა ვესნინა (რუს, 29) 6:4, 6:2; **სორანა კირსტეა (რუმ, 28)**-ანჟელიკ კერბერი (გერ, 6) 6:4, 6:0; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 22)**-ნადია პეტროვა (რუს, 11) 7:6(7), 6:4; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 21)**-მარია კირილენკო (რუს, 14) 6:2, 7:6(4); **რობერტა ვინჩი (იტა, 15)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 20) 5:7, 6:4, 6:4.

### 1/8 ფინალი

ლი (5)-მუგურუსა ბლანკო; ფლიპკენსი (30)-ტომლიანოვიჩი; ს. უილიამსი (1)-ციბულკოვა (13); შარაპოვა (3)-ზაკოპალოვა (21); ა. რადვანსკა (4)-სტივენსი (16); ერანი (8)-ივანოვიჩი (12); ვინჩი (15)-კორნე (32); იანკოვიჩი (22)-კირსტეა (28).


სორანა კირსტეა

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2013** | |
| **UNDER17** | |
| ავსტრია-ირლანდია | 0:1 |
| პორტუგალია-სლოვენია | 3:1 |
| ინგლისი-რუსეთი | 1:2 |
| **ევრო 2015** | |
| **UNDER21** | |
| შოტლანდია-ლუქსემბურგი | 3:0 |
| ბელგია-კვიპროსი | 2:0 |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| კანადა-ბელარუსი | 0:2 |
| ბრაზილია-რუსეთი | 1:1 |
| **UNDER21** | |
| სერბეთი-ჩერნოგორია | 0:0 |
| სლოვაკეთი-სლოვენია | 1:2 |
| იტალია-უკრაინა | 1:0 |
| ჰოლანდი-ნორვეგია | 4:1 |
| ირლანდია-პორტუგალია | 1:2 |
| ინგლისი-ავსტრია | 4:0 |
| **კლუბები** | |
| სარპსბორგი-ფოლო | 1:1 |
| ნორჩოპინგი-იონჩოპინგი | 2:0 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/B** | |
| აველინო-ნოჩერინა | 1:0 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ენისეი-სალუტი | 1:1 |
| მეტალურგი-ვოლგარი | 1:0 |
| ურალი-როტორი | 1:1 |
| უფა-ბალტიკა | 0:2 |
| პეტროტრესტი-ნალჩიკი | 0:2 |
| ნეფტიხიმიკი-სიბირი | 0:1 |
| შინიკი-ტომი | 2:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **საბერძნეთი** | |
| არისი-ოლიმპიაკოსი | 68:84 |
| **იტალია** | |
| მონტეპასკი-კანტუ | 73:66 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-გალათასარაი | 72:76 |
| **საფრანგეთი** | |
| შოლე-ნანსი | 68:67 |
| **ჰოკეი** | |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-ჰამბურგი | 4:8 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-ნიტრა | 2:1 (ბ) |
| **ფინეთი** | |
| ლუკო-იოკერიტი | 2:1 |
| ჰიფკ-ტაპარა | 3:2 |
| ჰპკ-იუვიასკიულა | 2:3 (ო) |
| კალპა-ესეტი | 5:0 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-პლზენი | 0:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მაიამი** | |
| გასკე-იუჟნი | 6:3, 6:4 |
| გოფენი-ალმაგრო | 3:6, 4:6 |
| სეპი-ბელუჩი | 7:5, 4:6, 6:2 |
| დიმიტროვი-მარეი | 6:7, 3:6 |
| ცონგა-ნიემინენი | 6:3, 6:3 |
| **WTA. მაიამი** | |
| მუგურუსა ბლანკო-ნა ლი | 6:7, 2:6 |
| ტომლიანოვიჩი-ფლიპკენსი | 7:6, 4:6, 3:6 |
| ს. უილიამსი-ციბულკოვა | 2:6, 6:4, 6:2 |
| ა. რადვანსკა-სტივენსი | 4:6, 6:2, 6:0 |
| ვინჩი-კორნე | 2:6, 6:4, 6:4 |

## TV პროგრამა

### 26 მარტი. სამშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი - შალკე
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ლივერპული.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ვიტესი-ეინდჰოვენი.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. ჰოლანდია-ესტონეთი.
21:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. XIV ტურის მიმოხილვა.
21:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
23:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
23:30 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. ჰოლანდია-რუმინეთი (LIVE).
01:30 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

#### GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. სამხრეთ ამერიკა. არგენტინა-ვენესუელა.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-იუტა.
15:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. სანტოსი-მირასოლი.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ფრაიბურგი.
22:00 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი.
01:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

#### GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
14:00 სპორტ-NEWS.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ. მიმოხილვა.
18:30 სპორტ-NEWS.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ (LIVE).

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 0 | 17 | (უნალექოდ) |
| ქუთაისი | 0 | 21 | (უნალექოდ) |
| ბათუმი | 4 | 22 | (უნალექოდ) |
| ფოთი | 2 | 22 | (უნალექოდ) |
| ზუგდიდი | -1 | 20 | (უნალექოდ) |
| გორი | -3 | 17 | (უნალექოდ) |
| თელავი | 2 | 16 | (უნალექოდ) |
| სიღნაღი | -1 | 15 | (უნალექოდ) |
| გუდაური | -13 | 5 | (უნალექოდ) |
| ბაკურიანი | -10 | 9 | (უნალექოდ) |
| ბორჯომი | -5 | 17 | (უნალექოდ) |
| მესტია | -10 | 13 | (უნალექოდ) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1557 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6581 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5218 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3907 |

## მძლეოსნობა

# ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი

კენიელი მორბენალი **ჯაფეტ კორირი** კროსში მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული გახდა. მან ოქროს მედალი პოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩში დაიმსახურა.

გამარჯვებულმა 12-კილომეტრიანი დისტანცია 32 წუთსა და 45 წამში დაფარა. მეორე ადგილზე გავიდა ეთიოპიელი **იმანე მერგი**, რომელიც ჩემპიონს 6 წამით ჩამორჩა. ბრინჯაოს მედალი ერგო ერითრეას წარმომადგენელ **ტეკლამარიამ მედჰინს** (ჩამორჩენა 9 წამი).

კორირი 19 წლის ასაკში მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა. მანამდე რეკორდი სახელგანთქმულ ეთიოპიელ **კენენისა ბეკელეს** ეკუთვნოდა.

მოგებისთვის კორირმა 30 ათასი დოლარი მიიღო.

ქალებს შორის, რომლებიც 8 კილომეტრზე ებრძოდნენ ერთმანეთს, ასევე კენიელმა **ემილი ჩებეტმა** გაიმარჯვა (25 წუთი და 24 წამი). მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ ეთიოპიელები - **ჰივოტ აიალე** (+3 წამი) და **ბელაი ოლდჯირი** (+9 წამი).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

# ფეტელის დისკვალიფიკაცია თუ უებერის ნაადრევად წასვლა?

## მალაიზიაში მომხდარმა სკანდალმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საავტომობილო სამყაროში

უდიდესი აჟიოტაჟი გამოიწვია მალაიზიის გრანპრის სკანდალურმა დასასრულმა, როცა **სებასტიან ფეტელმა** არად ჩააგდო „რედ ბულის" შეფობის ბრძანება და გაუსწრო თანაგუნდელ **მარკ უებერს**, რითაც სეზონში პირველი გამარჯვება ჩაიწერა აქტივში. ამასთან დაკავშირებით, ავსტრიული საჯინიბოს ხელმძღვანელობამ ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა...

*„მალაიზიის რბოლამ აზრთა სხვადასხვაობა და უამრავი კომენტარი გამოიწვია. როგორც კვირას განვაცხადეთ, ჩვენ ამ საკითხს გუნდის შიგნით განვიხილავთ.*

*უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სიტუაცია ჩვენთვის ახალი არ არის. „რედ ბულში" გამოდის ორი პილოტი, რომელიც მომართულია რბოლებში გამარჯვებასა და ტიტულზე. ასეა 2009 წლიდან მოყოლებული, როცა სებასტიან ფეტელმა და მარკ უებერმა ერთად დაიწყეს გამოსვლა.*

*ამ დროის განმავლობაში, მარკმა და სებასტიანმა მოიგეს 35 რბოლა, 80-ჯერ ავიდნენ პოდიუმზე, მოიპოვეს 13 დუბლი და ექვსი ტიტული დაიმსახურეს პირად და გუნდურ ჩათვლაში. ამ წარმატებული პერიოდის განმავლობაში, არაერთხელ წარმოიშვა მძაფრი კონკურენცია პილოტებს შორის. და ყოველ ასეთ ინციდენტს დახურულ კარს მიღმა ვიხილავდით. ასე იქნება ამჯერადაც"*, - წერია გუნდის განცხადებაში.

რბოლის დროს მომხდარი მოვლენების კომენტირებისას, მარკ უებერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ბოლო წრეებზე ბევრი რამის შესახებ დაფიქრდა. დადის ჭორები იმის თაობაზე, რომ ავსტრალიელმა დაკარგა გუნდისადმი ნდობა და შესაძლოა, საპასუხო სვლა გააკეთოს - დატოვოს „რედ ბული" მომდევნო რბოლის წინ, რითაც გუნდს უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენებს.



**უებერი და ფეტელი**

ევროპული პრესა წერს, რომ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული გუნდის ხელმძღვანელთა რეაქციასა და **კრისტიან ჰორნერის** დიპლომატიურ ნიჭზე. სხვათა შორის, იმასაც იტყობინებიან, რომ სეპანგის რბოლის შემდეგ, უებერს პოდიუმზე ასვლა არ უნდოდა, მაგრამ სწორედ „რედ ბულის" ხელმძღვანელობამ დაამშვიდა ავსტრალიელი, რომელიც, საბოლოოდ, გავიდა მაყურებლების წინაშე.

რა სასჯელი შეიძლება გამოუტანოს ფეტელს გუნდმა? ფორმულა 1-ის ყოფილ პილოტს **ჯონ უოტსონს** მიაჩნია, რომ „რედ ბულმა" მკაცრად უნდა დასაჯოს სებასტიანი ბრძანების უგულვებელყოფისთვის. როგორც ბრიტანელმა BBC-ის ეთერში განაცხადა, საუკეთესო გადაწყვეტილება იქნება გერმანელის მინიმუმ ერთი რბოლით დისკვალიფიკაცია.

კონკურენტის გაკრიტიკების შესაძლებლობა არ გაუშვა ხელიდან „ფერარის" პილოტმა **ფერნანდო ალონსომ**, რომელიც პირველივე წრეზე გამოეთიშა რბოლას და მალაიზიის გრანპრის ტელევიზორში უყურა. ესპანელმა გაკვირვება ვერ დამალა „რედ ბულში" მომხდარი სიტუაციის გამო.

*„მე ვნახე რბოლის ბოლო ნაწილი და მომიყვეს, რაც მოხდა პოდიუმზე. ეს გასაოცარია, რადგან ისინი ყოველთვის ცდილობდნენ ყველაზე პატიოსანი გუნდის იმიჯით წარმოჩენილიყვნენ ყველას წინაშე. მაგრამ დღეს ჩვენ სიმართლე გავიგეთ.*

*„ფერარიში" ასეთი რამ არასოდეს მოხდება, რადგან ჩვენ მართლაც შეკრული გუნდი ვართ. „რედ ბულშიც" იგივეს ამბობენ, მაგრამ თურმე ეს ასე არ ყოფილა"*, - განაცხადა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა.

დაბოლოს, ერთ-ერთმა ავსტრალიურმა ტოტალიზატორმა მარკ უებერისთვის მხარდაჭერის გამოხატვა გადაწყვიტა. ყველას, ვინც მალაიზიის გრანპრიზე მარკის გამარჯვებაზე გააკეთა ფსონი, დადებული თანხა უკან დაუბრუნდება.

**გია თვალაბეიშვილი**

JOMA SPORT GEORGIA ნაკრძალიება GOLD LEAGUE

VIII ტური | BUSINESS CHAMPIONS LEAGUE | 24.03.2013


საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მინი-ფეხბურთის კლუბი "პატრული"

რეგულარული ჩემიონატის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გუნდმა პირველი ადგილი გაინაღდა, რაც სტაბილურ და ჩავარდნების გარეშე მოასპარეზე „პატრულის" გუნდს საშუალებას აძლევს პლეი ოფის 1/4 ფინალურ ეტაპზე ჩემპიონატში მე-8 ადგილზე გასულ გუნდს დაუპირისპირდეს.

ეს კი ბოლო ტურში გაირკვევა.

ჩემპიონატის მეორე ეტაპი, პლეი ოფები 21 აპრილს დაიწყება. მანამდე თასის გათამაშების კენჭისყრა გაიმართება, რომელიც სტარტს 14 აპრილს აიღებს.

ასევე მონაწილეობის მსურველ გუნდებს შევახსენებთ, რომ ბიზნესის ჩემპიონთა ბრინჯაოს ლიგა 7 აპრილს იწყება.

დაგვიკავშირდით: 001@sbm.ge

| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | PATRULI | 8 | 7 | 0 | 1 | 28-7 | 21 |
| 2 | NATAKHTARI II | 8 | 5 | 1 | 2 | 24-18 | 16 |
| 3 | TTC | 8 | 4 | 2 | 2 | 24-16 | 14 |
| 4 | PSP | 7 | 4 | 1 | 2 | 19-16 | 13 |
| 5 | GMG | 8 | 4 | 0 | 4 | 27-26 | 12 |
| 6 | ERISTAVI | 8 | 3 | 2 | 3 | 28-22 | 11 |
| 7 | UN OF GEORGIA | 8 | 3 | 1 | 4 | 31-26 | 10 |
| 8 | MFC ALGO | 8 | 2 | 2 | 4 | 27-35 | 8 |
| 9 | PALAVANI | 7 | 2 | 0 | 5 | 17-23 | 6 |
| 10 | IBSU | 8 | 0 | 1 | 7 | 21-57 | 1 |

ბომბარდირები:

| | | |
|---|---|---|
| [illegible] | UN OF GE | 17 |
| [illegible] | PSP | 8 |
| [illegible] | პატრული | 7 |
| [illegible] | GMG | 7 |
| [illegible] | ERISTAVI | 6 |

IX ტური 7 აპრილი

| | |
|---|---|
| 12:00 | MFC ALGO - UN OF GEORGIA |
| 13:00 | ERISTAVI LAW GROUP - GMG |
| 14:00 | ფალავანი - ნატახტარი II |
| 15:00 | FC TTC - პატრული |
| 16:00 | IBSU - PSP |

ტურის სიმბოლური ნაკრები






SPORT BUSINESS MANAGEMENT GEORGIA

VTB Joma SBM SELLS

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გია თვალაბეიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608